# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

№ 55 (5656)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## პატრიარქი დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის თავისუფალ ტურისტულ ზონად გამოცხადებას ეწინააღმდეგება



ამის შესახებ პირველი განცხადება პატრიარქმა გუშინ ჟურნალისტებთან გააკეთა.

მისი თქმით, სამონასტრო კომპლექსი იმ სავანედ უნდა დარჩეს, სადაც ბერები და სხვა საეკლესიო პირები მოღვაწეობენ. პატრიარქისთვის ტერიტორიის გასხვისება მიუღებელია და მიაჩნია, რომ გარეჯის სამონასტრო კომპლექსი საქართველოს საკუთრებაში უნდა დარჩეს.

– დავით გარეჯის სავანე არის უდიდესი სიწმინდე საქართველოსთვის და ქვეყნის ეკლესიისთვის. იგი უნდა დარჩეს როგორც ლავრა, მონასტერი, სადაც ბერები იმოღვაწებენ. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ იგი საქართველოს ფარგლებში იყოს მოქცეული, – აღნიშნა ილია მეორემ.



## საქართველოში კორუფცია ტრანსფორმირდა

● 1998 წელს ევროკავშირის ბიუჯეტიდან... 1 მილიარდი დოლარი გაქრა

● კორუფციონერობით განთქმულნი იყვნენ: ბერლუსკონი, კოლი, შირაკი, მეიჯორი...

2

## მილიონები – განათლების სამინისტროს, ხალხს კი – ვირის წიხლი

## ასე ხომ გადავშენდით და ეგაა...

9

## ალბათ, კიდევ დაგვაბომბავენ!

8

## ლუკმა მაინც ჯამში ვარდება



6

● ლოგიკური ჯაჭვი: საბაჟო – მესაზღვრეები – პოლიცია – აფთიაქი – მომხმარებელი

● ხორხიდან საზარდულამდე გაფატრულ-გამოშიგნული ჩვილი – ჰეროინის კონტეინერი

# სახელმწიფო

● სოდისა და კუდის სახელები საქართველოში დაკავშირებულია უამრავ ბოროტებასთან. ეს არის შენობა, სადაც „საქმიანობს“ ორი მონსტრი. აქ მოღვაწეობენ ნილბიანი მკვლელები, რომლებიც ხოცავენ უდანაშაულო ადამიანებს, ნარკორეალიზატორები, რომლებსაც არაფრად ულირთ ჩვენი ახალგაზრდების სიცოცხლე და ჯანმრთელობა



№ 55. სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

◉ აქცია

## უკანონო გადაწყვეტილებები ზურაბ ადეიშვილის კაბინეტში იგეგმება

**გენერალური პროკურატურის შენობის წინ კოალიციამ „ჩვენი უფლებებისთვის“ პერმანენტული აქცია გამართა. მისმა მონაწილეებმა პროკურატურა უკანონო ბრალდებებსა და გადაწყვეტილებებში დაადანაშაულეს. ისინი პოლიტ-პატიმრების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვდნენ, და, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებოდნენ.**

— ზურაბ ადეიშვილის კაბინეტში იგეგმება და ხორციელდება ის უკანონო გადაწყვეტილებები, რომლითაც ხელისუფლების პოლიტიკური ოპონენტების გზიდან ჩამოცილება ხდება. პოლიტპატიმრების მიმართ წაყენებულ ბრალდებებში არ არის რეალური ფაქტები, რომელიც მათ დანაშაულს დაამტკიცებდა. მაშინ, როცა საქართველოს პრეტენზია აქვს საერთაშორისო პოლიტიკურ სივრცეში დემოკრატიული ქვეყნის სახელი დაიმკვიდროს, სინდისის პატიმრების არსებობა უდიდესი სირცხვილია. ეს კი სერიოზული შემაფერხებელი ფაქტია ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციისათვის, — აღნიშნა კოალიციის წევრმა გიორგი ქორქაშვილმა.

ყველა პოლიტპატიმარი პროკურატურის მსხვერპლია, ისინი ციხეში მხოლოდ აქტიური პოლიტიკური პოზიციის გამო მოხვდნენ. ქვეყანაში შეიქმნა რეჟიმი, სადაც თავისუფალი აზრისა და სიტყვისთვის შესაძლებელია ნებისმიერი ადამიანი ციხეში აღმოჩნდეს. ამას თუნდაც ჯაბა ჯიშკარიანის დაპატიმრებაც მოწმობს, — დასძინა კოალიციის წევრმა ნოდარ ეფრემიძემ.

კოალიციის თავმჯდომარემ დავით ლილუაშვილმა კი განაცხადა, რომ ისინი მოითხოვენ ყველა უკანონო პატიმრის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლება ფართომასშტაბიან აქციებს მიიღებს, ამისთვის კი ადგილობრივ პოლიტიკურ ასპარეზსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერასაც გამოიყენებენ...

აქციას ამჯერად გენერალური პროკურატურიდან არავინ გამოხმაურებია, როგორ გამოეხმაურება ხელისუფლება მათ მოთხოვნებს, ამას პოლიტპატიმართა მიმართ სასამართლო გადაწყვეტილებები ცხადყოფს.

**ლელა მანავლიშვილი**

◉ პროტესტი ქუჩიდან

## სოდი, კუდი თუ — გესტაპო?!

**ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე ე. წ. „მოდულის“ შენობის წინ „თანასწორობის ინსტიტუტმა“ კიდევ ერთი საპროტესტო აქცია გამართა. აქცია ხალხმრავალი არ ყოფილა, თუმცა მისი მონაწილენი აქტუალურ, საჭირბოროტო თემებზე ამახვილებდნენ ყურადღებას.**

„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა ლაშა ჩხარტიშვილმა და ლევან გოგიჩაიშვილმა მათთვის ჩვეული დაუფარავი პირდაპირობით ილაპარაკეს „მოდულის“ შენობაში განთავსებული ორგანიზაციების — კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტისა (კუდისძ და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდისძ შესახებ:

„ჩვენ შევიკრიბეთ იმ შენობის წინ, სადაც უამრავ ბინძურ საქმეს აგვარებენ დათა ახალაიას მსგავსი ადამიანები. სოდისა და კუდის სახელები საქართველოში დაკავშირებულია უამრავ ბოროტებასთან. ეს არის შენობა, სადაც „საქმიანობს“ ორი მონსტრი. აქ მოღვაწეობენ ნილბიანი მკვლელები, რომლებიც ხოცავენ უდანაშაულო ადამიანებს, ნარკორეალიზატორები, რომლებსაც არაფრად ულირთ ჩვენი ახალგაზრდების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ეს შენობა არის ბოროტების ბუდე, საიდანაც ხელმძღვანელობენ ორგანიზებულ დანაშაულს... სოდს ჩვენმა ხალხმა სამართლიანად უწოდა „სუზოტექსის ოფიციალური დისტრიბუტორი, საქართველოში“, კუდი კი უსამართლობის წყაროა, რომლის არაოფიციალურ ხელმძღვანელად კვლავ დათა ახალაია რჩება“.




„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრთა აზრით, ჩვენს ქვეყანაში თანდათან ყალიბდება პოლიციური რეჟიმი, რომელსაც მართავენ კოდუასა და „მასტერას“ მსგავსი ადამიანები, ვანო მერაბიშვილის, გიგა ბოკერიასა და განათლების „კომისარ“ კახა ლომაიას მეგობრები და თანამოაზრენი. ეს რეჟიმი ატეროვებს ადამიანებს საკუთარი აზრის გამოხატვისათვის, სცემს და ავიწროებს ჟურნალისტებს... ამ რეჟიმმა გაისტუმრა ციხეში ჯაბა ჯიშკარიანი, რომელიც სინდისის პატიმრად შეიძლება ჩაითვალოს.

„ბოლომდე ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ საქართველოში აღარ არსებობდეს „მოდულის“ მსგავსი სტრუქტურები, რომ ჩვენი ქვეყანა არ მართონ ადამიანებმა, რომელთა სინდისს სანდრო გირგვლიანისა და ათასობით მისი მსგავსის სიკვდილი ამძიმებს!“

„თანასწორობის ინსტიტუტის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ დამშვიდდებიან, სანამ ქვეყანაში დაირღვევა ადამიანთა უფლებები.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◉ პრესკონფერენცია

## მილიონები — განათლების სამინისტროს, ხალხს კი — ვირის წიხლი

### ლეიბორისტები მასწავლებლების ხელფასების გაზრდას მოითხოვენ

**ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ საგანგებო პრესკონფერენციაზე მასწავლებლების ხელფასების მოსამართლეების ხელფასებთან გათანაბრება მოითხოვა. მისი თქმით, მასწავლებლების ხელფასი 80 ლარია, მოსამართლეებისა კი — 700, რომ ჩვენი პრეზიდენტი განსაკუთრებულად ზრუნავს მოსამართლეებზე და მაღალი ხელფასიც სწორედ სპეციალური ბრძანებულებით დაენიშნათ.**




გიორგი გუგავას აზრით, მასწავლებლები მოსამართლეებთან შედარებით, ღირსეულნი და განათლებულნი არიან, ისინი საზოგადოებრივად უფრო მნიშვნელოვან საქმეს ემსახურებიან. ხოლო მოსამართლენი ყოველგვარი აპელირებისა და რევიზირების გარეშე იღებენ უკანონო გადაწყვეტილებებს, რაც მხოლოდ და მხოლოდ მათი მონური მორჩილების დასტურია.

„მოვითხოვთ, საქართველოს პრეზიდენტმა სპეციალურად გამოსცეს სწორედ ასეთი განკარგულება და მასწავლებელთა საშუალო ხელფასი მოსამართლეთა ხელფასს გაუთანაბრდეს. მასწავლებლებს აბარიათ ქვეყნის მომავალი. მათ უნდა აღზარდონ თავისუფალი, სამართლიანობის მოყვარული მომავალი თაობა“; — განაცხადა გუგავამ.

ლეიბორისტების ერთ-ერთი ლიდერის აზრით, ბიუჯეტში საამისო რესურსები მოიძებნება. მაგრამ ხელისუფლება რეპრესიულ რეჟიმს მიმართავს: „ჯერ ერთი, რომ ქვეყანა საკონცენტრაციო ბანაკებად აქციეს და მოზარდებიდან — ბავშვებზე გადავიდნენ.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება სასამართლოების, პროკურატურისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლისთვის 100 მილიონ ლარამდეა, ხოლო ძალოვანი სტრუქტურებისთვის — 1 მილიარდი. განათლების სამინისტროს ბიუჯეტი 380 მილიონი ლარია, და ეს თანხები ხმარდება გამოგონილი სათაურის მქონე „ირმის ნახტომს“, რაც უკვალოდ მიდის, ჩვენთვის კი ვირის წიხლად არის გადაქცეული“.

გიორგი გუგავას თქმით, თუ ხელისუფლება მათ მოთხოვნას არ შეასრულებს, ისინი მასობრივ აქციებს გამართავენ.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ წარდგინება

## საქართველოში კორუფცია ტრანსფორმირდა

**ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის კავკასიის ოფისის მხარდაჭერით, გამოიცა პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის ქეთევან როსტიაშვილის ლექციათა მოკლე კურსი: „პოლიტიკური კორუფცია მსოფლიოს კონტინენტებზე“. ეს კურსი ავტორმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაიკითხა.**



პოლიტიკური კორუფციის გეოგრაფიაზე ნაშრომი ქართულად პირველად გამოიცა. მისი შექმნის იდეა თბილისში, ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის ჩამოყალიბების შემდეგ დაიბადა. ამერიკელი პროფესორის ლუი შელის ქართველ მეცნიერებთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად გადაწყდა, რომ კორუფციაზე ლექციების კურსი მომზადებულიყო. თავად ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კორუფციის საუნივერსიტეტო საგნად შესწავლა ახლა მკვიდრდება და მას, ფაქტობრივად, უკვე ყველა წამყვან უნივერსიტეტში ასწავლიან.

წიგნში, რეგიონების მიხედვით კორუფციის პრობლემების მიმოხილვის შემდეგ, ასახულია კორუფციასთან ბრძოლის ევროკავშირის გამოცდილება, თუ რა მეთოდებს იყენებს იგი ამ პრობლემის მოსაგვარებლად

**● 1998 წელს ევროკავშირის ბიუჯეტიდან... 1 მილიარდი დოლარი გაქრა**

**● კორუფციონერობით განთქმულნი იყვნენ: ბერლუსკონი, კოლი, შირაკი, მეიჯორი...**

„1997 წელს ევროკავშირმა მიიღო ანტიკორუფციული კონვენცია სამოხელეო დანაშაულის შესახებ, ხოლო 1998 წელს ევროკავშირის ბიუჯეტიდან... უგზოუკვლოდ გაქრა 1 მილიარდი დოლარი. როცა გვგონია, ევროპის ქვეყნები წინ წავიდნენ, ჩვენ კი ცუდები ვართო, ასეთი ფიქრი უმართებულოა. კორუფციის სკანდალური ისტორიებით განთქმული იყვნენ: იტალიაში სილვიო ბერლუსკონი, გერმანიაში — კოლი, საფრანგეთში — ჟაკ შირაკი, დიდ ბრიტანეთში — მეიჯორი...

გაეროს ანტიკორუფციული კონვენციაც კი მხოლოდ 2003 წელს მიიღეს, ანუ მსოფლიო თანამეგობრობამ კორუფციასთან ბრძოლა 2000 წელსღა დაიწყო“, — განაცხადა ქეთევან როსტიაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წიგნის წარდგინებაზე.

ავტორის თქმით, ყველა რეჟიმი ხელისუფლებაში მოდის ლოზუნგით: „ვებრძოლოთ კორუფციას!“, მაგრამ თითზე ჩამოსათვლელია ქვეყნები, რომელთაც შეძლეს ამ პრობლემის დაძლევა.

კორუფცია კარგა მაღალი ყოფილა სამხრეთ ამერიკაში: მასთან შედარებით, ჩრდილოეთ ამერიკაში კორუფცია გაცილებით შემცირებულია, ამ თვალსაზრისით მოწინავეა კანადა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები უფრო კორუმპირებულია.

კორუფციის მასშტაბებით მსოფლიოში აფრიკის კონტინენტი ლიდერობს. საგრძნობლად კორუმპირებულია მსოფლიოში ყველაზე დიდი — ევრაზიის კონტინენტი, რომელზეც 94 ქვეყანაა, მაგრამ კორუფციით მაინც მისი ცენტრალური — დსთ-ს ქვეყნები და აგრეთვე, სამხრეთ ნაწილი გამოირჩევა.

იხ. 11 გვ.

● ნატოში შესვლა მართლაც გვჭირდება, მაგრამ ოპოზიციისა და საერთაშორისო ექსპერტების ნაწილიც სრულიად საფუძვლიანად სვამს კითხვას — კონკრეტულად როგორ, რის ხარჯზე მოხდება ეს?



◎ განსჯა

# ნატო გვინდა, მაგრამ რის ხარჯზე?

**შაბათს პრეზიდენტი გლაზგოში გაფრინდა, 250 ქართველი ჯარისკაცი — ბაღდადში ქუჩების საპატრულოდ. ირანის პრეზიდენტს მაჰმუდ აჰმადინეჯადის ისე გაუჯანჯლეს ვიზების გაფორმება, რომ ნიუ-იორკში გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლის საშუალება არ მისცეს.**

**რა კავშირია ამათ შორის?**

## გლაზგო–ერაყი–ნიუ-იორკი




უშიშროების საბჭო ირანისთვის საერთაშორისო სანქციების გამკაცრებას, სახელდობრ, მისთვის სახელმწიფო კრედიტებისა და გრანტების გაცემას, იარაღის მიყიდვას, ბირთვულ პროგრამაზე მომუშავე ირანელთა სხვა სახელმწიფოებში შეშვების აკრძალვას აპირებდა.

ირანის პრეზიდენტმა თავიდან კი საცინლად აიგდო გაეროცა და მისი უშიშროების საბჭოც, ქაღალდის ნაგლეჯებზე რაღაცა დაუჩხაპნიათ და ჰგონიათ, ეს ან რაიმეს ნიშნავს ჩემთვის, ანდა ქვეყნის გაძლიერებაში შეგვიშლის ხელს, აგერ, 28 წელია ეკონომიკურად გაგვრიყეს, მაგრამ მაინც გავხდით ბირთვული სახელმწიფოო და, გულდაჯერებულმა, დამუქრების უფლებას არავის მივცემთო, დაასკვნა. მერე, ალბათ, განსაჯა, უშიშროების საბჭოს ტრიბუნიდან საქვეყნოდ ოფიციალურად განვაცხადებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ სამშვიდობო ბირთვული პროგრამა გვაქვს. ჩვენს ენერგეტიკას ვაძლიერებთ, მასობრივი განადგურების ატომურ იარაღს არ ვქმნით და რას გვერჩითო, მაგრამ, ირანის ოპოზიციონის განცხადებით, აშშ-ის ნებით, ვიზების გაცემას საშველი არა და არ დაადგა, ბატონი მაჰმუდი ნიუ-იორკში დროზე ველარ ჩავაო. ასეც მოხდა: ის გაეროში ვერ ჩავიდა. უშიშროების საბჭომ, ბირთვულ პროგრამაზე მომუშავე ირანის 28 კომპანიასაც გაუყინა ანგარიშები და პროგრამის შესაწყვეტად ირანს 60 დღის ვადა დაუწესა.



თუ ამერიკას მართლაც გულში აქვს ირანზე თავდასხმა, რაღა თქმა უნდა, არამც და არამც არ აძლევდა ხელს ირანის პრეზიდენტის გაეროში გამოსვლა. მას შეეძლო დამაჯერებლად, სულ ფაქტებით დაესაბუთებინა, რომ მისი ქვეყანა მართლაც მხოლოდ სამშვიდობო მიზნებისთვის იყენებს ატომურ ენერგიას. თუ გაეროს ან აშშ-ს აქვს ირანის მამხილებელი მასალები, რომ იქ მართლაც ქმნიან ბირთვულ იარაღს, მაშინ სწორედ მარჯვე შემთხვევა ექნებოდა, აჰმადინეჯადის ფაქტებისათვის კონტრარგუმენტები დაეპირისპირებინა და მისი სიცრუე საჯაროდ ცხადეყო. სავარაუდოდ, ირანი მართლაც რომ ამზადებდეს ბირთვულ იარაღს, ამერიკას ამის დამადასტურებელი ფაქტებიც არა აქვს.

საქართველო ირანის მეზობელია... ნატოში დაჩქარებულად, იმ აუცილებელი პირობების ფაქტობრივი უგულებელყოფით, რასაც ალიანსი მასში შესვლის მსურველ ყველა ქვეყანას უყენებს, გაერთიანების საპასუხოდ, აშშ, სავარაუდოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მისი სამხედრო აეროდრომების განთავსებას მოითხოვს, ისევე, როგორც ერაყსა და ავღანეთში ჩვენი სამხედრო კონტინგენტის გაგზავნა მოითხოვა.

რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების საქართველოში განლაგების სურვილიც, შესაძლოა, ამ ჩანაფიქრის პირველი ეტაპი იყოს — ღმერთმა ნუ ქნას, და, თუ მართლაც დაარტყა აშშ-მა ირანს, საქართველოს საპასუხო დარტყმებისგან დაცვის რაღაც შანსი რომ მაინც ჰქონდეს. თუმცა, ეს სისტემები ხომ ამერიკის აეროდრომებსაც დაიცავს?!

რუსეთი რა ხასიათზეცაა ყოველივე იმის გამო, ვგონებ, ახსნა-განმარტება აღარ სჭირდება. ახლა კიდევ ჩვენგან გაუკონტროლებელი, მაგრამ რუსეთის მორჩილი ორი სეპარატისტული რეგიონი?! აგერ, შიდა ქართლში ოსმა სეპარატისტებმა კიდევ ორი ქართველი — ცხაკაია და ჯაფარიძე ჩაცხრილეს. ამასაც არ დასჯერდნენ და ყოვლად ცინიკურად საკონტროლოდ ესროლეს თავში.

ნატოში შესვლა მართლაც გვჭირდება, მაგრამ ოპოზიციისა და საერთაშორისო ექსპერტების ნაწილიც სრულიად საფუძვლიანად სვამს კითხვას — კონკრეტულად როგორ, რის ხარჯზე მოხდება ეს?

პრეზიდენტი კი გლაზგოში გაფრინდა ფეხბურთის მატჩზე. ეგებ, ვამლაშებ, ბოლოს და ბოლოს, ისიც ხომ ადამიანია, მით უფრო, სხვა სახელმწიფოების პირველი პირებიც დასწრებიან თავიანთი ქვეყნების სპორტსმენთა გამოსვლებს, მაგრამ სად იმათი დალხენილი ცხოვრება და სად — ჩვენი? ალბათ, ასეთი „გასვლის“ უფლებაც ქვეყნის კეთილდღეობისთვის ზრუნვით უნდა მოიპოვო.

**კოტე სარალიძე**

◎ ინფორმაცია

## ველოდოთ საპრეზიდენტო არჩევნებს

**ცნობილი რუსი ჟურნალისტი მატვეი განაპოლსკი ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ დღეისათვის საქართველოს მიმართ რუსეთის პოზიცია და უფრო მეტიც, მოთხოვნა გაუგებარია და, შესაბამისად სიტუაცია გაყინულია.**



**განაპოლსკის თქმით, რა მოვლენა ეკისრება საქართველოს ქართულ-რუსულ ურთიერთობებში და რა ნაბიჯების გადადგმა მოეთხოვება საქართველოს ხელისუფლებას, არ ჩანს. რეალურად, ყველაფერი იგივე დონეზე რჩება და სიტუაცია გაყინულია.**

**„მიხეილ სააკაშვილი მკვეთრ განცხადებებს აღარ აკეთებს, ირაკლი ოქრუაშვილი საქმეს ჩამოაშორეს, რაც იმას ნიშნავს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებები არ დაიწყება. რუსეთს, მინიმუმ, საჰაერო კავშირის აღდგენა მოეთხოვება. კრემლის პოლიტოლოგებიც კი ვერ ამბობენ რა უნდა გააკეთოს საქართველომ. ამის გამო მოვლენები წინ ვერ მიიწევს. სავარაუდოდ, რუსეთსა და საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებამდე, შექმნილი სიტუაცია არც უკეთესობისკენ და არც უარესობისკენ არ შეიცვლება“ — აღნიშნავს მატვეი განაპოლსკი.**

## ამერიკელი და რუსი თურქეთში გასვლისას დააკავეს

**მიმდინარე წლის 25 მარტს სამმართველო „ბათუმის“ სასაზღვრო-საიმიგრაციო კონტროლის განყოფილება „სარფში“ მესაზღვრეებმა თურქეთში გასვლისას ერთი აშშ-ს და ერთი რუსეთის მოქალაქე დააკავეს.**

**აშშ-ს მოქალაქე საქართველოში საპასპორტო კონტროლის გაუვლელად „ადლერიდან“, რუსეთის მოქალაქე კი „ნიჟნი ზარამაგიდან“ შემოვიდა.**

**აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ აქტუალური თემა

# რას მოგვიტანს ტყეების გასხვისება?

***მალე ტყეების პრივატიზება დაიწყება. ამ ეტაპზე კი ტყის ფართობებს გრძელვადიანი იჯარით გადასცემენ. ზოგადი სარგებლობის ტყის მასივები, რაც განსაკუთრებული ღირებულების მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა, 50 წლამდე ვადით გასხვისდება და სხვადასხვა მიზნისთვის, მათ შორის, ხე-მასალის დასამზადებლად იქნება გამოყენებული. დოკუმენტი გარემოს დაცვის სამინისტროში შემუშავდა და უახლოეს მომავალში მას პარლამენტი განიხილავს. გარემოს დამცველები დოკუმენტში ეკოლოგიურ საფრთხეს ხედავენ. ცხადია, აშენებული შენობა, რომელიც, ვთქვათ, ქალაქს აუშნოებს, შეიძლება დაანგრიო, მაგრამ გავერანებულ ტყეს ვერ აღადგენ. სავარაუდოდ, დოკუმენტს ამ სახით პარლამენტი არ დაამტკიცებს. დეპუტატებს სერიოზული შენიშვნები აქვთ. კანონპროექტის ავტორების აზრით, ტყეების პრივატიზება დიდ ფისკალურ მოგებას მოიტანს. ოპონენტების აზრით კი ტყეების გაჩეხვით გამოწვეული უარყოფითი შედეგი ყოველგვარ მოგებას გადააჭარბებს. კანონპროექტის ავტორები გვარწმუნებენ, რომ ახალ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ტყის მეიჯარის უფლებები და ვალდებულებები. მას ტყის რესურსების გამოყენების უფლება კი ექნება, მაგრამ ვალდებული იქნება ტყე შეინარჩუნოს.***

სატყეო პოლიტიკისა და სტრატეგიის სამინისტროსეულ ხედვას მხარს პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტი არ დაუჭერს. კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ ხიდაშელი ფიქრობს, რომ გეგმა დასახვეწია. „არა ვარ მომხრე, იმიტომ, რომ ეს კანონი ისე უნდა დაიხვეწოს, ქვეყნისთვის, ხალხისთვის იყოს მისაღები. წინააღმდეგ შემთხვევაში, გამიჭირდება ამაზე რაიმეს თქმა“, — აცხადებს ხიდაშელი.



დეპუტატი გია თორთლაძე კი ხელისუფლებას სხვა ქვეყნების გამოცდილებას შეახსენებს. „ჩვენს მეზობელ თურქეთში ტყეები ჯერ გაყიდეს, მერე კი სახელმწიფომ დაიბრუნა. ასე ბევრ ქვეყანაში მოხდა. იმიტომ, რომ მეწარმის ინტერესი მოგების სწრაფად მიღებაა. ჩვენთან, საქართველოში, სადაც კერძო ტყეების ტრადიცია არა გვაქვს, შედეგი გამაჩანაგებელი იქნება“, — მიიჩნევს თორთლაძე.

ბუნების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები არ გამორიცხავენ, რომ დოკუმენტის დაჩქარებული შემუშავება უცხოურ გრანტებთან არის დაკავშირებული.

**მზია გელენავა**

№ 55. სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

# დღევანდელობა

**მართალია, ქვეყნის შიგნით, გასაგები მიზეზების გამო, არ ვეკუთვნი მიხეილ სააკაშვილის ფანების რიგს, მაგრამ ქვეყნის გარეთ ვერავის ვაპატიებ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის აუგად ხსენებას. ამ შემთხვევაში მე, ისევე როგორც ბევრი სხვაც, უძლურნი ვიყავით. სააკაშვილსაც უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვობაში უნიჭო ფეხბურთელი კი არა, დაკარგული მარადონაც რომ იყოს, პირველ რიგში ქვეყნის პრეზიდენტია და არა ფეხბურთის ფანი**



## ფიქრები ხმამაღლა

*ალბათ, ბევრს ახსოვს სასამართლოს ეპიზოდი ქართული კომედიიდან „ბურთი და მოედანი“, როცა ფეხბურთის გულისთვის საკუთარი, ერთადერთი სიდედრის კუბოში ჩამდებ, ანუ აფერისტ კუჭკუჭის — იპოლიტე ხვიჩიას ასამართლებენ. სწორედ იქ დასვა რიტორიკული კითხვა ასევე ფეხბურთის გამო აცუნდრუკებულმა, წელკავიანმა ვახტანგ ნინუამ — რა არის ფეხბურთი?*

*მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და დღეს არავინ დავობს იმაზე, რომ ფეხბურთი დიდი ხანია აღარ არის მხოლოდ უბრალოდ თამაში, როცა ერთ ბურთს 22 მუტრუკი დასდევს და ამ „სისულელეს“ ათასობით „მოცლილი“ უყურებს სტადიონზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ, მაგალითად, ბრაზილიაში, არგენტინაში ფეხბურთი ლამის რელიგიაა, სადაც არანაკლებ ეთაყვანებიან პელეს და მარადონას, ვიდრე საკუთარი რელიგიის წმინდანებს. დანარჩენ მსოფლიოში ეს გენიალური თამაში კაი ხანია გარკვეუწილად დიდი პოლიტიკის შემადგენელია. ხშირად ძნელია საზღვრის გავლება — სად მთავრდება დიდი ფეხბურთი და სად იწყება დიდი პოლიტიკა, ან პირიქით.*

*ეს განსაკუთრებით ე. წ. განვითარებად, ან ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს ახასიათებთ, რომელთა რიგს საქართველოც ეკუთვნის, თუმცა მეტნაკლებად, არც აყვავებული დემოკრატიებისთვის არის უცხო. თუნდაც ხორვატია ავიღოთ — საქართველოზე პატარა ამ ევროპულმა ქვეყანამ, როცა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, ამ ფაქტს წმინდა სპორტული მომენტზე მეტად პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა — ამით ხორვატებმა მტერ-მოყვარეს დაუმტკიცეს, რომ დამოუკიდებლობის ღირსები იყვნენ. და ქვეყანამ, სადაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჩამქრალიყო სამოქალაქო ომის ხანძარი, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი თავის სასიკეთოდ განაწყო. მაგრამ, მოდით, თავი დავანებოთ ამ ჩვენსავით მცირერიცხოვან ვაჟკაც ხალხს და ჩვენი ვიკითხოთ.*

### ტაშკენტიდან დიუსელდორფამდე, ანუ ფეხბურთი ქართული თამაშია!

**სულ ცოტა, ეს მაინც შეგვიძლია ვთქვათ — იმდენი მსოფლიო დონის ვარსკვლავი გვყოლია წარსულში, რომ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამიტომ ერთს ვიტყვი მხოლოდ:** ვინც გვყავდა, მათზე ფეხბურთის მექა-მედინა ბრაზილია — არგენტინაშიც არ იტყოდნენ უარს. ამ დიდებულ თამაშს განსაკუთრებით სსრკ-ს დროს ჰქონდა ის პოლიტიკური დატვირთვა, რაზეც ზემოთ ვთქვი. სტადიონი იყო ერთადერთი ადგილი, სადაც ქართველობით ხმამაღლა შეგვეძლო გვეამაყა. ეს ახლაა პრობლემა წარსულში „დინამოს“ და დღეს ეროვნული სტადიონის შევსება, ნაკრების თამაშებზეც კი, თორემ ადრე?.. მაგრამ ამაზე ქვემოთ.

1964 წლის 18 ნოემბერი. შეიძლება ითქვას, რომ ეს დღე იყო პირველი დიდი, საყოველთაო სიხარული საქართველოს გასაბჭოების შემდეგ და ბოლოს, 1981 წლის 13 მაისი — პირველი ნიკიტა ხრუშჩოვის, სისხლიანი, ქართველმოძულე მიზანთროპის შემდეგ. ეს იყო ერთგვარი — „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, რომელიც მტრის ჯინაზე გაისმა საქართველოდან. ხოლო მეორე — „არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია“, განათლებულ ევროპას შევახსენეთ. ახლა ვითომდა რაო, იკითხავს ალბათ მავანი, რა დააშავა ჭადრაკმა, სწორედ იმ პერიოდში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი საქართველოს პირველობას რომ ჰგავდა? ან თუნდაც რუსთაველის თეატრმა მაშინ არ გადარია შექსპირის სამშობლო „რიჩარდით“? არაფერიც არ დაუშავებიათ, მაგრამ ნურავის ეწყინება და, ერთიც და მეორეც, მართალია, სიხარულის მომტანი იყო ერისთვის, თუმცა არა ისეთი საყოველთაო აღტკინებისა, რასაც ათიათასობით ხალხი გამოჰყავს ქუჩაში.

### როგორი ვითარებაა დღეს?

**ზუსტად ისეთი, როგორი შედეგითაც დასრულდა შოტლანდია — საქართველოს მატჩი. არა, ადრინდელისგან განსხვავებით, ფეხბურთელებს ძნელია უსაყვედურო.** თავდადება და ჟინი დაუწუნო, მაგრამ ეტყობა, ეს საკმარისი არ არის. გარკვეული სასიკეთო ძვრები შეინიშნება ჩვენს ნაკრებში, მაგრამ არა მთლიანად ქართულ ფეხბურთში. ეტყობა, კიდევ კაი ხანს მოგვიწევს ლოდინი, ვიდრე ქართული ფეხბურთი ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებზე წარმოჩინდება. „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“, ამბობს შოთა და ეს ალბათ ფეხბურთსაც ეხება. სხვა რაში ვჯობივართ იგივე შოტლანდიელებს, ფეხბურთში რომ ვაჯობოთ? ზემოთ ვთქვი, ფეხბურთი პოლიტიკაა-მეთქი და, თუნდაც აქედან გამომდინარე, რადგან ნატოს თუ ევროკავშირის სტანდარტებისგან შორს არის საქართველოს დემოკრატია, იქნებ ამიტომაც იკავებს თავს განგება, ჩვენს მსოფლიო ფეხბურთის ოჯახში მიღებაზე. არ ვიცი, იქნებ ვინმეს გადაჭარბებულ ფატალიზმად ეჩვენოს, მაგრამ განგების გარდა, სხვა ვერაფრით ამიხსნია შოტლანდიასთან მარცხი, იგივე უკრაინასთან, რადგან წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, არც ერთს არ ჩამოვუვარდებოდით.

# ფეხბურთი ბურთით და უბუროდ

რაც შეეხება საფეხბურთო ინფრასტრუქტურას, მის მართვას, ერთ კონკრეტულ საკითხში, რასაც სტადიონის შევსება ჰქვია, ეროვნულ ჩემპიონატზე არაფერს ვიტყვი, იმდენად დაბალი დონის არის, რომ თუმცა ხშირად უფასოდ შეიძლება დასწრება, კიდევ დიდხანს ვერ შეივსება. რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, რომლის მატჩებზე დასწრების ინტერესი დიდია, სტადიონის შევსება მაინც პრობლემურია, რადგანაც...

რა ჰქვია იმას, როცა ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობაა, პენსია 40-45, ხელფასი კი საშუალოდ ალბათ 100 ლარია, ფეხბურთის ბილეთის ფასი 10 ლარიდან იწყება და 80 ლარამდე აღწევს? რა და საზოგადოების დაცინვა, აბუჩად აგდება. ამასაც თავი დავანებოთ — რამდენად უწყობს ხელს ასეთი ფასწარმოქმნის პოლიტიკა ფეხბურთის პოპულარიზაციას? იმ 50-80-ლარიან ბილეთებს უბრალო მოკვდავი რომ ვერ შეიძენს, ეს ხომ ფაქტია. ისევე როგორც ის, რომ ასტრონომიული ხელფასების პატრონები, ძვირადღირებული ბილეთების რაოდენობას ვერ ითვისებენ.

ესეც იქით იყოს. რატომ გვავიწყდება, რომ ფეხბურთი ყველა ქვეყანაში ღარიბებისთვის განკუთვნილი სანახაობაა? რა თქმა უნდა, „ღარიბი“, ამ შემთხვევაში შედარებითი ცნებაა — მაგრამ მაინც. კომუნისტების დროინდელ საქართველოში ასე იყო. მაშინაც არსებობდნენ შედარებით მდიდრები, მაგრამ არა ფეხბურთთან მიმართებაში. თავად განსაჯეთ — ისეთ მატჩებზეც კი, როგორიც, მაგალითად, „დინამო“ — ლივერპული იყო, ბილეთის მაქსიმალური ფასი, მაშინდელ 2,50 მანეთს არ აღემატებოდა, როცა საშუალო ხელფასი 120 მანეთი იყო. ამიტომ ნამდვილი „ბალეშჩიკი“, ღამეებს გაათენებდა რიგებში და სასურველ ბილეთს აილებდა. მაშინდელ მდიდრებს კი, ერთი „პრივილეგია“ რჩებოდათ — გადამყიდველებისგან შეეძინათ ბილეთი.

ახლა რა გამოდის? არხეინად არიან, როგორც წესი, ფეხბურთის ინჩი-ბინჩის არმცოდნე მაღალჩინოსანი თუ უჩინო ფულის ტომრები. ისეთი ფასი ადევს ბილეთს, რომ თუნდაც დაჯავშნული გქონია. როცა უნდა, მივა და ყოველგვარი ჭყლეტა-გლეჯის გარეშე აიღებს ბილეთს. ეს, იმის გარდა, რომ უსამართლობაა, რასაც ზოგადად დიდი ხანია შევეჩვიეთ, გულშემატკივრობის ხარისხზეც ახდენს გავლენას. რადგან, ვიმეორებ, ფულის ტომარას, იშვიათად რომ ფეხბურთი ესმოდეს. მაყურებელთა უმრავლესობას კი სწორედ ისინი წარმოადგენენ. ფეხბურთის ნამდვილი მცოდნე კი გარეთ რჩება. ამიტომაც ხშირია ხოლმე სტადიონზე ისეთი უხმაურო პაუზა, რომ ოპერაში გეგონება თავი. რას იზამ, ფულის ტომრები ქაჯები ხომ არ არიან, იყვირონ და უსტვინონ?

ჩემი აზრით, საქართველოსნაირ ქვეყანაში ბილეთი მაქსიმუმ — 3-5 ლარი უნდა ღირდეს. ამ შემთხვევაში ყველას თავისუფალი კონკურენციის პირობებში მოუწევს სტადიონზე ადგილის მოპოვება. რა თქმა უნდა, ე. წ. სპეკულიანტებიც გაჩნდებიან, მაგრამ ესეც ნორმალურია. სამაგიეროდ, ტრიბუნები გარანტირებულად შეივსება და მატჩის დღეს, სტადიონის მისადგომებთან კვლავაც გავიგონებთ კითხვას — „ზედმეტი ბილეთი ხომ არა გაქვს“?

იგივე ე. წ. გულშემატკივართა კლუბი ავიღოთ. მოდით, ჯერ ის ვთქვათ, რომ ეროვნული ნაკრების მიმართ ეს ნონსენსია. არ არსებობს მეორე ქვეყანა მსოფლიოში, სადაც მსგავსი იდიოტიზმი მოუვა ვინმეს თავში. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ, თუ ქვეყანას ეროვნული ნაკრები ჰყავს, მთელი ქვეყანაა მისი გულშემატკივართა კლუბი. სხვა ქვეყნის კლუბების ფანების არსებობა ნორმალურია. მაგალითად, იაპონიაში არსებობს „რეალის“ თუ „ლივერპულის“ ფანკლუბები, მაგრამ ის, რაც ჩვენთან ხდებოდა გასული წლის ზაფხულში, როცა გაუგებარი, უმიზნო პიარის გამო, ერთმანეთის მიყოლებით, ფორსმაჟორ რეჟიმში შეიქმნა ბრაზილიის, არგენტინის, გერმანიის, იტალიის... ფანკლუბები და მატჩების შემდეგ შესაბამის ფერებად შეღებილი ბავშვები თუ დიდები, შეძახილებით აყრუებდნენ ღამის თბილისს, გაგეცინებოდა კაცს.

ვინმეს წარმოუდგენია, ვთქვათ იგივე შოტლანდიაში, მამაცი გულის „სქოთები“, მსგავს მდგომარეობაში? ჩვენთან ერთმა „ჭკვიანმა“ კოტდიუვარის ფანკლუბის შექმნაც კი დააპირა, მაგრამ, საბედნიეროდ, არ გამოუვიდა. მაგრამ, მოდით, ისევ საქართველოს ნაკრების, საქართველოს ფანკლუბს დავუბრუნდეთ. ეს ფრაზა, იმის გარდა, რომ წასაკითხადაც იდიოტურად ჟღერს, შინაარსითაც უთანასწორობის პრინციპზეა აგებული — ვინც მეტს გადაიხდის, მეტი პრივილეგიებით სარგებლობს. ანუ, თუ ფული გაქვს, ჩემი ხარ, თუ არა და სხვისი ხარ!

### საქართველოს პრეზიდენტი — ფეხბურთის ფანი?

**ანუ, ძველებურად, „ბალეშჩიკი“? იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ურტყამს ბურთს (არაერთხელ გვინახავს მის მიერ შესრულებული პენალტები სათამაშო მოედნების გახსნისას), ნამდვილად ვერ იტყვი, რომ სააკაშვილი ბავშვობაში ქუჩის დიდ ფეხბურთს თამაშობდა.** მე ის უფრო მაღელვებს, რისთვის, რატომ და რა სტატუსით წავიდა ჩვენი პრეზიდენტი შოტლანდიაში?

როგორც წესი, როცა ქვეყნის პირველი პირი სხვა ქვეყანაში მიდის საკუთარი გუნდის მატჩზე დასასწრებად, იმ ქვეყანაში სტუმარს შესაბამისი ეტიკეტით ღებულობენ, რაც, როგორც ჩანს, არ ყოფილა, რადგანაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილობრივი ტელევიზია მატჩის დროს ერთ კადრს მაინც „აიღებდა“, სადაც მსოფლიო დემოკრატიის შუქურა საქართველოს პრეზიდენტი დაფიქსირდებოდა ბრიტანეთის დედოფალთან ერთად თუ არა, ვინმე მინისტრის გვერდით მაინც. ამას ყოველგვარი ირონია-სარკაზმის გარეშე ვამბობ, რადგან საქართველოს შეურაცხყოფად აღვიქვი ის ფაქტი, რომ მთელი მატჩი ისე დამთავრდა, იქაურმა ტელევიზიამ არ გვაჩვენა, სად და ვის გვერდით იჯდა ჩვენი პირველი პირი და პირველი ფანი.

სამაგიეროდ, მეორე დღეს „დროებაში“ ვიხილეთ ჩვენი „სამთავრობო დელეგაცია“. ამის შემხედვარეს გამახსენდა პრეზიდენტად ახლადარჩეული მიხეილ სააკაშვილი რომ გვპირდებოდა, თუ სადმე წავალ, ჩვეულებრივი რეისით გავფრინდებიო. ერთი-ორჯერ გადადგა კიდეც მსგავსი გაუთვლელი ნაბიჯი. გაუთვალისწინებელი, რადგან არ შეიძლება თუნდაც საქართველოსნაირი გაჭირვებული ქვეყნის პრეზიდენტი „აირზენათი“ დაფრინავდეს.

მაგრამ არც ის არის ლამაზი, რომ მოგეპრიანება, „საკუთარი“ თვითმფრინავით სადაც გინდა, იქ გაფრინდე, რადგან ის „ბოინგი“ ვინმეს ბაბუის დანატოვარი „ემადინი“ არ არის. თუ მაინც და მაინც ფეხებზე გკიდია მსგავსი დემოკრატიული „წვრილმანები“, ის მაინც უნდა მოახერხო, რომ პრეზიდენტის ვიზიტი, თუნდაც არაოფიციალური, შეუმჩნეველი არ დარჩეს ადგილობრივი ტელევიზიისთვის, რომელიც მატჩის ტრანსლაციას ეწევა. კიდევ ვიმეორებ, მართალია, ქვეყნის შიგნით, გასაგები მიზეზების გამო, არ ვეკუთვნი მიხეილ სააკაშვილის ფანების რიგს, მაგრამ ქვეყნის გარეთ ვერავის ვაპატიებ ჩემი ქვეყნის პრეზიდენტის აუგად ხსენებას. ამ შემთხვევაში მე, ისევე როგორც ბევრი სხვაც, უძლურნი ვიყავით. სააკაშვილსაც უნდა ახსოვდეს, რომ ბავშვობაში უნიჭო ფეხბურთელი კი არა, დაკარგული მარადონაც რომ იყოს, პირველ რიგში ქვეყნის პრეზიდენტია და არა ფეხბურთის ფანი.

### კიდევ ერთი რამ, რის გამოც არ ვიყავით თუნდაც ფრეს ღირსნი

**ყველამ ვიცით ე. წ. ტოტალიზატორი, რომლის ხშირი სტუმარი მეც გახლავართ. მაგრამ, არასდროს საქართველოს წინააღმდეგ ფსონს არ ჩავდივარ, რადგან ასეთ შემთხვევაში საკუთარი ქვეყნის ნაკრების მარცხს უნდა „უბალეშჩიკო“, რაც იუდას 30 ვერცხლს ჰგავს.** მე ვერ წარმომიდგენია, რომ იგივე შოტლანდიაში, რომელიც, სხვათა შორის, ტოტალიზატორების სამშობლოა, ვინმე „სქოთი“ საკუთარი ნაკრების წაგებაზე ჩავა ფსონს. ჩვენთან კი რამდენიც გინდათ! არც იმას მოვუწოდებ ვინმეს, გინდა თუ არა, საქართველოს მოგებაზე გააკეთე „სტავკა“ და ფული წააგე, როგორც მე-მეთქი, მაგრამ, შე კაი კაცო, თუ ჩვენი მოგებისა არ გჯერა, საერთოდ აერიდე ამ თამაშს, იმ დღეს სხვა მატჩების მეტი რა იყო? ნეტავ, რამდენი მოიგეთ იმ დღეს, ვინც საქართველოს წაგებაზე ფული დადეთ, რომ სულის წაწყმედად ღირდა? მართალია, თავად ტოტალიზატორიც ეშმაკის მოგონილია და იქ თამაში უკვე სულის წაწყმედაა, მაგრამ მაინც...

**დავით მხეიძე**

№ 55. სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

**როდესაც გენერალმა კორნილოვმა 1917 წლის აგვისტოში პეტროგრადს შეუტია და ქალაქის მისადგომებს მისი ყველაზე საიმედო და მძლავრი სამხედრო ძალა – ველური დივიზია მიადგა, ესტატე მაჩაბელი, უჩა დადიანი, ნესტორ ერისთავი და კიდევ რამდენიმე გავლენიანი ქართველი „ველური დივიზიის“ მეთაურს კონსტანტინე ბაგრატიონს ეწვივნენ და დაიყოლიეს არ შემოეტია. კორნილოვმა ველური დივიზიის გარეშე ბრძოლაში ჩაბმა ვერ გაბედა და კერენსკი გადარჩა... ორი თვით, წითელი „ველური დივიზიის“ მიერ თვით დედაქალაქში მოწყობილ გადატრიალებამდე. არადა, მართლაც როგორ შეიძლებოდა შეცვლილიყო მოვლენათა მსვლელობა!**





### ეს იყო, იყო...

# ქართველთა საიდუმლო სერობა, რომელმაც ისტორიის მსვლელობა შეცვალა

ფაქტია, რომ არც ნესტორი და არც ალექსანდრე არ შეიძლება იყვნენ ის თავადი ერისტოვი, რომლის შესახებაც დედოფალი ალექსანდრა ფიოდოროვნა გულისამაჩუყებლად წერდა თავის საყვარელ სეფექალს ანა ვირუბოვას (1916 წლის 9 დეკემბრით დათარიღებული ეს წერილი მოტანილია ა. ტანეევა-ვირუბოვას წიგნიდან „ფურცლები ჩემი ცხოვრებიდან“ძ:

„ჩვენი ყოფილი დაჭრილი თავადი ერისტოვი ისევ წევს ჩვენს ლაზარეთში (მიზეზი არ ვიციძ. თუ ნახავ, ყველა ჩვენგანის გულითადი მოკითხვა გადაეცი. მგრძნობიარე ყმაწვილია. იცი, ის ზამთრის სასახლის წინ ხიდის აგებაში დაგვეხმარა“.

* * *

იშვიათად იყო ხოლმე პეტროგრადში ესტატე ალექსანდრეს ძე მაჩაბელი (1882-1934 წ.წ.ძ, მაგრამ ყოველ მის ჩასვლას თავისებური პეწი შეჰქონდა ქართულ კოლონიაში. სამხედრო-იურიდიული აკადემიის კურსდამთავრებული, ჭკვიანი, განათლებული ოფიცერი ქართულ სამხედრო ნაწილს მეთაურობდა თურქეთის ფრონტზე. ცნობილი ეროვნულ-დემოკრატის გიორგი მაჩაბლის მეგობარი იყო და მისი დავალებით თურქეთის არმიის სარდლობასთან საიდუმლო კავშირიც კი ჰქონდა დამყარებული. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ესტატე პეტროგრადში საქართველოდან ოფიციალური დავალებით ჩავიდა, როგორც ქართული ჯარების კომისარი და ძლიერი შთაბეჭდილებაც მოახდინა თავისი გონივრული გამოსვლებით.

ეს მგზნებარე პატრიოტი, ქართული საქმის საჭიროებას რომ მოეთხოვა, როგორც იტყვიან, ეშმაკს მიჰყიდდა სულს. ამიტომ საკვირველი როდია, რომ რამდენჯერმე ესტატესაც მოუხდა მისთვის ყოვლად მიუღებელ ისეთ პიროვნებასთან ერთად მისჯდომოდა სუფრას,როგორიც რასპუტინი იყო.

ესტატე მაჩაბელმა, იმპერატორის ამალის ოფიცერმა, ნიკოლაი მეორის საყვარელმა მხედარმა უჩა დადიანმა, ნესტორ ერისთავმა და „ველური დივიზიის“ რამდენიმე ქართველმა ოფიცერმა ერთხელ დიდებული ვახშამი გაუმართეს ცნობილ ესერს, კერენსკის მარჯვენა ხელს ბორის სავინკოვს (თებერვლის რევოლუციის შემდეგ ბ. სავინკოვი – 1879-1925 წ.წ. – სამხედრო მინისტრის ამხანაგი, ერთ ხანს კი პეტროგრადის სამხედრო გენერალ-გუბერნატორი იყო, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ რამდენიმე ანტისაბჭოთა ამბოხებას ხელმძღვანელობდაძ ეკატერინესა და ნევის ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე კოტე გრიგოლიას ცნობილ მარან „კოლხიდაში“. სუფრას ჩიტის რძეც არ აკლდა, მაყალზე შემწვარი სუკიდან ელარჯსა და კეცებზე შეპიწკულ ვარიებამდე. „კახურიც“ უხვად დაილია და მგზნებარე სადღეგრძელოც მრავლად ითქვა. დასამალი როდია, რომ ამ ვახშმის ყოველი მონაწილე საკუთარმა პოლიტიკურმა ზრახვამ მიიყვანა ერთ სუფრასთან. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ ვახშამთან არის დაკავშირებული ერთი, ქართული საზოგადოებრიობისთვის (და საერთოდ ისტორიისთვისძ უცნობი მომენტი, რომელმაც, შეიძლება, ძირეულად შეცვალა რუსეთის ისტორიის მსვლელობა.

როდესაც გენერალმა კორნილოვმა 1917 წლის აგვისტოში პეტროგრადს შეუტია და ქალაქის მისადგომებს მისი ყველაზე საიმედო და მძლავრი სამხედრო ძალა – ველური დივიზია მიადგა, ესტატე მაჩაბელი, უჩა დადიანი, ნესტორ ერისთავი და კიდევ რამდენიმე გავლენიანი ქართველი „ველური დივიზიის“ მეთაურს კონსტანტინე ბაგრატიონს ეწვივნენ და დაიყოლიეს არ შემოეტია. კორნილოვმა ველური დივიზიის გარეშე ბრძოლაში ჩაბმა ვერ გაბედა და კერენსკი გადარჩა... ორი თვით, წითელი „ველური დივიზიის“ მიერ თვით დედაქალაქში მოწყობილ გადატრიალებამდე. არადა, მართლაც როგორ შეიძლებოდა შეცვლილიყო მოვლენათა მსვლელობა!

სხვათა შორის, ამ უჩა დადიანზე საინტერესო მოგონება დაგვიტოვა აკადემიკოსმა კონსტანტინე ერისთავმა, (კ.ერისთავი, „მოგონებები“, თბ. 1973 წ.ძ:

„ქუთაისში შესანიშნავი ინტელიგენციის გვერდით არსებობდა ე.წ. „ბრწყინვალე“ ახალგაზრდობა, რომელიც ქეიფსა და ღრეობაში ატარებდა დროს. მახსენდება ერთი შემთხვევა. უჩა დადიანს, იმპერატორის კონვოის ოფიცერს, შეუყვარდა ალექსანდრე დადეშქელიანის მეუღლე ბაბილინა ერისთავი. ქმარი წარმოშობით სვანეთის თავადი იყო, მუშაობდა ქუთაისის მაზრაში, კეთილშობილი ვაჟკაცის სახელი ჰქონდა. მისი ძმა ჩრდილოეთ კავკასიის გუბერნატორი იყო. იმ დროს სამეტოქეო და სადავო საკითხები ერთმანეთის დუელში გაწვევით წყდებოდა. მაგრამ იმითაც, დადეშქელიანს ვერავინ შეაშინებდა. ამიტომ უჩა დადიანმა მისი მოცილება დაქირავებული მკვლელის საშუალებით განიზრახა.

მახსოვს ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიმნაზიელი მწვანე ბაზრის ბოლოში წითელ ხიდთან ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ვიყავი, როდესაც რევოლვერის ხმა გაისმა. გარეთ გავვარდი. სასიკვდილოდ დაჭრილი ალ. დადეშქელიანი ხელში აყვანილი მიჰყავდა ხალხს საავადმყოფოში. იგი მიყვანისთანავე გარდაიცვალა. საავადმყოფოს უამრავი ახალგაზრდა მოაწყდა ამბის გასაგებად. მათ შორის უჩა დადიანიც იყო. მახსოვს, ალ. დადეშქელიანის უფროსმა ქალიშვილმა კატიამ, უჩა დადიანი რომ დაინახა, ეცა ნიკო ფალავას ხანჯალს და ქარქაშიდან ამოღება სცადა. ხანჯალი, რალა თქმა უნდა, გააგდებინეს. ამ ამბავს ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი ესწრებოდა. ხალხი მკვლელის აღმოჩენას მოითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა დამნაშავის ვინაობა, საჭირო იყო უშუალო მკვლელის დაჭერა. მალე მკვლელიც აღმოაჩინეს, ვინმე ქიქავა, რომელიც სამეგრელოში ყოფილა დამალული ტერორისტულ აქტებში მონაწილეობისათვის. ქუთაისში ის ვინმე კორძაიას ჩამოუყვანია უჩა დადიანის დავალებით. ქიქავა ერთადერთი მოწმე იყო უჩა დადიანის დანაშაულისა. ამიტომ დადიანის ნათესავებმა გადაწყვიტეს მისი მოსპობა და გადაწყვეტილება მალე სისრულეში მოიყვანეს. ჯერ ქიქავას გაქცევა გაითამაშეს და მერე დაქირავებულ მკვლელს მოაკვლევინეს კიდეც იგი“.

ესტატე პეტროგრადში ყოფნისას ხშირად ხვდებოდა და ეთათბირებოდა კარლო ჩხეიძეს, აკაკი წერეთელს, ნოე ჩხენკელს, მოგვიანებით საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარ იოსებ სტალინთანაც ჰქონდა შეხვედრები. ერთხელ სტალინმა სპეციალური ვაგონიც კი გამოუყო საქართველოში მომავალს.

საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლების წლებში ერთხანს სამხედრო-საოლქო სასამართლოს თავმჯდომარედაც მუშაობდა. სხვათა შორის, 1920 წელს 6 ოქტომბერს მან მოუხსნა ახალციხის მიტოვებისა და უმოქმედობის ბრალდება და გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა ცნობილ მებრძოლ გენერალს გიორგი მაზნიაშვილს. ემიგრაციაში არ წასულა, მაგრამ სახელმწიფო პოლიტსამმართველომ ეს თავისებურად „დაუფასა“ 30-იან წლებში.

* * *

თურქეთის ფრონტზე ესტატეს პოლკში მსახურობდა თავად გიორგი მაჩაბლისა და ცნობილი „აფერისტის“, „კვაჭი კვაჭანტირაძის“ კიდევ ერთ-ერთი პროტოტიპის ვასო დუმბაძის დიდი მეგობარი, ნიჭიერი ვიოლონჩელისტი ილიკო აბაშიძე.

ალეკო ასლანიშვილი

(გაგრძელება იქნება)



ილია აბაშიძე ქუთაისის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებთან. 1931 აპრილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 52-54.

### ინფორმაცია

## გამოქვეყნდება კი მონიტორინგის შედეგები?

ზემო აფხაზეთის დაბომბვის ფაქტზე ჩატარებული მოკვლევის შედეგები იმ შემთხვევაში გამოქვეყნდება, თუ ასეთ გადაწყვეტილებას ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფი მიიღებს.

ამის შესახებ „რია ნოვოსტის“ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში განლაგებული დსთ-ს სამშვიდობო ძალების სარდალმა სერგეი ჩაბანმა განუცხადა.

მისივე განცხადებით, მონიტორინგის შედეგებს ჭუბურხინჯის მორიგ ოთხმხრივ შეხვედრაზე განიხილავენ.

ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფში ქართული მხარის, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების, დსთ-ს სამშვიდობო ძალებისა და გაეროს დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლები შედიან.




პირველადი გამოძიება ზემო აფხაზეთში 13-16 მარტს ჩატარდა, მხარეები საბოლოო დეტალების დასაზუსტებლად 22 მარტს ინციდენტის ადგილზე კიდევ ერთხელ ჩავიდნენ.

## „ეროვნულმა ფორუმმა“ ქუთაისში შეაბიჯა

„ეროვნულმა ფორუმმა“ ქუთაისში გუშინ საქალაქო ორგანიზაცია დააფუძნა.

ორგანიზაციის პრეზენტაციას პოლიტიკური მოძრაობის აქტივისტები და მხარდამჭერები დაესწრნენ.

უახლოეს ხანში, „ეროვნული ფორუმი“ ქუთაისში ხელმძღვანელსაც აირჩევს. სავარაუდოდ, იგი პარლამენტარი, საპარლამენტო უმრავლესობის ყოფილი წევრი გოგი წულაია იქნება.

წულაიას განცხადებით, „ეროვნულ ფორუმს“ ქუთაისში საიმედო დასაყრდენი აქვს. პარტიაში გუშინვე 30 კაცი გაწევრიანდა.

ინტერპრესნიუსი

ჩვენ •

ქალბატონმა მაია რჩეულიშვილმა (იგივე მაია კერვალიშვილმაძ ნოტარიუს ნინო გინტურთან ფარული გარიგებით გააფორმა ჩემსა და „თიბისი ბანკის“ მთაწმინდის ფილიალს (დირექტორი ზურაბ პოლოლიკაშვილიძ შორის იპოთეკური ხელშეკრულება (პირადად არ დავსწრებივარძ, რომლის ძალითაც გამოიტანა 750 ათასი აშშ დოლარის სესხი

◉ ნარკოტრანზიტი

# ლუკმა მაინც ჯამში ვარდება



## ◉ლოგიკური ჯაჭვი: საბაჟო — მესაზღვრეები — პოლიცია — აფთიაქი — მომხმარებელი

## ◉ ხორხიდან საზარდულამდე გაფატრულ-გამოშიგნული ჩვილი — ჰეროინის კონტეინერი

**ფაქტი იმდენად დაუჯერებლად შემაძრწუნებელი იყო, რომ მხოლოდ ის ჩაიბეჭდა სამუდამოდ გონებაში. აღარც წელი მახსოვს და აღარც თვითმფრინავის მარშრუტი.**

ერთ-ერთი მგზავრი დაეჭვდა: ფრენის კარგა ხნის მანძილზე ახალგაზრდა ქალი გაყინული მზერით გახევებული იჯდა. მის გულზე მიკრულ ჩვილს კი ერთხელაც არ წამოუტირია...

ქალი ნარკოტიკებით დაბანგული აღმოჩნდა. ბავშვი კი... ხორხიდან საზარდულამდე გაფატრულ-გამოშიგნული ჰეროინის კონტეინერად ექციათ...

ნარკოტიკებით ვაჭრობას თავიდანმაფიოზთა ზოგიკლანიც კი ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ ისეთი არგაგონილი თანხები დატრიალდა, რომ...

ნარკომანობას, ძირითადად, ორი რამ განაპირობებს — ხელმოცარულობა, იუმედობა და ყველაფრის მოყირჭება. ამიტომაც ყველაზე მეტად ნარკოტიკები ნებისმიერი ქვეყნის ულარიბეს და უმდიდრეს რაიონებში ვრცელდებოდა. ღატაკებში სატყუარად — ჯერ მუქთად, დამთრგუნველი, სასოწარკვეთამდე მისული უიმედობის, გაუხარელი, ტყუპებივით მსგავსი ყოველდღიურობისგან თავის დაღწევის პანაცეად, ფულიანებშიც ჯერ შეპარვით, ოღონდ, ეგზოტიკად, ექსტაზად, აბა, კიდევ რა არ გამოგვიცდიას ჟინითა და აკრძალული ხილის ხიბლად.

საქართველოში სწორედ ეს ორი პოლუსია გამოკვეთილი — სიღატაკე და სიმდიდრე. საშუალო კლასი, ფაქტობრივად, მოსპობილია ან სულსა ღაფავს. იმათ, ვისაც ჩვენი ხელისუფლება და მთავრობა ასეთებად მიიჩნევს — ძირითადად, ე წ. არაელიტური ინტელიგენციას ან ოჯახებში ჯერეთ შემორჩენილი რაიმე ფასეულის კაპიკებად გადაგდებითა და ამის მათხოვრულ ხელფასებზე წამატებით გააქვს თავი, ანდა ფსიქოლოგიურად კიდევ ვერ შემზადებულან ხელის გასაწვდენად.

ასე, რომ ძალზე ნოყიერი ნიადაგია ნარკომანიისთვის. განდევნილ ბატონ ზვიად გამსახურდიას უცხოეთის ერთ-ერთ გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში უთქვამს, საქართველო ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყნად აქციესო. მაშინ ზოგ-ზოგმა კი აიჩეჩა მხრები, ჩაიძირქილა, ეს რაღა მოეპრიანაო, მაგრამ ხომ გასკდა ამ ტრანზიტის ერთ-ერთი ჯაჭვის — პანკისის ხეობის ამბები? (ახლა, რაც არ გასკდა?!ძ. როცა დაფარულს გამოსაჟონი პირი გაუჩნდა, მოწმეები, შემსრულებლები მოსპეს. საქმე ჩაიფარცხა, მაგრამ ტრანზიტი გრძელდება. ერთი ძველი „ნასროკალი“ (20 წელზე მეტი აქვს მოხდილი ქურდობა-ყაჩაღობისთვისძ ჩიოდა (!ძ სულ გაირყვნა უბანი; ადრე, მაგ რეგვენ ჭკვაზე რომ ვიდექი და „მალადოებს“ წამლის მოტანას ვავალებდი, მეორე დღეს თუ მომიტანდნენ ხოლმე. ეხლა, ტო! რო უთხრა, წამში გააჩენენო.

პრეზიდენტმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ნარკობიზნესს. ამ მსოფლიო ურჩხულს ჩვენში მანამდეც ებრძოდნენ. ოღონდ, აი, ასე: ბევრ აფთიაქში კოდეინის შემცველ (კოდეინი ოპიუმის ჯგუფის ძლიერმოქმედი ნარკოტიკიაძ ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებს: კოფეინს, სედალგინს, სედალგინ ნეოს, სულპოდეინს და სხვას, ფსიქოტროპულ საშუალებებს: დიაზეპამს, ფენაზეპამს, რელანიუმს და სხვას ურეცეპტოდ ყიდიან, რაც ყოვლად დაუშვებელია. ექიმები ზეპირად კი ურჩევენ ხოლმე პაციენტებს ამ წამლებს, მაგრამ, ჩვეულებრივ, მათს შესაძენად საჭირო სპეციალური რეცეპტების გამოწერაზე უკატეგორიულად არიან... ჰოდა, გირჩიათ ზეპირად დასტაქარმა. აფთიაქებშიც ოფიციალურად შეიძენთ რამდენიმე აბს. ჩაყლაპავთ. ტკივილი გაგიყუჩდებათ და გახარებული... პატრულის მანქანაში აღმოჩნდებით. როგორ? აი, ისე, თვალში არ მოუხვედით. გაგაქანებენ სპეციალურ ექსპერტიზაზე. სისხლში კოდეინის შემცველობაა. სასამართლო და მისი ჯანი — 500 ლარი ჯარიმა. წადი და იხტუნავე. კოდეინი კი სისხლში ერთი კვირა რჩება. ამიტომ, თუ პატრულს პირველი „ხოდკის“ მერე, ვთქვათ, ოთხი დღის შემდეგაც არ „ესიფათეთ“, უკვე... 2000 ლარი გაქვთ აფცქვნილი. დამნაშავე არა ხართ, ექიმის რჩევას დაუჯერეთ და ოფიციალურ აფთიაქში ოფიციალურად შეიძინეთ? აი, დარდი, მიდი და ამტკიცე! მთავარი ბიუჯეტის შევსებაა! პრესაში ასეთ ძალმომრეობაზე, უსამართლობაზე კი წერენ, მაგრამ გსმენიათ, წაგიკითხავთ, რომ რომელიმე ასეთი აფთიაქი (ხომ იტყოდა ძალად ნარკომანი სადაც შეიძინა წამალიძ დაელუქათ და გამოძიება დაწყებულიყო?!

იხ. 11 გვ.

◉ გუშინდელი ფოსტიდან

# თვითონ მდიდრდებიან, ჩვენ გვაგეჩავებენ

## აქა ამბავი მსუნაგი და ოინბაზი მშენებლებისა

**შეიძლება ზოგს დაუჯერებლადაც მოეჩვენოს, მაგრამ ის რაც ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილმა მშენებელ-ბიზნესმენმა დებმა მაია და რუსუდან კერვალიშვილებმა ჩემთან, ამ ოთხმოცს გადაცილებულ ბერიკაცთან „თანამშრომლობისას“ იკადრეს, ყოელგვარ ზნეობრივ და ადამიანურ ფარგლებს სცილდება.**

**ასეთი განცხადების საფუძველს თავად დები კერვალიშვილების „სამშენებლო საქმეები“ მაძლევს. ეს ამბავი ამ ხუთიოდე წლის წინათ დაიწყო, როცა მათ თვალი დაადგეს ვერის ბაღის ძირში მდებარე ე.წ. სატივეს უბანს და იქ თბილისური ცათამბჯენების აშენება გადაწყვიტეს. ვიდრე მშენებლობას წამოიწყებდნენ, მათ იქაურ მცხოვრებთა გასაბრიყვებლად უამრავი სიცრუე და ფუჭი დაპირება დასჭირდათ, რაც შემდგომ გამომჟღავნდა კიდეც, მაგრამ რაღა დროს, ურემი უკვე გადაბრუნებული იყო.მათ სატიველთა ძველისძველ უბანს ნალები ადგილი მოწყვიტეს და გარეშე პირებს მიჰყიდეს. ახალ კორპუსებში ფართობი მხოლოდ იმათ ერგოთ, ვისი ეზოებიც მშენებლობის არეში მოხვდა (ასეთები მაქსიმუმ 10 პროცენტია), დანარჩენი ორმოცამდე ოჯახი კი კვლავ ნგრევის პირას მისულ ქოხმახებში დარჩა.**

**ყველას მაგივრად ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ იმას კი ვიტყვი, რაც მე პირადად დამმართეს. დებმა კერვალიშვილებმა ვერის მეორე შესახვევის №7-ში მდებარე მენაშენეთა ამხანაგობა „სატივე — 2002“-ის (თავმჯდომარე ივანე ჯორბენაძეძ სახელით 2002** წლის 14 მაისს ჩემთან (აკაკი დოლიძესთან, მცხოვრები მ. კოსტავას I შესახვ. №25ძ გააფორმეს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება (რეესტრში რეგისტრაციის №1-3257ძ. ამ ხელშეკრულების ძალით ჩემს საკუთრებაში არსებულ 514 კვ. მეტრ საცხოვრებელ ფართობს, მიწის ნაკვეთთან ერთად, გადავცემდი საკუთრების უფლებით ამხანაგობას, ხოლო ის სანაცვლოდ ახალ აშენებულ კორპუსში ასევე საკუთრების უფლებით გადმომცემდა 325 კვ. მეტრი ფართობის ექვს საცხოვრებელ ბინას. აღნიშნულ ბინებს მივიღებდი ამხანაგობის მიერ №11 კორპუსის საძირკვლის ჩასხმიდან 18 თვის ვადაში.



მას შემდეგ 18 თვე კი არა, თითქმის მეხუთე წელიც მიიწურა, მაგრამ არც ის დაპირებული მე-11 კორპუსი აუშენებიათ და არც სხვა რომელიმე კორპუსში ჩემთვის ბინა არავის შემოუთავაზებია. სამაგიეროდ ჩემი ნაკვეთით კარგად მოითბეს ხელი მშენებლებმა. კერძოდ, ქალბატონმა მაია რჩეულიშვილმა (იგივე მაია კერვალიშვილმაძ ნოტარიუს ნინო გინტურთან ფარული გარიგებით გააფორმა ჩემსა და „თიბისი ბანკის“ მთაწმინდის ფილიალს (დირექტორი ზურაბ პოლოლიკაშვილიძ შორის იპოთეკური ხელშეკრულება (პირადად არ დავსწრებივარძ, რომლის ძალითაც გამოიტანა 750 ათასი აშშ დოლარის სესხი. ბუნებრივია, ეს თანხა მშენებლებმა საკუთარი ჯიბის გასასქელებლად გამოიყენეს, ვალიც დროულად დაფარეს და 200 ათასი დოლარის მოგებაც ჩაიჩხრიალეს. თუმცა მთლად უკაპიკოდ არც მე დამტოვეს, ქალბატონმა რუსუდან კერვალიშვილმა „ინამუსა“ და იმ მოგებიდან 100 დოლარი მეც გადმომიგდო.

ამის გარდა, ქალბატონმა მაია რჩეულიშვილმა სხვა მაქინაციაც გაითამაშა: გამოძებნა ვინმე უცხო პირი (იოსებ ჩიქოვანიძ, რომელიც ჩემს უნებართვოდ ჩემსავე ნაკვეთში ჩაწერა და შემდეგ ჩემი კუთვნილი ფართობიდან ოროთახიანი ბინა მისცა. ამის თაობაზე საჩივარი დავწერე, გავაპროტესტე, მაგრამ მაგრძნობინეს, რომ საქმე მაფიასთან მქონდა და გამაჩუმეს. მითხრეს — რა გენაღვლება, ბინას შენც მიიღებ და ისიცო. ფაქტობრივად კი ისე გამოვიდა, რომ მსუნაგმა დებმა ჩემი საკუთარი ქონება ყველანაირად გამოიყენეს — სესხი გამოიტანეს, საიდანაც დიდი მოგება ნახეს, ჩემი ფართობიდან უცხო პირი ბინით დააკმაყოფილეს, მე კი მშრალზე დამსვეს. აი მათი სამართალი და მორალი!

ასეთი უზნეობისა და უსამართლობის გამო შეურაცხყოფილმა ქალბატონ რუსუდან კერვალიშვილს არაერთგზის მივმართე განცხადებით, ვთხოვე ეპასუხა, რას მიპირებენ, მაგრამ თავი არ შეიწუხა. ჩანს, არც ახსოვს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობა შესასრულებელი აქვს. ახლა გადავწყვიტე, სასამართლოში ვუჩივლო, მაგრამ ჩვენი „სამართლიანი ქვეყნის“ პირობებში ვითომ მივაღწევ რამეს?!

ახლა ვისაც ფული აქვს, სამართალიც მის მხარეზეა. აბა, მიდი და დამნაშავეს დააკელი რამე. ამიტომაც არის, რომ დებმა კერვალიშვილებმა სატივეს უბანში ტურისტებივით გამოისეირნეს , თავიანთი საქმეები ჩინებულად მოაგვარეს, ფული გააკეთეს, ხალხს კი ერთი ბეწო სიკეთე არ არგუნეს: ჩამოუბნელეს ეზოები, გზებიც მოსპეს და ამ ჩაღრმავებულ ორმოში ხალხი მანქანების გამონაბოლქვით ამოახრჩვეს. ისეც რა იყო ჩვენი უბანი და მისგან რაღა დარჩა? ნალები დებმა მოხადეს, რაც დაიწუნეს და ზედმეტად მიიჩნიეს, მიატოვეს. ახლა იქ ყველაფერი აყრილ-დაყრილია, ნაგვის გატანაც შეუძლებელია იმიტომ, რომ მისასვლელი გზები ჩახერგილია. აქვეა ქალაქის კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსის სუბელიანის სამფლობელო, მაგრამ სხვა უბნებში მკაცრი და მომთხოვნი უფროსი აქაურ სიბინძურესა და ანტისანიტარიას რატომღაც ვერ ამჩნევს!

აი, მოკლედ ყველაფერი ის, რისი თქმაც მინდოდა „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველებისთვის. მე არ ვიცი მოვესწრები თუ არა ამქვეყნიურ სამართალს, მაგრამ იქნებ სხვები მაინც აღარ წამოეგონ დები კერვალიშვილების ანკესს, რომლებიც ბერიკაცის გაცუცურაკებასაც კი არ მოერიდნენ. ეს წერილი უფრო ამიტომ დავწერე.

აკაკი დოლიძე,
პენსიონერი ჟურნალისტი

№ 55. სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

● ჩემმა მოძღვარმა ორი თვით ადრე მითხრა არგენტინელთაგან მალვინის კუნძულების დაპყრობის ამბავი. მან დაწვრილებით აღწერა, როგორ მოხდებოდა მოვლენათა განვითარება და ასტრალური თვალსაზრისით ამიხსნა შეიარაღებული შეტაკების მიზეზები



## ◉ ჩვენი ბიბლიოთეკა

შეიწყალე სიკვდილისშვილი, ვისაც მთელი ქვეყნიერების ძლევა ძალუძს, ხოლო თავის თავთან სამართლიანი ომის მოგების ძალა არ შესწევს. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც სამართლიან ომში თავის თავს მორევია, აწ კი სადმე ცხოვრების კუთხე-კუნჭულსა და ბარებშია ატუზული, იმიტომ რომ ქვეყნიერებას ვერა სძლია. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „... ყველას, ვინც ისმენს ამ ჩემს სიტყვებს, ვამსგავსებ გონიერ კაცს, რომელმაც სახლი კლდეზე აიშენა“.

შეიწყალე ყოველნი, ვისაც შიშით ხელში ვერ აუღია კალამი ანდა ფუნჯი, საჭრეთელი ანდა სხვა რამ იარაღი, რადგან ჰგონია, რომ იმაზე ბევრად უფრო ადრე და ბევრად უფრო კარგად უკვე სხვამ გაართვა ამ დანიშნულებას თავი, ვინც ღირსად არ მიიჩნევს თავის თავს ხელოვნების კურთხეულ სრასახლში შესასვლელად. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც გაბედა და ხელში აიღო კალამი ანდა ფუნჯი, საჭრეთელი ანდა სხვა რამ იარაღი, მაგრამ თავიანთ შთაგონებას თვითკმაყოფილებისა და სხვათა მიმართ თავიანთი უპირატესობის უბადრუკ და უსახურ ფორმაში აქცევენ. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „... არ არის რამ საიდუმლო, რომ არ გაცხადდეს, და არც რამ დამალული, რომ არ გამჟღავნდეს“.

შეიწყალე ყოველნი, ვისაც არც სასმელ-საჭმელი აკლია და ყველაფერი თავზე საყრელი აქვს, მაგრამ უბედური და მარტოსულია თავის სიმდიდრეში. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც მარხულობს და ითმენს, განიკითხავს და კრძალავს, რისა გამოც თავს სიწმინდეზე დებს და შენს სახელს მოედნებზე მოიხსენიებს. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „... უკეთუ მე ჩემსავე თავს ვმოწმეობ, მოწმეობა ჩემი არ არის ჭეშმარიტი“.

შეიწყალე ყოველნი, ვისაც სიკვდილისა ეშინია, ვინც არ უწყის, უკვე რაოდენ ბევრი სამეფო გაცამტვერდა, უკვე რაოდენ ბევრი მკვდარი მოკვდა, ვინც უბედურია იმის გაფიქრებით, რომ ერთხელაც სოფელს ბოლო უნდა მოეღოს. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც მრავალი თავისიანის სიკვდილს მოესწრო, თვითონ კი თავი სიკვდილუხდელი ჰგონია. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „... ვინც ხელახლად არ იშვება, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს“.

შეიწყალე ყოველნი, ვინც სიყვარულის აბრეშუმის ბადეში გაბმულა, ვისაც ვისიმე ბატონად მიუჩნევია თავი, და ეჭვიანობით იტანჯება, ვინც სამსალათი იკლავს თავს და იდაგვის, ეწამება, ვინაიდან ვერ მიმხვდარა, რომ სიყვარული ისევე ცვალებადია, როგორც ქარი და ყოველივე არსებული ამ ქვეყანაზე. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც შიშისაგან კვდება, ემანდ ვინმე არ შემიყვარდესო, და სიყვარულს უარყოფს ვითომ ჭეშმარიტი სიყვარულის გულისთვის, რომლის გაგებაშიც არ არის. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „... ვინც შესვამს წყალს, რომელსაც მე მივაწვდი, საუკუნოდ არ მოსწყურდება“.

შეიწყალე ყოველნი, ვინც დამდგარა და ცამყარის საიდუმლოს სულ უბრალოდ ხსნის, ვისთვისაც ღმერთი ოდენ ჯადოსნური კვერთხია, ვისაც ადამიანი ოდენ თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გაჩენილი ჰგონია, რადგან თავად ყრუა ციური მუსიკის მოსასმენად. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც ბრმამორწმუნეობას შეუპყრია და თავის რეტორტათა შიგან სინდიყის ოქროდ ქცევას ცდილობს, ვინც იმ წიგნების ციხეკოშკში ჩაკეტილა, სადაც ტაროს საიდუმლოთა და პირამიდათა ძლევამოსილების ამბავია მოთხრობილი. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „გამოუშვით ბავშვები და ხელს ნუ უშლით ჩემთან მოსასვლელად, ვინაიდან მაგათნაირებისაა ღვთის სასუფეველი“.

შეიწყალე ყოველნი, ვინც თავისი თავის გარდა, ვერა ხედავს ვერავის, ვინც თავისი ლიმუზინის ფანჯრებიდან ისე გასცქერის სხვა კაცთ, როგორც შორ და დაშორებულობისა გამო გაბუნდოვანებულ პეიზაჟს, ვინც ზედა სართულზე კონდიციონერიან კაბინეტშია გამომწყვდეული და მდუმარედ იტანს ყოვლისშემძლეობის ლიტონ წამებას. ოღონდ კიდევ უფრო მეტად განუზომელი მოწყალება მოჰფინე იმათ, ვინც გულმოწყალე და სულგრძელია, მთელ თავის ავლადიდებას ალალად გასცემს და ბოროტის დამარცხების ერთადერთ გზას სიყვარულში ეძიებს. რამეთუ ისინი არ იცნობენ შენს სამართალს, ის კი გვაუწყებს: „ვისაც ქისა აქვს, აიღოს, ასევე გუდა. ხოლო ვისაც არა აქვს, თავისი ტანსაცმელი გაყიდოს და მახვილი იყიდოს“.

უფალო, შეგვიწყალე ჩვენ, ვინც ვეძიებთ და ვსასოებთ შენგან გაცხადებული მახვილისა ხელში აღებას, შეიწყალე მთელ დედამიწის ზურგზე მიმოფანტული მართალი და ცოდვილი ხალხი. რამეთუ საკუთარი თავი ვერ გვიცნია და ხშირადრე ვგონებთ, რომ ტანთ გვაცვია, არადა შიშველნი ვართ; სულ გვგონია, რომ დანაშაული რამ ჩავიდინეთ, არადა ვიღაც გადავარჩინეთ. ნუ გვიგულმავიწყებ შენს გამოუთქმელ მადლში ნურცვის ჩვენგანს, — ვისი ხელიც, მახვილისა მპყრობელი, — ერთჟამიერად ანგელოზის ხელიც არის და დემონის ხელიც. რამეთუ ამა სოფელ-ქვეყნად დავმკვიდრებულვართ, აქა ვრჩებით და გვეჭირვება თავი შენი. თავი შენი და სამართალი შენი, ის კი გვაუწყებს: „...ოდეს უქისოდ, უგუდოდ და უხამლოდ გაგზავნიდით, გაკლდათ რამე?“

პეტრუსმა ლოცვა გაასრულა. კვალად ისეთივე სიჩუმე იდგა. ჩემი მეგზური თვალგაშტერებული გაჰყურებდა ჩვენ გარშემო ამზეკაბანებულ პურის ყანას!




## მონაგარ-ნასისხლი

იმ დღის ბოლოს ერთი ციხის ნაშალს მივადექით, რომელი ციხეც ადრე თურმე ტამპლიერთა ორდენს ეკუთვნოდა; ეს ადგილი სულის მოსათქმელად ზედგამოჭრილი გვეჩვენა და დავფერხდით. პეტრუსმა თავის უცვლელ სიგარას მოუკიდა, მე სადილიდან შემორჩენილი ღვინო გამოვწრუპე. მერე გარშემო მიმოვიხედე — თვალი შევავლე გვერდიგვერდ მიდგმულ რამდენიმე გლეხურ კარ-მიდამოს, ციხის გოდოლს, გადაშავებული ანეულის ტალღიან ზედაპირს. მოულოდნელად ჩემგან მარჯვნივ ციხის კედლების ნანგრევებიდან მწყემსი ვინმე გამოჩნდა თავის ცხვრებიანად. ცის კამარას დაისის ცეცხლი ეკიდა, და ცხვრის ჩლიქით აყენებულ მტვრის კორიანტელში ყველაფერი სიზმრისეულად მინისლული და დაბუნდებული იყო... არემარე ჯადოსნურ სურათს რასმე ჰგავდა. მწყემსმა ხელი აგვიწია, მოგვემშვიდობა. ჩვენც ხელის აწევითვე მივესალმეთ.

ცხვრებმა გვერდით ჩაგვიარეს და თავიანთ გზას გაუყვნენ. პეტრუსი წამოდგა. ძალიან შთამბეჭდველი სანახაობა იყო.

— წავედით! უნდა ვიჩქაროთ, — თქვა მან.

— რატომ?

— იმიტომ! შენ რა, არ გესმის, ნამეტანი რომ გავიგრძელეთ სანტიაგოს გზა?

მაგრამ რაღაც მიკარნახებდა, რომ ჩემი მეგზურის უცაბედი აჩქარება იდუმალ უკავშირდებოდა მწყემსისა და ცხვრების მაგიურ გამოჩენას.

ორ დღეში სამხრეთით აყუდებული მთების ძირას აღმოვჩნდით, რომელი მთებიც ნირს უცვლიდნენ პურის ყანების თვალგადაუწვდენელი სივრცის ერთფეროვნებას. კორტოხებ-ბორცვებიანი დაბლობი ადგილ-ადგილ პადრე ჰავიერის მიერ ხსენებული ყვითელი ნიშნებით იყო მოფენილი. პეტრუსმა კი დაადო თავი და არცრა უთქვამს, არცრა აუხსნია, სულაც გვერდი აუარა იმ ნიშანთ, ჯიუტად გაუტია ჩრდილოეთისკენ. შეცბუნებულმა რამდენჯერმე ვკითხე, საით მივდივართ-მეთქი, იმან კი, მეგზური მე ვარ და მომყევი, ვიცი, საითაც მივდივართო, ცოტა არ იყოს, ბრაზი დაიტყო ხმაში.

ნახევარ საათზე მეტი თუ არა, ნაკლები არ იქნებოდა გასული, როცა ჩანჩქერის ხმაურისდამაგვარი ჩხრიალი გაისმა. გარშემო მარტო მზისგან გადამწვარი ყანობირი ჩანდა, და გავიფიქრე, ალბათ, თაველ-თავთავთ თუ აშრიალებს-მეთქი ქარი. მაგრამ ხმაური ყოველ გადადგმულ ნაბიჯთან ერთად თანდათან ძლიერდებოდა, სანამ ეჭვი სულ არ გამიქრა: ჩვენ თვალწინ ნამდვილად ჩანჩქერი გადმოქუხდა, წყალუხვი ჩაბარუხი. საოცრება კი ის იყო, რომ თავი აქეთ-იქით ბევრი ვატრიალე, მაგრამ ახლომახლო მთა ვერ შევამჩნიე, საიდანაც წყალს ვარდნა შეეძლო.

მხოლოდ ერთი დაფერდებული გორაკის კინჭუხ-თხემი რომ გადავიარეთ, მაშინღა მივხვდი მისახვედრს და სუნთქვა შემეკრა ბუნების ამ უჩვეულო ქმნილება-ნაქმედის ხილვით აღტაცებულს: ხუთსართულიანი სახლის დამტევნელ ღრანტეებში წყალი დუღდა და გადმოდუღდა დედამიწის გულისკენ დაქანებული. ამ ერთობ დევერხინა ღრანტობ-დარანის ნამზღვლევ ნაპირთ კი ხშირად ატეხილი ხასხასა შალდაყი მოსდებოდა, აჩოყებული და გაბარდნული. რაც გასაოცრად განსხვავდებოდა იმ შემჭკნარ-შეჭმაქული მცენარეულობისგან, გზადაგზა არცთუ იშვიათად ფეხქვეშ რომ გვედებოდა.

— ქვემოთ აქ ჩავალთ, — თქვა პეტრუსმა.

და დავეშვით, ნელ-ნელა, გვერდულად, და უმალ ჟიულ ვერნი გამახსენდა — მეჩვენებოდა, რომ დედამიწის გულისკენ მივემართებოდით. ციცაბო ფერდობზე დაშვება იოლი არ იყო: ემანდ არ დავგორდე-მეთქი, ხან რომელ ეკალბარდს ვეჭიდებოდი, ხან რომელ ეკალჯაგს, ხანაც ალაგ-ალაგ გამოშვერილ ბასრ ქვის ღოჯთ ვებღაუჭებოდი. ასე რომ, როცა ძირს ჩავაღწიეთ, ხელები სულ მთლად დაგაზულ-დაკაწრული მქონდა.

— ბუნების საოცარი ქმნილებაა, — თქვა პეტრუსმა.

დაუთანხმებლობა არ ეგებოდა. შუაგულ უდაბნოში გაჩენილი ეს ოაზისი, მთელი თავისი აღაღანებულ-აბიბინებული მცენარეულობით, წყლის ნაშიშხალ-ფარდახტი ზედ უთვალავ ცისარტყელად რომ დასციმციმებდა, ახლოს ისეთივე თვალწარმტაცი იყო, როგორიც ზემოდან ჩანდა.

— აქ ბუნება თავის ძალას აჩენს, — დაბეჯითებით წარმოთქვა პეტრუსმა.

მართალი ხარ-მეთქი, დავეთანხმე.

— და ჩვენც ჩვენი ძალის გამოჩენის საშუალებას გვაძლევს. წამო, კლდე-კლდე ავყვეთ ჩანჩქერს, წყლის ღვარის გასწვრივ.

ერთხელ კიდევ შევათვალიერე სურათი, რომელიც ჩემ თვალწინ გადაშლილიყო, აწ უკვე აღარ მხიბლავდა ტურფა ოაზისი, ბუნების ეს უცხოდ განატიფებული იკლიკანტური სიჩქურე თუ ნაოცნებარ-გამონაგონი. თავაბლეჩილი ვიდექი თხუთმეტმეტრიანი კედლის წინ, საიდანაც გამაყრუებელი ჩხრიალ-გრიალით მოექანებოდა ნიაღვარი. პატარა ტბა, რომელსაც ქვემოთ ეს ნიაღვარი ქმნიდა, ღრმა არ იყო — კაცის სიმაღლისა იქნებოდა, მაგრამ მგრგვინავი წყალი ღრადოდარანში მიექანებოდა და ღმერთმა უწყის, სად, რომელ უფსკრულში ინთქმებოდა. კლდე ფრიალო და პიტალო იყო, სიპი, ხელის მოსაჭიდს ადვილად ვერ უპოვიდი, ტბას კი სიმარჩხისგან ძირი უჩანდა, ასე რომ, თუ დაგორდებოდი, განწირული იყავი — წყალი ზღართანს ვერ შეგიმსუბუქებდა. ნამდვილად შეუსრულებელი ამოცანის წინაშე აღმოვჩნდი.

ჩემდა უნებურად ხუთი წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა, როდესაც უაღრესად საშიში რიტუალის შესასრულებლად აგრეთვე სიმაღლეზე ასვლა იყო საჭირო. მოძღვარმა მაშინ არჩევნის შესაძლებლობა მომცა — გინდ ადი, გინდ — არაო. იმ დროს ბევრად ახალგაზრდა კაცი ვიყავი, თანაც ჩემი მოძღვარი ქვეყანაზე ყოვლის უძლიერესი მეგონა, ტრადიცია კი — მთლად სასწაულთათვის შექმნილი, და აგრერიგად გატაცებულმა გადავწყვიტე, რომ უკან არ დამეხია. ყველაფერს რომც თავი დავანებოთ, ჩემი სიქველისა და ვაჟკაცობის გამოჩენა მინდოდა.

ერთი საათის ბღოტიალის შემდეგ, როცა დავალების ყველაზე რთული ნაწილი უნდა შემესრულებინა, ისეთი ქარი ამოვარდა, ძირს რომ არ დავგორებულიყავი, იმ პატარა ბუსნოს დავებღაუჭე, რომელზედაც ვიდექი. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა თითქმის იმწუთასვე ვიგრძენი, რომ ვიღაც ხელს მაშველებდა, მიჭერდა, რათა ქარს ქვევით არ წავეღე. თვალები რომ გავახილე, ჩემ წინ მოძღვარი იდგა.

მან რამდენჯერმე ააქნია ხელები და ქარი მოულოდნელად ჩადგა. მერე, თითქოს ფრთები გამოისხაო, წარმოუდგენელი სისხარტით ჰკრა კამარა, — რომელ სისხარტეშიც ხანისად ლევიტაციის გამომუშავებული ჩვევა, ანუ ჰაერში ცორვა-ლივლივის უნარი მჟღავნდებოდა, — ცქვიტად დაეშვა მთიდან და, მომყევიო, მიბრძანა.

ფეხბაკანკალებული ძირს რომ ჩავედი, გაბრაზებულმა ვკითხე, ქარი რატომ მანამ არ ჩააყენე, სანამ დამეძგერებოდა-მეთქი.

— ეგრე მინდოდა, განგებ დაგაძგერე, — იყო პასუხი.

— რათა დაგეღუპე, არა?

— რათა გადამერჩინე. სხვანაირად მთის წვერზე ვერ ახვიდოდი. როცა შეგეკითხე, მთაზე ასვლა გინდა თუ არა-მეთქი, შენს ვაჟკაცობას კი არა, სიბრძნეს ვამოწმებდი. შენ იმ ბრძანებას ასრულებდი, რომელიც მე არ მიბრძანებია შენთვის. ლევიტაციის ხელოვნება თუ გეცოდინებოდა, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. მაგრამ სიმამაცისა თუ სიჩაუქის გამოჩენა შენ იქ ამჯობინე, სადაც მხოლოდ და მხოლოდ კეთილგონიერება იყო საჭირო.

და მაშინ იგი მოგვთა ამბავს მომიყვა, რომელი მოგვნიც გონების თვალის ახელისას კეთილგანმსჯელობის უნარს კარგავდნენ და თავიანთ საკუთარ ძლიერებას ვეღარ განასხვავებდნენ თავიანთივე მოწაფეთა ძლიერებისგან. ჩემი ცხოვრების იმ მონაკვეთში, ტრადიციის შესწავლას რომ მივუძღვენი, სამ უდიდეს მოძღვართან მომიხდა შეხვედრა — ერთი იმათგანი იყო ჩემი საკუთარი მოძღვარიც, — სამთავეს თავიანთი ფიზიკური ძლიერების ისეთ სფეროებში გადატანა ხელეწიფებოდა, რომელთა ხილვაც ჩვეულებრივ ადამიანს სიზმარშიც კი არ შეუძლია. ჩემი თვალით ვხედავდი არა ერთსა და ორ სასწაულს, ჩემი ყურით ვისმენდი მომავლის არა ერთსა და ორ ზუსტ წინასწარმეტყველებას, ვიცნობდი გარდასულ რეინკარნაციათა მთელ წყებას. ჩემმა მოძღვარმა ორი თვით ადრე მითხრა არგენტინელთაგან მალვინის კუნძულების დაპყრობის ამბავი. მან დაწვრილებით აღწერა, როგორ მოხდებოდა მოვლენათა განვითარება და ასტრალური თვალსაზრისით ამიხსნა შეიარაღებული შეტაკების მიზეზები.

თარგმნა
**გურამ გოგიაშვილმა**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 32-43, 45-54.



№ 55. სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

№ 55. სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

# განსჯა

● თვალში საცემია ისიც, რომ დაგეგმილი პროვოკაცია აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის „ვერხუშკასთან“ კარგად იყო კოორდინირებული, რაც იმავდროულად ტყვარჩელის მხრიდან კოდორის მიმართულებით „გრადი“-ს ტიპის დანადგარიდან ცეცხლის გახსნით დასტურდება.




## ◎ მწარე სიმართლე

# ალბათ, კიდევ დაგვბომბავენ!

*მართალია, მიმდინარე წლის 12 მარტის ღამეს ზემო აფხაზეთის სოფლების აჟარისა და ჩხალთის რუსეთის ავიაციის მიერ დაბომბვას ქართული მხარის მწვავე რეაქცია მოჰყვა, მაგრამ, ეტყობა, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი მიზანმიმართულად აგრძელებს კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის ესკალაციას, რასაც ადასტურებს კოდორის ხეობის საჰაერო სივრცეში 20 მარტს დილით ორი რუსული საბრძოლო მი-24 ვერტმფრენისა და ორი მოიერიშე სუ-25 თვითმფრინავის შემოჭრის ფაქტს. ცხადია, ანალოგიური პროვოკაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ ჩვენი ქვეყნის პროვოცირებას ფართომასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტში ჩასათრევად, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება. მიზეზი ნათელია – რუსეთის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არაერთი განცხადება გაკეთებულა იმის თაობაზე, რომ ეს ჩვენი მეზობელი ქვეყანა არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს საქართველოს ნატოში გაწევრიანებას.*

სიტუაცია ძალიან წააგავს 1941 წლის ომის წინა პერიოდს, როდესაც ფაშისტური გერმანიის სამხედრო თვითმფრინავები სისტემატურად არღვევდნენ საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეს და ახორციელებდნენ პროვოკაციულ ფრენებს ქვეყნის დასავლეთ სასაზღვრო რეგიონებში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი ხელისუფლება არ წამოეგება რუსეთის იმპერიულ პროვოკაციებზე, გამოიჩენს დიდ სიფრთხილეს და წინდახედულებას.

რაც შეეხება ზემო აფხაზეთის სოფლების დაბომბვის ფაქტს, რუსეთის მხარემ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კატეგორიულად უარყო მომხდართან რაიმე კავშირი. არადა, ფაქტები საპირისპიროს ღაღადებს. თვითმხილველების განცხადებით დაბომბვას, რომელიც ღამის 2 საათსა და 30 წუთზე დაიწყო, დაახლოებით საათნახევრის განმავლობაში, დროის გარკვეული ინტერვალებით, ექვსი საბრძოლო-დამრტყმელი მი-24 ვერტმფრენი ახორციელებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მათ ღამის პირობებში ზუსტი დარტყმები მიაყენეს აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების ადმინისტრაციისა და პოლიციის შენობებს.

რუსულ სერიულ საბრძოლო მი-24 ვერტმფრენს ღამით მოქმედება არ შეუძლია, ვინაიდან მას არ გააჩნია სათანადო საბორტო აპარატურა. რამდენიმე წლის წინათ მათ ამ ვერტმფრენის მოდერნიზება მოახდინეს, იგი აღჭურვეს ღამის სამიზნო-სანავიგაციო კომპლექსებით. მოდერნიზებულ ვერტმფრენს მი-24 პნ აღნიშვნა მიაკუთვნეს, სადაც აბრევიატურა „პნ“ რუსულად ნიშნავს „პუშეჩნი, ნოჩნოი“-ს, ანუ ქართულად – „ზარბაზნიანი ღამის“... სერიული მი-24 და მოდერნიზებული მი-24 პნ ვერტმფრენები გარეგნულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

თუ დავეყრდნობით რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების ყოველთვიურ ჟურნალ „ავიაცია ი კოსმონავტიკა“-ში (№ 10,2005 წ.) გამოქვეყნებულ ინფორმაციას, მოდერნიზებული მი-24 პნ ვერტმფრენები რუსებს ძალიან ცოტა, ხელის თითებზე ჩამოსათვლელი რაოდენობისა ჰქონიათ. აქედან გამომდინარე, ცხადია, მათ, ალბათ, ძალიანაც უფრთხილდებიან და ელიტარულ სამხედრო-საავიაციო ნაწილში ექნებათ თავმოყრილი. და, რა თქმა უნდა, მაღალი კვალიფიკაციის კარგად მომზადებულ და გამოცდილ მფრინავებზე განპირობებული. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ მწირი დაფინანსების გამო, რუსეთის სამხედრო უწყება ვერ ახერხებდა მოდერნიზებული მი-24 პნ და ანალოგიური დანიშნულების უახლესი მი-28 პნ საბრძოლო ვერტმფრენების დიდი რაოდენობით შეძენას.

აქედან გამომდინარე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის გარდა არც ერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არ ირიცხება მოდერნიზებული მი-24 პნ ვერტმფრენი, ადვილი ამოსაცნობია, თუ ვინ იყო კოდორის ხეობის ზემოთ აღნიშნული სოფლების დაბომბვის „შემოქმედი“.

ზემო აფხაზეთში მოწყობილ პროვოკაციაში იშვიათი მი-24პნ ვერტმფრენების ამოქმედება იმაზე მეტყველებს, რომ ოპერაცია რუსეთის იმ მაღალ ეშელონებში დაიგეგმა, რომლებიც ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე და „გრუ“-ზე ფლობენ კონტროლს.

თვალში საცემია ისიც, რომ დაგეგმილი პროვოკაცია აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის „ვერხუშკასთან“ კარგად იყო კოორდინირებული, რაც იმავდროულად ტყვარჩელის მხრიდან კოდორის მიმართულებით „გრადი“-ს ტიპის დანადგარიდან ცეცხლის გახსნით დასტურდება.

ხეობაში მომხდარ პროვოკაციასთან დაკავშირებით, ალბათ, თავის სიტყვას იტყვის 12 მარტის ინციდენტის შემსწავლელი ოთხმრივი ჯგუფი. ამავე დროს ყურადღებას იმსახურებს ქართული მხარის ქმედებები. საერთაშორისო ხელშეკრულებით საქართველოს არ აქვს უფლება, კონფლიქტის ზონაში ისეთი სამხედრო ტექნიკა ჰქონდეს, რომელიც საფრენ აპარატებს ჩამოაგდებს. ცხადია, ზემო აფხაზეთის 200-კაციანი პოლიციელთა რაზმი, რომელიც ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღით არის შეიარაღებული, თავდამსხმელებს ნამდვილად ვერ გაუწევს ღირსეულ წინააღმდეგობას. ამ ფონზე, ცოტა არ იყოს, არადამაჯერებლად ჟღერს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განცხადება, რომ მან გასცა ბრძანება, თავდასხმების განმეორების შემთხვევაში საზღვრის დამრღვევ საფრენ აპარატებს გაუხსნან ცეცხლი. მინისტრის ეს განცხადება, როგორც ჩანს, უბრალოდ გულის მოსაოხებელი სიტყვებია. აკი, იფრინეს დაუსჯელად ზემო აფხაზეთის საჰაერო სივრცეში „ამოუცნობმა“ ვერტმფრენებმა და თვითმფრინავებმა.

ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ კოდორის ხეობა უნდა იყოს საიმედოდ დაცული, ვინაიდან საქართველოს უფლება არ აქვს ამ რეგიონში შეიყვანოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები, მძიმე ტექნიკით და შეიარაღებით, რეალური ვითარებიდან გამომდინარე, რეგიონის მომიჯნავე ზონებში მიზანშეწონილი იქნება სწრაფი რეაგირების ძალების განთავსება, რომლებიც დაგვიცავენ ყოველგვარი მოულოდნელობისგან.

ამასთან დაკავშირებით კარგია, რომ მიმდინარეობს ჭუბერი-საკენის გზის მშენებლობა, რომელიც არა მარტო გარკვეული ეკონომიკური და სოციალური დატვირთვის მატარებელია, არამედ მას ძალიან დიდი სტრატეგიული დანიშნულებაც გააჩნია.

სამწუხაროდ, ქართულ მხარეს არ აქვს ეგრეთ წოდებული გამანადგურებელ-გადამჭერი თვითმფრინავები, რომლებიც საკადრის პასუხს გასცემენ ჩვენი ქვეყნის საჰაერო სივრცის დამრღვევთ. სამაგიეროდ, გვაქვს თბილისის საავიაციო ქარხანაში დამზადებული რამდენიმე მოერიშე-დამრტყმელი სუ-25 თვითმფრინავი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სახმელეთო ჯარების ჰაერიდან მხარდაჭერა, ბრძოლის ველზე და შეხების ხაზიდან 50 კილომეტრამდე ზურგის სიღრმეში მცირე ზომის მოძრავი და უძრავი სამიზნეების განადგურება. ამ თვითმფრინავს ასევე შეუძლია მოწინააღმდეგის ვერტმფრენების წინააღმდეგ ბრძოლა და საამისოდ იგი შეიარაღებულია ფრთის განაპირა პილონებზე დაყენებული „ჰაერი-ჰაერი“ კლასის ორი რ-60 მართვადი რაკეტით, აგრეთვე ფიუზელაჟის ცხვირის ნაწილში განთავსებული 30 მმ კალიბრის ქვემეხით, ფიუზელაჟის ქვემოდან საკიდი ოთხი კონტეინერით, 23 მმ კალიბრის ქვემეხით თითოეულში. ალბათ, საინტერესოა ისიც, რომ რ-60 და რ-72 მართვად რაკეტებს სუ-25 თვითმფრინავების პარალელურად დიდი რაოდენობით ამზადებდა თბილისის საავიაციო ქარხანა.

მოიერიშე სუ-25 თვითმფრინავები ავითარებენ მაქსიმალურ სიჩქარეს 950 კილომეტრს საათში და ბაზირების აეროდრომებიდან ზემო აფხაზეთის საჰაერო სივრცეში შესაღწევად მათთვის 10-15 წუთიც სრულიად საკმარისია, მაგრამ იმის გამო, რომ ეს თვითმფრინავები არ არიან აღჭურვილი ღამით სამიზნო-სანავიგაციო კომპლექსებით და შეუძლიათ მხოლოდ დღისით, ვიზუალური მხედველობის არეში მოქმედება ალბათ ამ მიზეზის გამო გამოირიცხა მათი გამოყენება 12 მარტს, ღამით კოდორის ხეობაში მომხდარ ინციდენტში. ამდენად, გაუგებარია, რატომ აამოქმედა საქართველოს სარდლობამ იმავე ღამეს მი-24 საბრძოლო ვერტმფრენები, რომლებსაც, ისევე, როგორც სუ-25 თვითმფრინავებს, არ შეუძლიათ ღამის პირობებში მოქმედება. სამწუხაროდ ფაქტია, რომ ამ ოპერაციის დროს კატასტროფა განიცადა ერთმა მი-24 ვერტმფრენმა და დაიღუპა მისი ეკიპაჟი.

რამდენიმე წლის წინათ თბილისის საავიაციო ქარხანამ ისრაელის ფირმის „ელბიტ სისტემზ“-ის ტექნიკური დახმარებით მოახდინა სერიული მოერიშე სუ-25 თვითმფრინავის მოდერნიზება, იგი აღიჭურვა დასავლური წარმოების საბორტო რადიოელექტრონული მოწყობილობებით და ღამის სამიზნე-სანავიგაციო კომპლექსებით, რომლებიც გაცილებით ჯობნიან რუსულ ანალოგებს. მოდერნიზაციის შედეგად ამაღლდა ამ თვითმფრინავის საბრძოლო-ტექნიკური შესაძლებლობები და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, შესაძლებელია მისი ღამით და შეზღუდული მხედველობის პირობებში ამოქმედება. მოდერნიზებულმა თვითმფრინავმა სუ-25 „სკორპიონი“ აღნიშვნა მიიღო.

საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში რამდენიმე მოდერნიზებული სუ-25 „სკორპიონი“ ირიცხება. ვიმეორებ, გაუგებარია, რატომ აამოქმედეს მათ ნაცვლად 12 მარტს ღამით მი-24 ვერტმფრენები?

საქართველოს ხელისუფლება, ალბათ გააკეთებს სათანადო დასკვნებს ბოლო დროს ზემო აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, დასახავს ქმედით ღონისძიებებს, რომლებიც დააჩქარებენ ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების ზრდას, მისი შეიარაღებული ძალების ნატოს სტანდარტებზე გადაწყობას.

ეს პროცესი მიმდინარეობს და მალე მარტო ტრაბახით კი არა, კონკრეტული საქმითაც ძლიერი ვიქნებით.

**ლევან ჩხეიძე,**
**საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.**

## ◎ განსაკუთრებული შემთხვევა

# მკურნალი პავლე ჩახმაჩიევი

**ალბათ, საუკუნეებს ითვლის სახალხო მკურნალთა არსებობის ისტორია. მათ ერთ დროს დევნიდნენ, ავიწროვებდნენ. დროის სვლასთან ერთად, მედიცინა დაიხვეწა და დღეს ძნელად დასაჯერებელია, რომ არატრადიციული მეთოდით მკურნალობა კვლავ იპყრობს საზოგადოების ყურადღებას. მათ ზოგჯერ ეჭვის თვალით, ზოგჯერ, უბრალოდ, ცნობისმოყვარეობით უყურებენ, მაგრამ დღეს, როცა ადამიანებმა გაკვირვებისა და გაოცების გრძნობა თითქოს დაკარგეს, წალკელ პავლიკასთან მისულს ეს გრძნობა აუცილებლად დაგეუფლება, როცა აქ მოსულ იმედგადაწურულ ადამიანს, ყავარჯნების გარეშე ჯანმრთელს დაინახავთ. კომუნისტების ეპოქაში, როცა ექიმბაშებს, ლამის სისხლის სამართლის დამნაშავეებად მიიჩნევდნენ, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ხალხი ჩამოდიოდა წალკაში, ჯინისელ პავლე ჩახმაჩიევთან.**



ჯერ კიდევ ბავშვი იყო პავლე ჩახმაჩიევი, როცა რაღაც განსაკუთრებული ძალა იგრძნო. ეს ძალა მოსვენებას არ აძლევდა. სკოლას დროებით თავი დაანება და მწყემსებს შეეკედლა. მაშინდელი პიონერისთვის ეს დასაძრახი საქციელი იყო. პირველად სწორედ მწყემსებთან მიეცა საშუალება თავისი უცნაური ნიჭის გამოყენებისა და ხორცშესხმისა: ცხვარს ერთი ხელის მოსმით უხორცებდა მოტეხილ ფეხს. მწყემსები გაოცებას ვერ მალავდნენ. ბიჭი მათთვის ნამდვილი შენაძენი იყო.

ორი წლის შემდეგ სკოლას დაუბრუნდა, ის წარჩინებით დაამთავრა და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩააბარა. თითქოს არაფრით გამოირჩეოდა სხვა სტუდენტებისგან. იყო მოწესრიგებული ახალგაზრდა, კარგადაც სწავლობდა. ერთ დღეს ტელევიზიასთან მოხდა საშინელი ავარია, პავლე და მისი მეგობრები ამ ავარიას შეესწრნენ. პავლე მივიდა ერთ-ერთ დამტვრეულ ახალგაზრდასთან და ხელების ოსტატური მოძრაობით ბიჭი ფეხზე წამოაყენა. მაშინ ეს ყველაფერი აკრძალული იყო, სკეპტიკურად უყურებდნენ. სასწაულების მაშინ არავის სჯეროდა.

მადლიერი პაციენტების ჩანაწერებით სავსე რვეული აქვს, ინახავს. საბჭოთა კავშირის რომელი ქალაქიდან ჩამოსულის ჩანაწერს არ ნახავთ. არაერთ ადამიანს დაუბრუნა ჯანმრთელობა და სიცოცხლე. უებრო დასტაქარი ვერ იხსნებს ვერც ერთ მაგალითს, რომ ავადმყოფი არ გამოჯანმრთელებულიყო. მისი სახლიდან ყავარჯნების და თაბაშირის გარეშე მიდიან და ეს სასწაული არის! უამრავ ადამიანს, ვისაც მკურნალობის საფასური არ გააჩნდა, თვითონ მისცა თავშესაფარი და საჭმელი. მე რომ ყველასგან ფული ამეღო, ამ სახლში არ დამეტეოდაო, – ამბობს ის. რამდენჯერ მანქანა უჩუქებიათ, რამდენჯერ სახლსაც დაპირებიან.

შვიდი წლის წინათ მას თავს დაესხა სწორედ ის ადამიანი, რომელსაც უმკურნალა, აჭამა და თავშესაფარი მისცა. შეიარაღებული თავდამსხმელი დაუსჯელი დარჩა. პავლე წალკიდან საბერძნეთში გადასახლდა. საბერძნეთში მას ძვირადღირებული და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კლინიკა დაახვედრეს. მრავალი საბერძნეთის და მსოფლიო ჩემპიონი მისი წყალობით დიდ სპორტს დაუბრუნდა. საბერძნეთში პავლე ჩახმაჩიევის უნიკალურ ნიჭს მიეძღვნა არაერთი გადაცემა, მრავალი გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა მისი მოღვაწეობის შესახებ.

პავლიკა (როგორც მას უწოდებენ) კვლავ წალკაშია. მრავალი ადამიანი, რომელსაც იმედი ჰქონდა გადაწურული და სამუდამო ინვალიდობა ემუქრება, ჯინისიდან ჯანმრთელი მიდის. მკურნალი მალე დატოვებს საქართველოს. რაოდენ დასანანია, რომ ის სათანადოდ ვერ დააფასა მაშინდელმა საზოგადოებამ. უბრალოდ, ნიჭიერი ადამიანების გაფრთხილება არ ვიცით...

**ნაზი მეშველიანი**

**სურათზე: პავლე ჩახმაჩიევი პატარა პაციენტის მკურნალობისას.**

# პრობლემა

● სამშობიაროში მისულ დედას მშობიარობაში 1200-1300 ლარის გადახდა რომ უწევს, ხომ ყველასათვის ცნობილია. უმუშევარ, ლუკმაპურის მაძებარ ოჯახებში ბავშვის მომლოდინე დედას შიშით გული უსკდება. აბა, როგორ გამრავლდება ერი?!



**◎ განგაში!**

***ამას წინათ, კერძოდ კი 10 მარტს, „კურიერმა“ ჩემთვის დიდად სამწუხარო და ტკივილიანი ამბავი გვაუწყა: საქართველოში შობადობა კატასტროფულად შემცირდა. უფრო მეტიც, 2015 წლისათვის 10 წლის მოზარდზე ორ-სამჯერ მეტი — 60 და უფროსი ასაკის ქართველები იქნებაო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მომაკვდავ ერთა სიაში უკვე შეგვიტანა და მათი ვარაუდით, თუ ერის გამრავლების ტემპები ასე გაგრძელდა, 2050 წლისათვის ქართული ეთნოსი საერთოდ აღარ იარსებებს. წარმოიდგინეთ, რა მოგველის, თუ ამ ამბავმა საყოველთაო ევროინტეგრაციისადმი ასე აშკარად მიდრეკილი „რუსთავი 2“-იც შეაშფოთა.***

## ასე ხომ გადავშენდით და ეგაა...

თუმცა ეს სავალალო ტენდენცია ერის გულშემატკივარი საზოგადოებისათვის ახალი სულაც არ იყო. მარტო წელს „საქართველოს რესპუბლიკამ“ ზემოხსენებულ თემას რამდენიმე მეცნიერულად გათვლილ-გაცნობიერებული პუბლიკაცია მიუძღვნა. მერედა, ყური ვინ გამოიბერტყა, თავი ვინ შეიწუხა?

რა გვეშველება? არადა, უსაშველო არაფერია ამქვეყნად. მთავარია გააზრებული, გეგმაზომიერი მეთოდიკა და პრობლემასთან ბრძოლის დიდი სურვილი.

მინდა ჩემი გამოცდილებიდან ერთი საგულისყურო მინიშნება შემოგთავაზოთ. ეროვნული



მოძრაობის აფეთქების წლებში, როდესაც რუსთაველის საზოგადოება შეიქმნა, დემოგრაფიულ საზოგადოებასაც ჩაეყარა საფუძველი. იმხანად საქართველოში 5 მლნ. 443 ათასი კაცი ცხოვრობდა. ცხოვრების დონე ასე კატასტროფულად აუტანელი არ იყო. 1979 წლიდან 10 წელიწადში ქართული მოსახლეობა 110,3%-ით გაიზარდა და შეადგენდა 3787,4 ათას კაცს.

ამასთან დაკავშირებით აკი ვწერდი ახლახან ჩვენს გაზეთში.

დიახ, მაშინ საგანგაშო თითქმის არა იყო რა, მაგრამ ერის გულშემატკივრებმა, ნაღდმა და არა ფსევდო-მამულიშვილებმა, მოსალოდნელი საფრთხე იგრძნეს და ამიტომაც შექმნეს დემოგრაფიული საზოგადოება.

1991 წელს რუსთავში ჩამოვიდა მწერალი ილია ბეგიაშვილი, რომელიც ქვეყანაში დემოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ. მან შემოგვთავაზა, რუსთავშიც ჩამოგვეყალიბებინა მსგავსი საზოგადოება და მას სათავეში ჩავდგომოდი. რა თქმა უნდა, მაშინ ეს ამბავი ქალაქის ხელმძღვანელობასთან უნდა შეგვეთანხმებინა.

იმხანად ქალაქკომის პირველი მდივანი თეიმურაზ ხაზარაძე, ხოლო აღმასკომის თავმჯდომარე თემურ დალაქიშვილი იყო. რა თქმა უნდა, მავანს გაეცინება, რადგან დღეს მიღებული სტერეოტიპებით, რადგან ისინი კომუნისტები იყვნენ, გულმხურვალე მამულიშვილებად ვერ შეირაცხებიან, მაგრამ, ნურას უკაცრავად. ხუთი წლის მანძილზე მხარში მედგნენ, ერთგულად ასრულებდნენ ქვეყნისათვის უკიდურესად საჭირო ერის გამრავლებაზე ზრუნვის საქმეს. მრავალშვილიანი დედებისათვის სპეციალური სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიაც გამოგვიყო ქალაქის ხელმძღვანელობამ. საჭიროებისამებრ, მათ სამ თუ ოთხოთახიან საცხოვრებელ ბინებს გადასცემდნენ. არც ახალდაქორწინებული ახალგაზრდები გვავიწყდებოდა. მათთვის განსაკუთრებით უშურველად ვირჯებოდით, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერის იმედით, მომავლის რწმენა გამყარებოდათ და ოჯახის სიმრავლეზე ეფიქრათ.

ჩემს არქივში დღესაც ინახება საბუთები, თუ რა მატერიალურ დახმარებას ვუწევდით მრავალშვილიანებს. ისინი კი, ზღაპარში რომ ამბობენ ხოლმე, დღითი დღე მრავლდებოდნენ. რუსთავში ნოდიების 13-შვილიანი, ქებაძეების 11-შვილიანი, ნათენაძეების 10-შვილიანი და კიდევ რამდენი მრავალწევრიანი ოჯახი ასე საგრძნობლად რომ მომრავლდა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მოკლე დროში მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობა გასამმაგდა კიდევაც. სულიერი და მატერიალური მხარდაჭერა რომ იგრძნეს, ქართველ დედებს გაწუმტკიცდათ ბუნებრივი სურვილი ბევრი შვილის ყოლისა (რაც, ჩემი ღრმა რწმენით, ისევ დევს ქართველი დედის გენშიძ.

მერე რაც მოხდა, ყველამ ვიცით.

მოვიდა ეროვნული მთავრობა და იმდენად ველარ, მაგრამ მაინც აქტიურად ვიბრძოდით დემოგრაფიული პრობლემატიკის დასაძლევად. მოგეხსენებათ, რა დრო იყო და მალე რატომღაც ჩვენი საზოგადოებრივი გაერთიანება ყურადღების გარეშე დარჩა. მე არ მინდა სხვანაირად გამიგონ, მაგრამ მაშინდელ ხელისუფლებაშიც ბევრი ქუჩიდან ახვეტილი ვიგინდარა მოკალათდა, რომელთაც საკუთარი ჯიბის გასქელების იქით სხვა წმინდა ღირებულება არა გააჩნდათ რა. მათ შორის ისეთებიც, დედებს უცერემონიოდ რომ ახლიდნენ პირში, ვინ გეხვეწებოდათ, ბევრი შვილი ვის გაუჩინეთო.

დავუბრუნდები დღევანდელ სატკივარს. მე მგონი, ხელისუფლების ნება თუ იქნება (სხვაგვარად ვერაფერს გავაწყობთძ, აუცილებელია დემოგრაფიული საზოგადოების იმ სახით შექმნა, როგორც მაშინ ფუნქციონირებდა. მტკიცედ მჯერა, რომ ქართველი დედები თავიანთი სწრაფვით მრავალშვილიანობისაკენ ისევ შეუნარჩუნებენ ერს მომავალს, როგორც არაერთხელ უწინაც, ოღონდ მათ ხელშეწყობა და თანადგომა სჭირდებათ.

ბევრ ქართველ ქალს ვიცნობ, ბევრი შვილის ყოლა ოცნებად რომ გადაქცევია, მაგრამ დღესდღეობით სამშობიაროში მისულ დედას მშობიარობაში 1200-1300 ლარის გადახდა რომ უწევს, ხომ ყველასათვის ცნობილია. უმუშევარ, ლუკმაპურის მაძებარ ოჯახებში ბავშვის მომლოდინე დედას შიშით გული უსკდება. აბა, როგორ გამრავლდება ერი?!

ყველაფერს თავი დავანებოთ და რუსეთელ ხელისუფალთა მაგალითი მაინც რატომ არ გვეგულისყურება, საკუთარ დემოგრაფიულ პრობლემებს ასე რომ ესათუთებიან. ნუთუ ამ სფეროში რუსებზე უკეთესად გვაქვს საქმე?!

აქვე მინდა ერთი რამ შევახსენო ჩვენს ხელისუფალთ. თუ საქართველოში ქართველობა აღარ იქნება, ამ მთავრობას არავინ დატოვებს. ქართული პოლიტიკური ელიტა ვისზე იბატონებს და იმანიპულირებს მაშინ? თუ აპრობირებული მეთოდით ისევ ააბორგებენ მიცვალებულთა სულებს, მუნიციპალური არქივებიდან კარგა ხნის წინათ გარდაცვლილთა სიებით შეივსებენ საარჩევნო ხმებს...

განგაშის ზარი შემოკრულია. ჩემი აზრით, ეს ზარი ზემოდან უნდა შემოკრან და პრობლემასთან ჭიდილიც სწორედ იქ, ქვეყნის სამთავრობო ეშელონებში დაიწყოს. გვესმის კი დღევანდელ ქართველებს მისი ხმა?!

**გივი ჯაჯუა**

***P. S. იმავე საღამოს „კურიერმა“ ერთი, მიუსაფარი ქართველი გვიჩვენა. გაქსუებულმა ჩინოვნიკმა კი იქვე განაცხადა, ჩვენ ფული არ გვაქვს და თუ სადმე ჩაწერილი არაა, ვერ დავეხმარებითო. მაშ, ვის და რა ინტერესებს ემსახურება მთელი ეს სახელმწიფო აპარატები, მხოლოდ იმ ჩინიანის ხელფასით უზრუნველყოფას?!***

***თქვენ მაინც სად ხართ, ერის წარმატებულო მილიონერებო?!***

**გ. ჯ.**

**◎ სულიერება**

**ყოველ ცისმარე დღეს, ოდეს საპატრიარქოს რადიოსა და ტელეარხს უსმენ და უმზერ, რაის გარეშეც უკვე ვერცა წარმოგისახავს სულიერი ცხოვრება შენი, ოდეს იქიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II დარბაისლური, სულიერად გაწონასწორებული ხმა მოედინება, ვითარცა მყინვარწვერის სპეტაკი სათავიდან მოჩუხჩუხე თავანკარა წყარო, კვლავ და კვლავ რწმუნდები, ჩვენი მწყემსმთავრის სიბრძნეში, სულიერ სიმაღლეში, სიღრმისეულად განსჭვრეტ ზეგარდმო ნიჭში, ღვთის, ერისა და მამულის მსახურებაში განსხეულებული წმინდა სანთელივით დაღვენთილი მისი გულის დიდებულებაში, განუზომელ სიკეთესა და უშრეტ სიყვარულში. მისი ქადაგებების, ლოცვების და დამოძღვრის ყოველი სიტყვა, ყოველი ამოსუნთქვა ღვთის სადიდებლად მართლმადიდებლობის განმტკიცების, ანუ სამშობლოს, ყოველი ჩვენგანის სულიერად გადარჩენისკენ არის მიმართული.**

## მთვარის დიდებითა მისითა...

უსმინეთ პატრიარქს ყოვლითა გონებითა და გულითა თქვენითა, გაითავისეთ მისი ყოველი სიტყვა, გულსა და გონებაში ჩაიბეჭდეთ, მიჰყევით უფლის გზას და საოცარი, არამიწიერი სიმშვიდე დაისადგურებს თქვენში; სადღაც, შორით-შორად გადაიკარგება მოუსვენრობა, ოდენ მიწიერისთვის ფორიაქი და ურვა, ზეციური განცდა დაგეუფლებათ და ფხიზლად შევხვდებით სიძეს ოდეს მოვალს დიდებითა თვისითა.

უხილავად ირწმუნო. აი, ყველაზე რთული რწმენაში... ბრძანა მაცხოვარმა, ნეტარ არიან, ვინც უხილავად მირწმუნებსო. მაგრამ სუსტია ადამიანი. ვინაა იგი, ვინცა ცხონდეს და არა სცოდოს? ამიტომ ვაწყდებით აქეთ-იქით, ვფორიაქობთ, მტანჯველი მწუხარება და მოულოდნელად აკიაფებული იმედი შინაგანად გვარყევს. მარადიული ბრძოლაა ბოროტისა



და კეთილისა. თავისუფალი ნება გვიბოძა უფალმა — ამოირჩიე. მაგრამ სუსტია ადამიანი და მირბიხარ, ეძებ, ოჯახშიც ვერ გვიგებენ, არა რა უწყიან ჩვენს სულიერ ფორიაქზე, ჭეშმარიტების პოვნის დაუოკებელ ჟინზე. ვლაღადებთ, რათა ისმინონ ჩვენი და სიქაგაცლილნი აღვაპყრობთ ხელს ღვთისაკენ: „შემინდე და შემიწყალე უფალო! შეეწიე ჩემს ტანჯულ, გაორებულ სულს! გადამარჩინე, ჩემის ნების საწინააღმდეგოდაც!“ უცილობლად შეისმენს და შეგვეწევა ღმერთი, რომელიც სიყვარელი და სიკეთე არს.

თბილისში დაბადებული ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი, წმინდა პავლე ფლორენციელი, მერმე რომ თბილისის კერძო სასულიერო სემინარიას წინამძღვრობდა, ასე გვასწავლიდა:

„მოაზროვნე ადამიანი უკვე მიხვდა, რომ აქეთ ნაპირზე არც არაფერი აქვს. მაგრამ ხომ უნდა ახვიდე ხიდსა ზედა და გარდავლო იგი! დიდი ძალისხმევა სჭირდება ამას. მაგრამ, ეგებ, ფუჭია ესოდენი ძალისხმევა? იქნებ უმჯობესია გამოლმა, ხიდთან აღმოგვხდეს სული? თუ ვიდოდეთ ხიდზე, ვაიდა, მთელი სიცოცხლეც და მარადის ველოდოთ გაღმა ნაპირის ხილვასა და იესო ქრისტესთან შეხვედრას? მრწამს, მისი მეორედ მოსვლისა, მრწამს ჩემი და კაცობრიობის გადარჩენისა“.

არავინ უწყის, ოდეს მეორედ მოვალს მაცხოვარი, გარნა მამისა. აღმობრწყინდება დიდებითა მისითა, ჩამოჰკრავს რა მოწევნის ჟამი და, მოვექცეთ პირველთქმად — ღვთის რჯულის შემეცნებით, პატრიარქს, დედამიწაზე უფლის ნების სიტყვადსიტყვის მქადაგებელს, ერის საცხოვნებლად დაუცხრომლად მლოცავ-მვედრებელს, ღვთის სასუფევლისკენ გზის გასავლელად ჩვენი მტილისოდენა ცდით ბუმბულისებრ მაინც შევუმსუბუქოთ ღვაწლი ესე, რათა გაბრწყინდეს საქართველო!

**ვლადიმერ აბულაძე**

№ 55. სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

**კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 25 მარტს გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში დადასტურებულია ინფორმაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ორი წარმომადგენლის დაღუპვის შესახებ და ხაზგასმულია, რომ ეს ინციდენტი არის „ცხინვალის რეჟიმის მხრიდან განხორციელებული მორიგი აღმაშფოთებელი პროვოკაცია“**



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

№ 55. სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

# ენერგეტიკული ომი

**გასულ უქმე დღეებში თბილისში დასრულდა GIOGIE - 2007 მეექვსე საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ნავთობის, გაზის, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის საკითხებს.**

ამ დიდ ენერგეტიკულ ფორუმზე, რომელშიც მონაწილეობდა მსოფლიოს 15 ქვეყნის სამასამდე დელეგატი, მათ შორის აზერბაიჯანის, ყაზახეთის, შეერთებული შტატების, თურქეთის წარმომადგენლები, მოისმინეს ანგარიში მეხუთე კონფერენციის დასრულებიდან გასული ერთი წლის განმავლობაში მიღწეულ წარმატებათა შესახებ. გაცილებით უფრო საინტერესო მოვლენები განვითარდა კულისებს მიღმა – განიხილეს რუსეთის გვერდის ავლით კიდევ ერთი გაზსადენის გაყვანის პროექტი.

საქმე ეხება GUEU პროექტის რეანიმაციას, რომელიც შავი ზღვის ფსკერის გავლით საქართველოს დაუკავშირებს უკრაინას და შემდეგ – ევროკავშირის ქვეყნებს. როგორც ვარაუდობენ, ამ საქმეში გამოიყენებენ აზერბაიჯანის გაზს, ტრანსკასპიის ენერგეტიკული დერეფნის ამოქმედების შემდეგ კი, მილს კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებზე მოპოვებული ცისფერი სათბობიც დაემატება.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ნიუ-იორკში სპეციალურად შექმნილი კონსორციუმი ლონდონის Pipeline System Engineering და ამერიკული Radon & Ishizumi მონაწილეობით, ამთავრებს მუშაობას პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე. იგეგმება, რომ თითქმის 2 მილიარდ დოლარად ღირებული GUEU გაზსადენით აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოდან ევროპაში ყოველწლიურად გაიგზავნება 8 მილიარდი კუბური მეტრი გაზი.

პროექტის მიხედვით, GUEU საკმაოდ დიდ მონაკვეთზე მიუყვება ამ ცოტა ხნის წინათ ამოქმედებული სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (ბაქო-თბილისი-ერზერუმი) გზას, მაგრამ შემდეგ მისი განშტოება მიემართება საქართველოს შავიზღვისპირა დაბა სუფსისკენ, სადაც თავის დროზე გაიყვანეს „პირველადი“ ნავთობსადენი აზერბაიჯანის საბადოდან. „ახალი მილის“ საზღვაო მონაკვეთი სუფსას დაუკავშირებს უკრაინის ქალაქ ფეოდოსიას, სადაც გაიყვანენ დაახლოებით 200-კილომეტრიან მილსადენს უკრაინის გაზის სატრანზიტო სისტემასთან დასაკავშირებლად. ასეთი გზით ცისფერი სათბობი მოხვდება პოლონეთში, ლიტვაში, სლოვაკეთში, ანუ იმ ქვეყნებში, რომლებიც ცდილობენ მინიმუმამდე დაიყვანონ რუსეთზე თავიანთი ენერგეტიკული დამოკიდებულება.

GUEU პროექტის მეორე ეტაპი ითვალისწინებს პირველი ეტაპის ფინანსური და ტექნიკური მაჩვენებლების ფაქტობრივ გაორმაგებას და უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემაში თავისუფალი სიმძლავრეების არსებობას კასპიის გაზის შორ მანძილზე ტრანსპორტირების მიზნით. ამჟამად არსებობს თავისუფალი სიმძლავრეები, და მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება 2010 წლის შემდეგ, როცა რუსეთი, სავარაუდოდ, თავისი „ცისფერი ნაკადის“ ექსპორტს უმთავრესად განახორციელებს რუსეთ-გერმანიის გაზსადენის მეშვეობით, რომელსაც ბალტიის ზღვის ფსკერზე გაიყვანენ.

ამავე დროს, უკრაინის პოლიტიკური ანალიზისა და საერთაშორისო გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორმა სერგეი ტოლსტოვმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა, რომ GUEU პროექტით გამოჩნდა ჯერ კიდევ 2005 წელს, იულია ტიმოშენკოს პრემიერ-მინისტრობის დროს, და მას აქტიურად ლობირებდა პეტრე პოროშენკო, რომელიც იმ დროისთვის სათავეში ედგა უკრაინისა და უშიშროების საბჭოს.

„სავარაუდოდ, საქართველო-უკრაინის მილით მოხდება გაზის ტრანსპორტირება ირანიდანაც. მაშინ პოროშენკო ჩავიდა თეირანში და ირანს შეპირდა იარაღს გაზის მიწოდების სანაცვლოდ. მაგრამ ამ ეტაპზე პროექტი დამტკიცებული არ არის. ევროპის კომისია ცდილობს თავი აარიდოს მის განხილვას, თუმცა ამ ბოლო ხანებში არც წამოჭრილა პროექტის რეანიმაციის შესაძლებლობის საკითხი. ევროკომისია მთავარ იმედებს ამყარებს „Nabuko“ გაზსადენზე და აპირებს ამ სისტემის გააქტიურებას 2008 წლისთვის“, – თქვა სერგეი ტოლსტოვმა.

როგორც მან აღნიშნა, ამ მილსადენის საექსპლოატაციოდ გადაცემა დაგეგმილია 2012 წლისთვის, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე წელიწადში 30 მილიარდი კუბური მეტრი იქნება.

„ის, რომ თბილისში კვლავ ალაპარაკდნენ უკრაინის მიმართულებით გაზსადენის გაყვანაზე მოგვაგონებს ლიტვის პრეზიდენტის ვალდას ადამკუსის იდეას, რომელიც აპირებდა ბელორუსიასა და უკრაინაში ნავთობის მიწოდებას კლაიპედის ნავსადგურიდან. თუ რუმინეთიდან ან უნგრეთიდან გაიყვანდნენ მილს ლიტვამდე, მაშინ, კრიტიკულ ვითარებაში, შესაძლებელი იქნებოდა გარკვეული მოცულობის საჭირო ნედლეულის ტრანსპორტირება, მაგრამ მთლიანობაში, ეს მხოლოდ ფანტასტიკაა და მეტი არაფერი. უკრაინის რეალური ინტერესები სულ სხვა რამეს გულისხმობს: რუსეთის გაზის მარშრუტი კიევისთვის მთავარი უნდა გახდეს, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინა დაკარგავს არა მარტო სარგებელს ტრანზიტისგან, არამედ, შესაძლოა, საერთოდ აღარც კი მიუწვდებოდეს მას ხელი ამ რესურსზე. ეს კი პრაქტიკულად კატასტროფა იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აზერბაიჯანმა დაიწყო თურქმენეთის გაზის სამხრეთი მარშრუტის ლობირება.

ახლა რუსეთსა და უკრაინას შორის მოქმედებს ეგრეთ წოდებული „ჯენტლმენური შეთანხმება“ რუსული მილსადენის მეშვეობით შუა აზიიდან მოწოდებული გაზის მოხმარების თაობაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტორი: იმის მიუხედავად, რომ ბუნებრივი აირის მოწოდება ხდება „გაზპრომის“ და „როსუკრენერგოს“ მეშვეობით, კონტრაქტებს ცალ-ცალკე დებენ თურქმენეთთან და უზბეკეთთან. თუ ევროპელები გვკითხავენ, რატომ ვიღებთ ასე იაფად გაზს, ჩვენ შეგვიძლია დავიმოწმოთ უშუალო კონტრაქტები. კიევმა უნდა განახორციელოს ჩრდილოეთის – რუსეთის მარშრუტის ლობირება, რომელიც მის ტერიტორიაზე გადის, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკრაინა ვერ გახდება ძირითადი სატრანზიტო სახელმწიფო“, – მიაჩნია სერგეი ტოლსტოვს.

როგორც ჩანს, GUEU პროექტის ავტორები მოვლენათა ასეთი განვითარებისთვისაც ემზადებიან. ისინი არც იმას გამორიცხავენ, რომ არსებობს უკრაინის გაზის სატრანსპორტო სისტემის რუსეთის კონტროლის ქვეშ გადასვლის ვარიანტიც. ამიტომ, მოსამზადებელ დოკუმენტებში ფეოდოსიის შესაძლო ალტერნატივის სახით მოიხსენიება რუმინეთის შავიზღვისპირა ქალაქი კონსტანცა. პროექტის განხორციელება მტკიცედ რომ არის გადაწყვეტილი ამას ისიც მოწმობს, რომ ამ სამუშაოებში აპირებენ ჩააბან იტალიის ENI და Saipem კომპანიების სპეციალისტები, რომლებიც მუშაობდნენ რუსეთ-თურქეთის გაზსადენის „ცისფერი ნაკადის“ გაყვანაზე.

„რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკა სერიოზულად დაუპირსპირდა დასავლეთისას, და იგი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს მოსკოვზე ენერგოდამოკიდებულება. თვით რუსეთში შეგნებული აქვთ, რომ სამხრეთის ენერგეტიკული დერეფანი, რომელიც სულ უფრო ინტენსიურად ვითარდება, მას თანდათანობით დააკარგვინებს რეგიონზე ზემოქმედების ბერკეტებს. ახლა მოსკოვისგან მოსალოდნელია რაღაც საპასუხო სვლა“, – განაცხადა ქართველმა ექსპერტმა ენერგეტიკის საკითხებში გია ხუხაშვილმა.

სამხრეთ კავკასიაში დაპროექტების და მშენებლობის სტადიაში მყოფი არაერთი ენერგეტიკული მილსადენი მოგვაგონებს არა მარტო „ინფრასტრუქტურულ ომს“, არამედ გასული საუკუნის დამლევის გამალებულ შეიარაღებასაც, რომელსაც ვერ გაუძლო საბჭოთა ბიუჯეტმა. მაგრამ ენერგეტიკული არტერიები სულ სხვა საქმეა.



**იური სიმონიანი,**
**სვეტლანა გამოვა**

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

# მორიგი აღმაშფოთებელი პროვოკაცია

**კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ 25 მარტს გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში დადასტურებულია ინფორმაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ორი წარმომადგენლის დაღუპვის შესახებ და ხაზგასმულია, რომ ეს ინციდენტი არის „ცხინვალის რეჟიმის მხრიდან განხორციელებული მორიგი აღმაშფოთებელი პროვოკაცია“.**

„25 მარტს ოსების უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა განახორციელეს მორიგი პროვოკაცია ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, რის შედეგადაც დაიღუპა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების ორი წარმომადგენელი.

ქართველი პოლიციელების ავტომანქანას, რომელიც მოძრაობდა სოფელ ნიქოზის მიმდებარე ტერიტორიაზე, გაუხსნეს ცეცხლი ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიიდან ფარულად შემოღწეულმა ოსეთის უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წარმომადგენლებმა. თავდასხმის შედეგად ადგილზევე დაიღუპა მანქანაში მყოფი ორი ქართველი პოლიციელი“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ამავე დროს, დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ორივე პოლიციელს სხეულზე მრავალი ჭრილობის გარდა, აღმოუჩინეს ასევე ავტომატური იარაღიდან განხორციელებული ეგრეთ წოდებული საკონტროლო გასროლის კვალიც.

„ამ ინციდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმის ყველა მცდელობა მიზნად ისახავს არა კონფლიქტის სრულმასშტაბიან პოლიტიკურ მოწესრიგებას და ხელოვნურად ორადგახლეჩილი საზოგადოების შერიგებას, არამედ ემსახურება ცხინვალის რეგიონში პროვოკაციისა და დესტაბილიზაციის მექანიზმების შენარჩუნებას. 25 მარტის ინციდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ აუცილებელია კონფლიქტის ზონის დაუყოვნებელი და სრული დემილიტარიზაცია და მისი გაწმენდა უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისგან, რაც უშუალოდ დაფიქსირებულია კიდეც შერეული სამშვიდობო ძალების მანდატშიც“, – აღნიშნულია სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„25 მარტის ინციდენტთან დაკავშირებით კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში მიიწვიეს საქართველოში ეუთოს მისიის მეთაური ბატონი როი რივი. ქართულმა მხარემ პრინციპულად მოითხოვა, რომ ადგილზე შერეული სამშვიდობო ძალებისა და გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის დასრულებისთანავე მიეცეს პრინციპული შეფასება ნიქოზში მომხდარ შეიარაღებულ პროვოკაციას. მოვუწოდებთ ეუთოს, პარტნიორ ქვეყნებს და საერთაშორისო გაერთიანებას, რომ მისცენ შესაბამისი შეფასება ცხინვალის რეჟიმის მორიგ აღმაშფოთებელ პროვოკაციას და გამოვთქვამთ იმედს, რომ საერთაშორისო გაერთიანება დაიკავებს პრინციპულ პოზიციას ნიქოზთან მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, – ხაზგასმულია განცხადებაში.

ქართული მხარის მიერ გავრცელებული წინასწარი ინფორმაციით, სოფელ ნიქოზთან მომხდარი ინციდენტის შედეგად დაიღუპნენ შიდა ქართლის რეგიონის ერთ-ერთი შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსი არჩილ ცხაკაია და მისი მძღოლი როსტომ ჯაფარიძე, რომელიც ახორციელებდნენ საგეგმო პატრულირებას სოფელ ავნევთან, სოფელ ნიქოზის მიმართულებით.

თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცებით კი დაღუპულები არიან „საქართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმის მებრძოლები, რომლებიც შედიოდნენ სადივერსიო ჯგუფის შემადგენლობაში“.

REGNUM

# დღევანდელობა

● ასე ებრძოდნენ, ახლაც ასე ებრძვიან და ვერ ასცდნენ (არც ასცდებიანძ ამ დონეს – ნარკოდილერებს იჭერენ. თანაც, სულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კერძო მეწარმეებს“, ანუ იმათ, ვინც თავის თავისთვის „მუშაობს“



◎ წარდგინება

## საქართველოში კორუფცია ტრანსფორმირდა

(მეორე გვერდიდან)

სინგაპურს, ჰონგ კონგს და სამხრეთ კორეას შორის კორუმპირებულობით მე-20 საუკუნის 60-70-იან წლებში სინგაპური გამოირჩეოდა. მაგრამ, ბოლო 10 წლის განმავლობაში შეძლო კორუფციის შემცირება.

ქეთევან როსტიაშვილი ფიქრობს, რომ პოლიტიკური კორუფცია საქართველოში ცალკე შესწავლის საგანია, თუმცა წიგნში მას მხოლოდ ერთი თავი ეთმობა. „მინდოდა, სტუდენტებისთვის ამეხსნა, როგორ ხორციელდება საქართველოში ინსტიტუციონალური რეფორმები, რა პრობლემები აქვთ ინსტიტუციებს და როგორ ხედავს ხელისუფლება კორუფციის მოგვარების გზებს“, – თქვა მან.

პარლამენტარმა, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზურაბ დავითაშვილმა აქცენტი მენტალობაზე გაამახვილა. „ბევრს ვლაპარაკობთ ჩვენს ევროპულობაზე, მაგრამ აღმოსავლური ტიპის ქვეყანა ვართ, სადაც ადამიანი ხელისუფლებაში მოდის ფულის საშოვნელად, ხოლო დასავლურ ქვეყნებში ხელისუფლებაში მოდის ის, ვისაც ფული აქვს.

ქართველმა კაცმა მენტალურად უნდა შეხედოს პრობლემას და გაითავისოს, რომ კორუფცია მის ოჯახს და ქვეყანას ღუპავს და პოლიტიკური კორუფცია სამომავლოდ მისი სიღარიბის მიზეზი იქნება. რაც უფრო მდიდარია ქვეყანა, კორუფციის დონე მით უფრო მცირდება“, – აღნიშნა მან.

საღამოზე საინტერესოდ ილაპარაკა პროფესორმა, სოციოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა: „საქართველოზე გავამახვილებ ყურადღებას. მხოლოდ ინსტიტუციონალური ცვლილებები არ კმარა, კორუფციას ეფექტიანად რომ ებრძოლო. აუცილებელია, ეს ცვლილებები ანტიკორუფციული სულისკვეთებით გამოირჩეოდეს. ინსტიტუციებში ადამიანები მუშაობენ. აუცილებელია ინსტიტუციური ცვლილებებისა და ანტიკორუფციული სულისკვეთების სინთეზი“.

იაგო კაჭკაჭიშვილის აზრით, ჩვენთან კორუფციამ სახე იცვალა, ტრანსფორმირდა და ამ მიზეზების გამოკვლევაც კარგი იქნებოდა.

ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის კავკასიის ოფისის დირექტორის ალექსანდრე კუხიანიძის აზრით, კორუფციასთან ბრძოლა რადიკალურ რეფორმებს უნდა უკავშირდებოდეს, მაგრამ კორუფციის აღმოფხვრა რეფორმებითაც შეუძლებელია. ეს უტოპიური ამოცანაა, რადგან ყოველთვის, ნებისმიერ საზოგადოებაში მოიძებნება ადამიანი, ვისაც მოუნდება ქრთამის აღება. ამიტომ ყოველთვის უნდა იყოს ეფექტური ანტიკორუფციული სისტემა.

ქეთევან როსტიაშვილმა მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს, ვინც დააფინანსა ეს პროექტი, ასევე – აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს, პროფესორ ლუი შელის, ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის აქაური ოფისის ხელმძღვანელს – ალექსანდრე კუხიანიძეს. ქეთევან როსტიაშვილი ემადლიერება საქართველოში აშშ-ს საელჩოს ყოფილ თანამშრომელს პიტერ სტარსერს, ვისი უდიდესი სურვილითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციათა ეს კურსი დაინერგა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ ნარკოტრანზიტი

(მეექვსე გვერდიდან)

## ლუკმა მაინც ჯამში ვარდება

ასე ებრძოდნენ, ახლაც ასე ებრძვიან და ვერ ასცდნენ (არც ასცდებიანძ ამ დონეს – ნარკოდილერებს იჭერენ. თანაც, სულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „კერძო მეწარმეებს“, ანუ იმათ, ვინც თავის თავისთვის „მუშაობს“. გსმენიათ, წაგიკითხავთ, რომელიმე დანაშაულებრივად ორგანიზებული ჯგუფის ნარკოკურიერისთვის ჩაევლოთ? კი, მათი გამოჭერა გაცილებით ძნელია, მაგრამ სწორედ საამისოდ სპეცდანიშნულების ამდენი სამსახური და ამ სამსახურებზე კიდევ უფრო მაგრად სპეციალური დანიშნულებისანი რომ გვყავს, პრეზიდენტის ბრძანების შემდეგ მაინც ხომ უნდა დამდგარიყვნენ ყურებზე (ესეც პრეზიდენტის საყვარელი გამონათქვამთაგანიაძ, ცოტა ჭკვისთვისაც მოეხმოთ და, ზრდილობის გამო, კინკილა „ორგანიზებული“ კურიერი მაინც გამოევლინებინათ?

ჯერ ესა ვთქვათ: წამლის სააგენტოს უფროსობა გულისწყრომას გამოთქვამს, აფთიაქებში ნარკოტიკების შემცველი პრეპარატებით სულაც ურეცეპტოდ ვაჭრობის გამო. ასეთი წამლების ნაწილი ოფიციალურად შემოაქვთ. დანარჩენი კონტრაბანდაა და სწორედ ამას ყიდიან ურეცეპტოდ. მათ გამოსავლენად ვილვწით, მაგრამ პრობლემა მაინც მოუგვარებელიაო. აგერ, ხომ მოგართმევდნენ ხონჩით ვითომ ნარკომანები სწორედ ეგეთი აფთიაქების მისამართებს? ისედაც, თითქოს რა ბრძენთა ხმობა ამას უნდა? იციან, სად და რამდენი აფთიაქია, ვთქვათ, თბილისში. კეთილი და პატიოსანი, ჩართე სათანადო სამსახურები. ერთბაშად ყველა თუ არა, განსაკუთრებით საეჭვო აფთიაქებს დაუარე. შეგზავნე ვითომ შაკიკიანი თუ ბუასილიანი მუშაკი. მისცემენ ურეცეპტოდ ნარკოტიკიან წამალს?! ეგრევე ეცი და ფარმაკოლოგიის ლიდერია, ლიდერთა შორის ლიდერი თუ მაჩანჩალა, ყოფა უტირე, იმიტომ, რომ ჩვენს შვილებს, ერის მომავალს ღუპავს!

დახეთ, როგორი ჯაჭვი გაიბა: – საბაჟო-მესაზღვრეებიპოლიცია-სააფთიაქო ქსელი. ეს, ფაქტობრივად, ჯაჭვის ის რგოლებია, რისი „ნებართვის“ გარეშეც ნარკოტიკი მომხმარებლამდე ვერ მივა. მაგრამ ხელისუფლებაში „კრიშის“ გარეშე გამოვა ეგ საქმე? ასე აშკარად და დაუსჯელად გაყიდიან აფთიაქებში ურეცეპტოდ ნარკოწამლებს? ერთი თურქი ჯალათი ოცნებობდა, ნეტავ, ვაჟი მოლა მყავდეს, მე გავისტუმრებდი სულებს, ის კი მიილებდა, ფული კი მაინც ოჯახში შემოვაო. ნარკოტიკების გაყიდვით ხომ ილებენ საარაკო თანხებს, ნარკომანებისგან და, უბრალოდ, ზემოთქმული მართლაც ავადმყოფებიდანაც ავსებენ ბიუჯეტს, ანუ ლუკმა მაინც ჯამში ვარდება, რადგან ბიუჯეტიც მათია. ახლაც კი, პრეზიდენტის ფაქტობრივი ბრძანების შემდეგ, რაც ტელევიზორში ვნახეთ ან წავიკითხეთ, ისევ და ისევ კერძო ნარკოშემომტანები შეიპყრეს. ორგანიზებულ დანაშაულს, მიზეზს არ ებრძვიან, რადგან ე. წ. სამართალდამცავნიცა და მათი „ზემდგომი“ მფარველნიც ხშირად თავად არიან ამ შხამის ბიზნესის თავკაცნი. ზოგი ოპოზიციონერის მტკიცებით, პარლამენტი ნარკომანებით არის სავსე. პარლამენტართა ნარკოლოგიური შემოწმება კი ყასიდად ჩატარდა.

ნარკოდილერებს ქონებასაც ჩამოართმევენ. ეგებ, უარესის ღირსნიც იყვნენ, მაგრამ შვილებმა თუ შვილიშვილებმა რა დააშავეს?! ეს თუ აქვთ გააზრებული პრეზიდენტსა და მისი ამ ინიციატივის კანონად ჩამომყალიბელთ? ვიდრე სტალინი იტყოდა, შვილები მშობლების გამო პასუხს არ აგებენო, გულაგი ბავშვებითაც გაივსო (თუმცა, არც ამ სიტყვების შემდეგ გაუხარიათ ამ უბედურთძ, მშობლებს ბინებს ართმევდნენ და შვილებს ქუჩებში ყრიდნენ. ახლა როგორ იქნება?

თუ მდიდარი ნარკომანი (თუმცა, ფული მაინც ქვეყნის, ხალხის ღლეტითა აქვს ნაშოვნიძ შინ არ შემოგვივარდება და არც ქუჩაში გამოგვჭრის ყელს ულუფა ნარკოტიკის ფულის საშოვნელად, ღარიბს ეს ძალზე ბევრჯერ და ისე სადისტურადაც უქნია, რომ მსოფლიო აულაპარაკებია. ამიტომ, ალბათ, მაინც საკითხავია, ნარკომანი მხოლოდ და მხოლოდ ავადმყოფია, თუ პოტენციური, თანაც ძალზე საშიში ბოროტმოქმედიც? ყველა იმედგაცრუებული, ცხოვრებაზე გულგატეხილი ხომ არ გამხდარა ნარკომანი? არ უნდა ნარკომანობა? ცოტას გაუძლია ლომკებისთვის და „გასუფთავებულა“? ცოტ-ცოტად სპეციალური სამკურნალო დახურული ცენტრებიც ხომ დაარსდა. ანდა, რომელი მონასტერი ეტყვის უარს ნარკომანს იქ ცხოვრებასა და დახმარებაზე? უნდა ნარკომანობა და იმიტომაც არის ნარკომანი. რომ მინდა ვეწეოდე ამ ოხერ თამბაქოს, იმიტომაც ვეწევი და თავს თუ სხვებსაც ვატყუებ, ვერა და ვერ შევეშვი ამ ეშმაკის საკმეველს-მეთქი!

ნარკომანიას, სხვა რამ ზნედაცემულობას, მჯერა, მხოლოდ და მხოლოდ ერის გაჯანსაღება, ანუ ღვთის რწმენა უშველის, მაგრამ საამისოდ სახელმწიფო ნებაც აუცილებელია. ეს ნება კი სწორედ საპირისპიროა...

**კონსტანტინე გურგენიძე**

№ 55. სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

## განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის და სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

**1. ცხადდება ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:**

**1.1. გარემოს დაცვის ლაბორატორიის ხელმძღვანელი - უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი) – 1 საშტატო ერთეული;**

**უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი) – 0,5 საშტატო ერთეული;**

**მეცნიერ-თანამშრომელი (ქიმიკოსი) – 1 საშტატო ერთეული.**

**1.2. ბუნებრივი კატასტროფების განყოფილება**

**მეცნიერ-თანამშრომელი (გეოლოგი) - 1 საშტატო ერთეული.**

**1.3. წყლის რესურსებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების განყოფილება**

**მეცნიერ-თანამშრომელი (ბიოლოგი, მეტყევე) - 1 საშტატო ერთეული.**

**1.4. ჰიდრომელიორაციისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების განყოფილება**

**მეცნიერ-თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული.**

**1.5. ალაზნის საცდელ-სამელიორაციო ეკოლოგიური პუნქტის ხელმძღვანელი - მეცნიერ-თანამშრომელი – 1 საშტატო ერთეული.**

**2. ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად:**

ა) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

ბ) უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი ან არის დოქტორანტი (ასპირანტი).

გ) მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი);

ზ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი.

**3. სამეცნიერო თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:**

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) პატენტები;

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში და ა.შ.;

დ) მონაწილეობა ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო თემატიკაში;

ე) კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

**4. საკონკურსო კომისიის შესაბამისი დასკვნების საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არაუმეტეს 3 წლის ვადით.**

**5. საბუთების მიღება იწარმოებს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში, მისამართი: 0162, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, ტელ: 224094; 227000; 227200.**

**ელ. ფოსტა: gwmi@mail.ru**

**6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ადგილის დასაკავებლად 2007 წლის 27 აპრილი, ხოლო მეცნიერ თანამშრომლისათვის – 11 მაისი.**

**7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისათვის 2007 წლის 4 მაისამდე, ხოლო სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულისათვის - 2007 წლის 17 მაისამდე.**

**8. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**

**თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 60, e-mail: gwmi@mail.ru ტელ: (995 32) 224094.**

**პასუხისმგებელი პირი**
**ბიჭი გაგარდაშვილი**

# დღის ამბები

**● კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. ქართული მხარე დე ფაქტო ხელისუფლებას პროვოკაციებისა და დესტაბილიზაციის მოწყობაში ადანაშაულებს**



## ◎ რაგბი

# ტრადიციას არც ამჯერად უღალატეს

**ამას წინათ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ესპანელთა ეროვნულ გუნდან ევროპის ერთა თასზე მოულოდნელი მარცხი იწვნია — გადახალისებულმა შემადგენლობამ ვერ გაამართლა, ამიტომ რუსებთან შეხვედრისთვის ჩვენმა მწვრთნელებმა კვლავ ძირითად მოთამაშეებს უხმეს, თუმცა რამდენიმემ, ობიექტური მიზეზების გამო, გასულ შაბათსაც ვერ ისპარეზა.**

ჩრდილოელ მეზობლებთან ოდითგანვე სარაგბო ქიშპობაც რომ გვაქვს, კარგად არის ცნობილი. რომ არაფერი ვთქვათ საკავშირო ჩემპიონატებში მიღწეულ წარმატებებზე, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბორჯღალოსნები ნაკრების დონეზე თერთმეტჯერ ეთამაშნენ რუსებს. პირველი ორთაბრძოლა 1993 წელს ფრედ დამთავრდა. დანარჩენ 9 შეხვედრაში წარმატებას ჩვენებმა მიაღწიეს, მათ შორის — შაბათს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე. არადა, საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის ფრანგი კლოდ სორელის მიერ დაგეშილმა რუსებმა ორთაბრძოლა მწვავე იერიშებით დაიწყეს და მე-9 წუთზე იური კუშნარიოვმა ანგარიშიც გახსნა. სამიოდ წუთში პალიკო ჯიმშელაძემ წონასწორობა აღადგინა. მართალია, ტაიმის მიწურულამდე კუშნარიოვმა კიდევ ორჯერ გამოიყენა საჯარიმოები, მაგრამ სტუმრებმა უპირატესობის ხელში ჩაგდება მაინც ვერ შეძლეს, რადგან გიორგი ჩხაიძის ლელოთი და ჯიმშელაძის ზუსტი გარდასახვით შესვენებამდე მასპინძლები დაწინაურდნენ — 10:9.



მეორე ტაიმში ბორჯღალოსნები მოედნის სრული ბატონ-პატრონები იყვნენ: რუსთა ერთ საჯარიმოს (კუშნარიოვი) მასპინძელთა 3 ლელო (ტექნიკური, ზურაბ მჭედლიშვილი, გია ლაბაძე, გარდასახვა — ჯიმშელაძე) მოჰყვა. საბოლოოდ, საქართველოს ნაკრებმა 31:12 გაიმარჯვა და, რუმინელებთან ერთად ერთა თასის გათამაშების ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

**გიორგი გაგუა**
**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

## ◎ ინფორმაცია

### განზრახ მკვლელობა პროვოკაციისა და დესტაბილიზაციისთვის

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მომხდარი მკვლელობის დეტალებზე შერეული სამშვიდობო ძალების მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა ჯერ მზად არ არის.**

შემთხვევის ადგილის დათვალიერება გვიან ღამით დასრულდა. ორივე დაღუპული პოლიციელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა შიდა ქართლის სამმართველოს განყოფილების უფროსი არჩილ ცხაკაია და მისი მძღოლი, გორის რაიონის სოფელ ატენში მცხოვრები 30 წლის სპარტაკ ჯაფარიძე საცხოვრებელ სახლებში გადაასვენეს.

ინციდენტის შემდეგ, ღამემ კონფლიქტის ზონაში მშვიდად ჩაიარა. არ დაფიქსირებულა სროლები, თუმცა ოსმა ძალოვანებმა ფრონეს ხეობაში მათი კონტროლირებადი პოსტები გააძლიერეს. სოფელ მუგუთთან ახლოს მდებარე საგუშაგოზე ამ დროისთვის დაახლოებით 20 შეიარაღებულია პირია მობილიზებული. ადრე ამ საგუშაგოზე მხოლოდ 4-5 პირი მორიგეობდა.

რაც შეეხება ქართულ საგუშაგოებს, სამართალდამცველების მობილიზება არ შეინიშნება, თუმცა ყველა გამვლელ მანქანაზე კონტროლია დაწესებული.

რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას,



მომხდარი მკვლელობის შემდეგ ისინი შეშინებულები არიან და, აუცილებელი შემთხვევის გარდა, გადაადგილებისგან თავს იკავებენ.

როგორც ცნობილია, 25 მარტს ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, სოფელ ავნევიდან ნიქოზის მიმართულებით პატრულირებისას არჩილ ცხაკაიასა და სპარტაკ ჯაფარიძეს ოსური მხრიდან ცეცხლი გაუხსნეს. ორივე მათგანი ადგილზე დაიღუპა.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ამ ფაქტთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. ქართული მხარე დე ფაქტო ხელისუფლებას პროვოკაციებისა და დესტაბილიზაციის მოწყობაში ადანაშაულებს.

სახელმწიფო მინისტრის აპარატი მოუწოდებს ეუთოს, პარტნიორ ქვეყნებს და საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო შეფასება მისცენ ცხინვალის რეჟიმის მორიგ აღმაშფოთებელ პროვოკაციას და გამოთქვამს იმედს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ნიქოზში დატრიალებულ ტრაგედიასთან დაკავშირებით პრინციპულ პოზიციას დაიკავებს.

### ეროვნული გვარდიის სარდალი ზუგდიდში

**ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ეროვნული გვარდიის სარდალი ნიკა ჯანჯღავა ახალგაზრდებს შეხვდა. იგი სამხედრო პროგრამასთან დაკავშირებით, სამეგრელოს რეგიონში მეორედ მართავს შეხვედრას.**

ზუგდიდელი სტუდენტების გარდა, შეხვედრას სამეგრელოს სხვა რაიონიდან ჩამოსული ახალგაზრდები დაესწრნენ.

შეხვედრის თემა 18-დღიანი სამხედრო პროგრამა იყო, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდებმა სამხედრო სარეზერვო სამსახური უნდა გაიარონ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში.

### სასამართლო პროცესი — მაია ნიკოლეიშვილის გარეშე

**სამშობლოს ღალატში ბრალდებული იგორ გიორგაძის მხარდამჭერთა პროცესი ერთ-ერთი განსასჯელის მაია ნიკოლეიშვილის გარეშე გაგრძელდება.**

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე მამუკა ნოზაძემ აღნიშნული გადაწყვეტილება ნიკოლეიშვილის ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო.

ამასთან, ნიკოლეიშვილი გუშინდელ სასამართლო სხდომაზე ადვოკატთან ერთად გამოცხადდა.

ადვოკატმა ითხოვა, რომ პროცესი ნიკოლეიშვილის გარეშე გაგრძელებულიყო,ვინაიდან ჯანმრთელობის მდგომარეობა პროცესში მონაწილეობის საშუალებას არ მისცემდა.

მოსამართლემ ეს თხოვნა შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ დააკმაყოფილა. სხვა განსასჯელების ადვოკატებმა კი გადაწყვეტილება გააპროტესტეს.

როგორც ცნობილია, ნიკოლეიშვილი, ბრალის აღიარების შემდეგ, წინასწარი პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

წინასწარ პატიმრობაში იმყოფება 12 პირი, მათ შორის, მაია თოფურია, თემურ ჟორჟოლიანი, ვახტანგ ტალახაძე, ზაზა დავითაია და სხვები.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მათ 10-დან 15-წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

### მემარჯვენეები ხელისუფლებას აფრთხილებენ

**პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეები“ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებენ და ხელისუფლებას მართებული გადაწყვეტილებისკენ მოუწოდებენ.**

— მხარს ვუჭერთ საპატრიარქოს პოზიციას და მიგვაჩნია, რომ დავით გარეჯის კომპლექსის ტურისტულ ზონად გამოცხადება დაუშვებელია. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების უფლება მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს, — ნათქვამია მემარჯვენეების მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში.

მემარჯვენეებს მიაჩნიათ, პრობლემა სახიფათოა და საგანგებო რეაგირებას საჭიროებს.

### „პენსიონერთა პარტია“ — „ქართულ დასთან“ ალიანსში

**პოლიტიკური ორგანიზაცია „პენსიონერთა პარტია“ და ჯონდი ბაღათურიას „ქართული დასი“ ალიანსს ქმნიან.**

ამის შესახებ ჯონდი ბაღათურიამ და „პენსიონერთა პარტიის“ ლიდერმა ირაკლი ნაცვლიშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს და სხვა სოციალურად დაუცველ ფენებს გაერთიანებისკენ მოუწოდეს.

როგორც ირაკლი ნაცვლიშვილმა აღნიშნა, მათი პარტია 1997 წლიდან არსებობს და მათ აქტიური მონაწილეობა მიიღეს არსებული ხელისუფლების, როგორც პოლიტიკური ძალის გაძლიერებაში, თუმცა დარწმუნდნენ, რომ არასწორი არჩევანი გააკეთეს.

— ხელისუფლებისგან ჩვენ ღირსების შემლახავი დამოკიდებულება მივიღეთ — 38-ლარიანი პენსია და უფასო სასადილოების დამამცირებელ რიგებში დგომა, — აღნიშნა ნაცვლიშვილმა.

**ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით**

## ◎ კალათბურთი

# მოვალეობის მოსახდელად

**სუპერლიგის XVIII ტურში სუსტ-ძლიერთა მატჩები გაიმართა და სათქმელიც ბევრი არაფერია — ფავორიტებმა უპრობლემოდ გამოუყვანეს წირვა მეტოქეებს და ამიტომ ჩვენც მხოლოდ საოქმო მონაცემებით შემოვიფარგლებით.**



„აზოტი“ — „მაკაბი“ 109:66. **ყველაზე შედეგიანები:** მარკოიშვილი, უგრეხელიძე — 14-14 ქულა („აზოტი“); გ. შერმადინი — 39 ქულა („მაკაბი“).

„ავიამშენი“ — სტუ 112:87. **ყველაზე შედეგიანები:** ბაბიაშვილი — 31 ქულა („ავიამშენი“); ბარბაქაძე — 23 ქულა (სტუ).

თსუ — „დინამო“ 90:72. **ყველაზე შედეგიანები**: იმნაძე — 18 ქულა (თსუ); გვიმრაძე — 26 ქულა („დინამო“).

**ტურის საუკეთესო მოთამაშე** — შიო ხეცურიანი (თსუ).

„აზოტი“ — 17, „ავიამშენი“ — 14, თსუ — 12, „დინამო“ — 5, „მაკაბი“, სტუ — 3-3 მოგება.

**XVI ეროვნული ჩემპიონატის შემდეგი ტური:** „აზოტი“ — „ავიამშენი“ (30 მარტი), „დინამო“ — სტუ, „მაკაბი“ — თსუ (31 მარტი).

**ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.**

**2007 წლის 17 აპრილს 14 საათზე შედგება ს/საზოგადოება ტრანსკავბსერვისი „ალავერდის“ აქციონერთა საერთო კრება.**

**დღის წესრიგი**

1. გასული 2006 წლის საფინანსო-სამეურნეო ანგარიში (მომხსენებელი ს/საზოგადოების გენ. დირექტორი ნ. გომურაშვილი)

2. სამეთვალყურეო საბჭოს ხელახალი არჩევნები ს/საზოგადოება ტრანსკავბსერვისი „ალავერდის დირექცია.

● გუნდი ისევ დამარცხებული ტოვებს სარბიელს. მიზეზები ძველ-თაძველია — ფსიქოლოგიური არამდგრადობა, ფუნქციონალური სისუსტე, უიღბლობა... საკმარისია, არა?



## ფეხბურთი

# „ტოპიც“ ხომ არ გაქართველდა?

**კლაუს ტოპმიოლერმა საქართველოს ეროვნული ნაკრები ბევრი მანკიერებისგან „დაცალა“, თუმცა, უმთავრესი მაინც დაუძლეველი დარჩა — გუნდი ისევ დამარცხებული ტოვებს სარბიელს. მიზეზები ძველთაძველია — ფსიქოლოგიური არამდგრადობა, ფუნქციონალური სისუსტე, უიღბლობა... საკმარისია, არა?**

არის კიდევ ერთი ფაქტორი, ვერანაირი მწვრთნელი რომ ვერ შთაგინერგავს. იგი შინაგანად უნდა იჯდეს შენში და მას ეროვნული ღირსება (გნებავთ — პატრიოტიზმი) ჰქვია. ამას რომ ვამბობთ, შაბათს გლაზგოში გაშვებულ გოლებს ვგულისხმობთ. ნეტავ კალაძე გვყოლოდა — ორივე ხომ მისი ზონიდან გაგვიტანესო — არაერთხელ მოვისმინე ამ დღეებში. უკვე მერამდენედ ენატრება ქომაგს „ჯვაროსანთა“ კაპიტანი. რატომ არავინ კითხულობს — უნდა კი თვით „მილანის“ პრიმადონას ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმით თამაში — მის კლუბს ხომ ერთ კვირაში „ბაიერნის“ წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის გაცილებით უფრო სარფიანი მეოთხედფინალური მატჩი ელოდება.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს შოტლანდიელთა წინააღმდეგ სხვები დაფრინავდნენ. პირიქით — უჩვეულოდ სუსტად გამოიყურებოდა ნახევარდაცვა კობიაშვილის თამადობით, თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, მაინც გვქონდა მინიმუმ ერთი ქულის მოპოვების შანსი, მაგრამ უკვე დასახელებულ გარემოებათა გამო ამჯერადაც გავწბილდით. სხვათა შორის, მნიშვნელოვანი შეცდომა, ვფიქრობ, „ტოპიმაც“ დაუშვა, როცა უკანასკნელი შეცვლა დააგვიანა — ალბათ, რბოლაში კვირკველიას ჩაბმა უკანა ხაზს არამარტო რაოდენობრივად დაეხმარებოდა.



**P. S. თუ როგორ უნდა უერთგულო ქვეყანას, პარტნიორებს, უკვე მერამდენედ, შოთა არველაძემ უჩვენა. მუხლის ქრონიკული ტრავმით გატანჯულმა „ტყუპმა“ „ჰემპდენ პარკის“ დროებითი დადუმებაც მოახერხა — მას ასისტენტობა აქტიურობით გამორჩეულმა დემეტრაძემ გაუწია.**

**გია პლატონიშვილი**

**„ევრო-2008“. შესარჩევი ეტაპი. შაბათის რაუნდი.**

**„ა“ ჯგუფი.** პოლონეთი — აზერბაიჯანი 5:0, ყაზახეთი — სერბეთი 2:1, პორტუგალია — ბელგია 4:0.

პოლონეთი — 13, ფინეთი — 11, პორტუგალია, სერბეთი — 10-10, ბელგია — 7, ყაზახეთი — 5, სომხეთი, აზერბაიჯანი — 1-1 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** აზერბაიჯანი — ფინეთი, პოლონეთი — სომხეთი, სერბეთი — პორტუგალია.

**„ბ“ ჯგუფი.** შოტლანდია — საქართველო 2:1, ფარერები — უკრაინა 0:2, ლიტვა — საფრანგეთი — 0:1.

შოტლანდია, საფრანგეთი 12-12, უკრაინა — 9, იტალია — 7, ლიტვა — 4, საქართველო — 3, ფარერები — 0 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** საქართველო — ფარერები, იტალია — შოტლანდია, უკრაინა — ლიტვა.

**„გ“ ჯგუფი.** საბერძნეთი — თურქეთი 1:4, მოლდოვა — მალტა 1:1, ნორვეგია — ბოსნია 1:2.

თურქეთი — 12, საბერძნეთი — 9, ბოსნია — 7, ნორვეგია — 6, მალტა — 4, უნგრეთი — 3, მოლდოვა — 2 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** თურქეთი — ნორვეგია, მალტა — საბერძნეთი, უნგრეთი — მოლდოვა.

**„დ“ ჯგუფი.** ჩეხეთი — გერმანია 1:2, ირლანდია — უელსი 1:0, კვიპროსი — სლოვაკეთი 1:3.

გერმანია — 13, ჩეხეთი, ირლანდია — 10-10, სლოვაკეთი — 9, კვიპროსი — 4, უელსი — 3, სან-მარინო — 0 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** ირლანდია — სლოვაკეთი, უელსი — სან-მარინო, ჩეხეთი — კვიპროსი.

**„ე“ ჯგუფი.** ხორვატეთი — მაკედონია 2:1, ისრაელი — ინგლისი 0:0, ესტონეთი — რუსეთი 0:2.



ხორვატეთი — 13, რუსეთი — 11, ინგლისი, ისრაელი — 8-8, მაკედონია — 7, ესტონეთი, ანდორა — 0-0 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** ანდორა — ინგლისი, ისრაელი — ესტონეთი.

**„ვ“ ჯგუფი.** ესპანეთი — დანია 2:1, ლიხტენშტაინი — ჩრდილოეთ ირლანდია 1:4.

შვედეთი — 12, ჩრდილოეთ ირლანდია — 10, დანია — 7, ესპანეთი — 6, ლატვია, ისლანდია — 3-3, ლიხტენშტაინი — 0 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** ჩრდილოეთ ირლანდია — შვედეთი, ლიხტენშტაინი — ლატვია, ესტონეთი — ირლანდია.

**„ზ“ ჯგუფი.** ჰოლანდია — რუმინეთი 0:0, ლუქსემბურგი — ბელორუსია 1:2, ალბანეთი — სლოვენია 0:0.

ჰოლანდია — 11, ბულგარეთი, რუმინეთი — 8-8, ბელორუსია — 7, სლოვენია — 4, ალბანეთი — 2, ლუქსემბურგი — 0 ქულა.

**ხვალ ითამაშებენ:** რუმინეთი — ლუქსემბურგი, სლოვენია — ჰოლანდია, ბულგარეთი — ალბანეთი.

**ამხანაგური მატჩი.** ბრაზილია — ჩილე 4:0.

## ორბიტაზე

### საფეხბურთო ომობანა?

**სპორტი რომ მშვიდობის დესპანია, საყოველთაოდაა ცნობილი, მაგრამ იშვიათი როდია, როდესაც სიძულვილი, მრისხანება და მტრობა ზოგიერთ სპორტულ პაექრობაზე უფრო მძლავრობს და მშვიდობა სანატრელი ხდება.**

გულშემატკივრებმა კარგად იციან საფეხბურთო ომების შესახებ სამხრეთ ამერიკაში, რაც, როგორც ჩანს, აფრიკის კონტინენტსაც გადაედო.

გასულ უიკ-ენდზე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ კინშასაში უნდა გამართულიყო აფრიკის



თასის შესარჩევი ციკლის მატჩი კონგოსა და ეთიოპიის ნაკრებებს შორის. მაგრამ საფეხბურთო მატჩი, ღარიბი მოსახლეობის თავისებური სულის მოსათქმელი — გადაიდო დედაქალაქის ქუჩებში ორდღიანი უწესრიგობის გამო, რამაც 100 ადამიანზე მეტი იმსხვერპლა.

ჯერჯერობით აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციას (CAF) მატჩის ახალი თარიღი არ დაუდგენია.

### რუსული სასწაული მელბურნში

**ასე შეიძლება ეწოდოს სინქრონულ ცურვაში რუსეთელ ქალთა ნაკრების წარმატებას საწყლოსნო სახეობებში მსოფლიო ჩემპიონატზე მელბურნში.** მათ ხომ შვიდიდან ექვსი ოქროს მედალი მოიპოვეს, რაც ნამდვილად უდიდესი გამარჯვებაა საერთოდ რუსეთელების არც თუ სახარბიელო ასპარეზობის ფონზე მწვანე კონტინენტის წყლის ბილიკებზე, მით უმეტეს, რომ თავისუფალი სტილით ვაჟთა ესტაფეტაში 4X100- რუსეთის ნაკრები დისკვალიფიცირებულია ფალ-სტარტის გამო, ასევე დისკვალიფიცირებულია დოპინგ-ტესტის გამო ანასტასია ივანენკო, რამაც მას პეკინის ოლიმპიადისკენ გზა გადაუკეტა.

რუსეთს ოქრო მოუპოვეს აგრეთვე 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში გლებ გალპერინმა და იური კუდინოვმა 25 კმ-ზე ცურვაში.

ერთხელ კიდევ ისახელა თავი 400 მეტრზე ცურვაში ფრანგმა ლორი მანადუმ.

**სურათზე: რუსეთის ნაკრები.**



## ფიგურული ციგურაობა

### იაპონელთა ტრიუმფი

**ტოკიოში ფიგურულად მოციგურავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ქალთა შეჯიბრება იაპონელთა ტრიუმფით დასრულდა. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა ოქროს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს.**

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე 19 წლის მიკი ანდო (195,09ძ ავიდა. საგულისხმოა, რომ იგი შარშან ტურნირის ოლიმპიურ თამაშებზე მხოლოდ მე-15 გახლდათ. ჩემპიონს 0,64 ქულით ჩამორჩა 16 წლის თანამემამულე მაო ასადა. 186,14 ქულით მესამე იყო კორეელი იუ ნა კიმი.

ქართველი მოციგურავე ელენე გედევანიშვილი, რომელიც



მოკლე პროგრამის შემდეგ მე-13 ადგილზე იმყოფებოდა, საბოლოოდ მე-17 ადგილს დასჯერდა, რითაც შარშანდელი შედეგი სამი საფეხურით გააუარესა.

## სუმო

### „შავი ზღვის“ ლიჩსებზე

**სენსაციური შედეგით დამთავრდა ოსაკაში (იაპონიაძ მატჩი ბაშო — იმპერატორის თასი 22 წლის მონღოლმა ჰაკუჰომ (ოძეკიძ დაისაკუთრა. მან სახელოვანი თანამემამულე ასაშორიუს მსგავსად, 15 შეხვედრაში 13 გამარჯვება მოიპოვა. ფლეი-ოფში მონღოლთა დაპირისპირება ახალგაზრდა სპორტსმენმა მოიგო.**



პირადი რეკორდის გაუმჯობესება შეეძლო ლევან ცაგურიას („კოკაი“ძ, რომელმაც ამ ბაშოზე 10-ჯერ მიაღწია წარმატებას (ამგვარი შედეგი მას 2004 წლის მაისსა და 2006 წლის ივლისშიც ჰქონდაძ, თუმცა ქართველმა ათლეტმა შანსი ვერ გამოიყენა — ბოლო ორთაბრძოლა ვაკანასატოსთან დათმო.

## ჭადრაკი

# ბაადურის ბადეში

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გუშინ დამთავრდა საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 66-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 12 მონაწილე წრიული სისტემით იბრძოდა მედლებისთვის.**

მოასპარეზეთა შორის ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე 23 წლის ბაადურ ჯობავამ დაამტკიცა თავისი უპირატესობა — მან 11 შესაძლებლიდან 8,5 ქულა მოაგროვა და მეორედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. გალელმა დიდოსტატმა ტურნირზე შვიდი პარტია მოიგო, სამი ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ ერთხელ წააგო. ეს ერთადერთი მარცხი მას მე-10 ტურში დიდოსტატმა დავით არუთინიანმა აგემა. დათო გამარჯვებულს ქულით ჩამორჩა და საბოლოოდ ვერცხლის მედალი ხვდა. საგულისხმოა, რომ არუთინიანმა შარშანაც მეორე ადგილი დაიკავა, ოღონდ მაშინ ტაი-ბრეიქებში აჯობა თამაზ გელაშვილს, რის შედეგადაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ადგილი დაიბევა და იტალიაში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზეც იასპარეზა.



რვა წელიწადია, საქართველოს ორგზის ჩემპიონი (1982, 1988ძ გია გიორგაძე სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობის გამო აქტიურ საჭადრაკო ცხოვრებას ჩამოშორდა. ამჯერად ახალგაზრდებთან მონდომა ძალების შემოწმება და წარმატებასაც მიაღწია: ტურნირი მხოლოდ მან განვლო დაუმარცხებლად — 3 ხელი მოიგო და 8 მეტოქეს დაუზავდა, რითაც 7 ქულა მოაგროვა და ეროვნული ჩემპიონატის შარშანწინდელ მეორე პრიზიორ ლევან ფანცულაიასთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო. გუშინ სწორედ მათ შორის გაიმართა ტაი-ბრეიქები ბრინჯაოს მედლისთვის.

ორ ოცდახუთწუთიანი პარტია ყაიმებით დამთავრდა, ხუთწუთიანებში კი გიორგაძემ იძალა და 2:0 გაიმარჯვა.

დებულების თანახმად, ჭადრაკის ეროვნული ფედერაცია პრიზიორებს (ისინი სოლიდური თანხითაც დაჯილდოვდნენძ ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებლად აფინანსებს, ხოლო ჩემპიონმა და ვიცე-ჩემპიონმა ადგილები ეროვნულ ნაკრებშიც დაიბევეს.

ეროვნულ ჩემპიონატზე მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: V-VI. მიხეილ მჭედლიშვილი და თამაზ გელაშვილი — 6,5 ქულა, VII. მერაბ გაგუნავა — 6, VIII. გაიოზ ნიგალიძე — 5 (მან საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულაძ, IX-X. გიორგი ყაჭეიშვილი და ლევან აროშიძე — 4,5, XI. შოთა აზალაძე — 2,5, XII. პარმენ გელაზონია — 0,5 ქულა.

**ლექსო ცინცაძე**

№ 55. სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

# ხელოვნება

● ამას წინათ საქართველოს შოთა რუსთაველის საზოგადოების ვრცელ დარბაზში გაიმართა პოეტისა და მხატვრის ბიეტა აბშილავას ნამუშევართა გამოფენა — „ქართველ პოეტთა ნაქარგი ხელნაწერები“, რომელიც ავტორმა ყველასთვის საყვარელი პოეტის, დრამატურგის, საზოგადო მოღვაწის მარიკა ბარათაშვილის საუკუნოვან იუბილეს მიუძღვნა



**◎ ხვალ, საოპერო სცენაზე**

# ახლა სარკის წინ ფიქრები, დიდი ტენორი ვიქნები...

## 30 წელი აბესალომიდან კანიომდე

**1977 წლის ნოემბრის თბილი საღამო. ქართული კულტურის ერთ-ერთი ცენტრი, ნახანძრალი თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, კაპიტალური რემონტის შემდეგ, ისევ მწყობრშია და, რაღა თქმა უნდა, ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერით“ იწყებს განახლებულ შემოქმედებით ცხოვრებას. ახალგაზრდების დებიუტია ამ საღამოს: მალხაზი — ალექსანდრე ხომერიკი, ეთერი — მაია თომაძე, მურმანი — ელდარ გეწაძე.**



უფროსი თაობის თბილისელები, თავგადაკლული მელომანები დამერწმუნებიან, რომ ეს იყო ბრწყინვალე დებიუტი ახალგაზრდებისა. მოგვიანებით, დაუვიწყარი ზურაბ ანჯაფარიძე თავის ღირსეულ შემცვლელად ასახელებს ალეკო ხომერიკს, და არა მარტო აბესალომის როლში.

და, მართლაც, ტენორებით განებივრებულ საქართველოში ალეკო ხომერიკმა სრულიად თავისებურად გაიბრწყინა, ზედიზედ შეასრულა წამყვანი პარტიები ცნობილ ოპერებში, დაიმსახურა მაყურებლისა და მსმენელის დიდი სიყვარული და, მოულოდნელად, 17 წლის შემდეგ... დატოვა უდიდესი სცენა ფალიაშვილის სახელობის თეატრისა.

რამ მოხდა?... არც ალეკო ხომერიკს ასცდა ჩვეულებრივი „თეატრალური ინტრიგა“, აბა, მოკასკასე ტენორს მოშურნეს რა დაუღევს, ამდენ ტაშსა და ოვაციას ვინ აიტანს!... ჰოდა, ისიც მიდის თეატრიდან. თუმცა, ამ წასვლით მოიგო ალეკო ხომერიკმაც და, რაც მთავარია, ქართულმა ხელოვნებამაც. იგი მშობლიურ ბათუმში ხსნის საოპერო თეატრს, ზედიზედ დგამს გამორჩეულ სპექტაკლებს და მეტ გასაქანსაც აძლევს თავის ნიჭსა და უნარს. ვაი, რომ დღეს ეს თეატრი სულს ღაფავს, ალექსანდრე ხომერიკი კი, მიუხედავად მრავალი მაცდუნებელი მიწვევისა მსოფლიოს სახელგანთქმულ საოპერო თეატრებში, ისევ თბილისს უბრუნდება და ამ შემოდგომაზე, 30 წლის შემდეგ, აბესალომსაც იმღერებს საოპერო თეატრის სცენაზე. მანამდე კი, აგერ ხვალ, ლეონკავალოს „ჯამბაზებში“ კანიო უნდა შეასრულოს.

... ჩვენ თეატრის სასამსახურო შესასვლელში ვხვდებით ერთმანეთს. ალეკო შეფუთნულია, ყელზე თბილი კაშნე შემოუხვევია — ვინ იცის, ვირუსს არ სძინავს, ცივი გაზაფხულია, არადა, პირველად გამოდის „ჯამბაზებში“.

— ამ ნაწარმოებს დიდი ტრადიცია აქვს ჩვენს თეატრში, — მიამბობს ალეკო, — კანიოს ასრულებდნენ დავით ანდღულაძე, ნიკო ქუმსიაშვილი, ნოდარ ანდღულაძე, ზურაბ ანჯაფარიძე, ანზორ ფიოლია... ამიტომ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ვღელავ. ეს არის ემოციებზე აგებული დრამატული პარტია, მოითხოვს მთელი ძალების დაძაბვას, ამიტომ ვერიდებოდი კიდეც, მაგრამ, აი, როგორც ხედავთ, გავბედე და, ვნახოთ...

შემდეგ იგი სიყვარულით იგონებს ზურაბ ანჯაფარიძეს — მის კონსულტანტსა და დამრიგებელს, კონცერტმაისტერ ტატიანა დუნენკოს, კონსერვატორიის პროფესორს გიორგი გოგიჩაძეს... დიდად მადლიერია გივი აზმაიფარაშვილისა, გიზო ჟორდანიასი, გიგა ლორთქიფანიძისა, ჯანსულ კახიძისა... სევდიანად უზნობს განუყრელ პარტნიორზე, უნიჭიერეს მაია თომაძეზე... მერე კი დაპირებულ ფოტოს მაწვდის, რომელზეც 30 წლის წინანდელი მომენტია აღბეჭდილი — ახალგაზრდა მომღერალი ალეკო ხომერიკი სარკეში გრიმს ისწორებს, იგი ამ საღამოს პირველად უნდა გამოვიდეს სახელოვანი თეატრის სცენაზე და აბესალომი იმღეროს.

დავხედე სურათს: — ბიჭოს, ახლა აქ შეიძლება იმასაც ფიქრობ, რომ მომავალში დიდი მომღერალი, დიდი ტენორი გახდე... — ღიმილით ვეუბნები მომღერალს.

— აბა, რა გითხრა... ისე, საკუთარი ძალისა თუ არ გწამს, არც უნდა გახვიდე ხელოვანი სცენაზე...

— ჭეშმარიტად!...

ხვალ კი „ჯამბაზებში“ გამოდის ალექსანდრე ხომერიკი, წარმატება ვუსურვოთ!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**◎ შენ, ნიჭო ჩემო!..**

# სიტყვაქარგულობის დიდოსტატი

**ამას წინათ საქართველოს შოთა რუსთაველის საზოგადოების ვრცელ დარბაზში გაიმართა პოეტისა და მხატვრის ბიეტა აბშილავას ნამუშევართა გამოფენა — „ქართველ პოეტთა ნაქარგი ხელნაწერები“, რომელიც ავტორმა ყველასთვის საყვარელი პოეტის, დრამატურგის, საზოგადო მოღვაწის მარიკა ბარათაშვილის საუკუნოვან იუბილეს მიუძღვნა.**

ბიეტა აბშილავასთვის ეს უკვე მე-19 პერსონალური გამოფენა გახლავთ. მისმა არაჩვეულებრივმა ნაქარგებმა მოიარეს სრულიად ამერ-იმერის საგამოფენო დარბაზები.

ამ უჩვეულო ნაქარგებში სათნო ქალბატონმა საქართველოს ისტორიაში პირველმა შექმნა ხელნაწერთა ხელთუქმნელი სილამაზე, სადაც შთაგონების წყაროდ ქართული პოეზია აქცია, სალოცავად და უმთავრეს საფიქრალად კი — სამშობლო.

**„პოეტ-მქარგავ-პატრიოტი, მშრომელი და**
**ჩუმი თანაც,**
**ნეტავ, დედასაქართველოს ბევრი ჰყავდეს**
**შენისთანა!**
**მოგექარგოს, დაგეწეროს ბევრი სახე, ბევრი ლექსი,**
**ოქროს გულით ოქროს კალმით, ოქროს ძაფით,**
**ოქროს ნემსით!..“**

წერდა ბიეტა აბშილავას ცნობილი პოეტი **ზაურ ბოლქვაძე**.

„აქ უხვად წარმოდგენილ ნაქარგებზე ასახულ ყოველ ხელნაწერს თავისებური სხივი დაჰყვება. ყოველი მათგანი ახალი სიცოცხლით ფეთქავს. ბიეტა აბშილავას ნაირფერ ტილოებზე თითოეული ასოს ამოქარგვა, ალბათ, უდიდესი შრომისა და მოთმინების შედეგია, რასაც საქმის მხოლოდ დიდი სიყვარული თუ შეაძლებინებს ადამიანს“, — ჩაუწერია შთაბეჭდილებათა წიგნში პოეტ **ანა კალანდაძეს**.



რუსთაველის საზოგადოებაში გამართულ ამ მშვენიერ საღამოზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ ქართველი მწერლები, პოეტები, მხატვრები, კომპოზიტორები, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობა.

ლადო ასათიანი თავის ახალშობილ ქალიშვილს ლექსად უწერდა, მინდა მანანა ორბელიანს დაემსგავსო და მინდა მასავით ქარგავდე შენი საქართველოს ალამსო. პირადად ჩემთვის ეს საქართველოს ალამი არის ქართული პოეზია და ღმერთმა დაავალა სწორედ ბიეტა აბშილავას, ეს ალამი მოქარგოსო, — თქვა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა **მიხეილ ქურდიანმა**.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ქალბატონმა **მაყვალა გონაშვილმა** გულთბილი სიტყვები უძღვნა ბიეტა აბშილავას და გალაკტიონის ცნობილ სიტყვებს შეადარა — სავსე ქართული პატიოსნებით! **ზაზა ქინქლაძემ** მას „სიტყვაქარგულობის დიდოსტატი“ უწოდა.

**გენო კალანდიამ** გამოსვლა ასე დაასრულა: „ღვთიური ქალბატონი ბრძანდებით, ასე რომ ეფერებით ქართულ სიტყვას, ალბათ, თითოეულ პოეტზე მეტად. მე ერთ რამეზე ვოცნებობ: თექვსმეტი წლის წინათ აფხაზეთის მწერალთა სახლში გამოფენა რომ მოგიწყვეთ, მალე განმეორებულიყოს და ისევ მასპინძლად დაგხვედროდეთ სოხუმში!“

**რევაზ მიშველაძე:** „ვფიქრობ, რაც აქ, ამ დარბაზში ხდება, რა სიყვარულიც, რა სევდაც, რა პატრიოტიზმიც სუფევს, ესოდენ დეფიციტური რომ გახდა ჩვენს ქვეყანაში, ნეტავ მთელ საქართველოს აჩვენა-მეთქი... ეს ნიჭიერი ქართველი პოეტი ქალი ემსახურება ხელოვნების ისეთ იშვიათ, უაღრესად ფაქიზ დარგს, როგორიცაა ქართველ მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა ავტოგრაფების გაცოცხლება. ნატიფი ხელოვნებით — ქსოვით“.

— არის საინტერესო წიგნი დედამიწის ზურგზე, რომელსაც გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნი ჰქვია და ჩვენ მსოფლიოს ვამცნობთ, შეძლებისდაგვარად, ქართულ სპორტულ და ინტელექტუალურ რეკორდებს, — აღნიშნა თავის გამოსვლაში ჟურნალისტმა **გვანჯი მანიამ**. — აი, ერთ-ერთი მსოფლიო სარეკორდო განაცხადი, 300 ქართველი პოეტის ნაქარგი ხელნაწერები! თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში მსგავსი რამ არ არსებობს. ეს გახლავთ ბიეტა აბშილავას შემოქმედება. ბიეტა აპირებს „ვეფხისტყაოსნის“ 1669 სტროფის — 50 000 სიტყვის ამოქარგვას, რომელიც . წიგნად გამოიცემა და საქართველოს საუნჯედ, სწორუპოვარ ნიმუშად ათასწლეულებს დარჩება.



საღამოზე გამოვიდნენ პოეტები: ნოდარ ჯალაღონია, ვალერიან მამუკელაშვილი, ვაჟა ეგრისელი, შოთა ხოდაშნელი, მიმოზა ცანავა, მსახიობი ლალი აბშილავა და სხვები.

ქალბატონმა ბიეტამ მადლობა გადაუხადა ყველას მისი შრომის დაფასებისათვის, თანადგომისათვის და გაგვიმხილა, რომ მისი ოცნებაა, სანამ თვალისჩინი უჭრის, ქართველი ერის უდიდესი საგანძური „ვეფხისტყაოსანი“ მართლაც ამოაგვირისტოს თავისი ილუსტრაციებით სიფრიფანა, ნატიფ აბრეშუმის ფოლიანტებზე...

**ლეილა ნოდია**

№ 55. სამშაბათი, 27 მარტი, 2007 წელი.

**ბატონო ჯუმბერ, თქვენს მაგალითზე ბავშვები იზრდებიან. თქვენი ფოტოგამოფენის დათვალიერების შემდეგ შვილმა ფოტოაპარატი მთხოვა. ახლა მას ახალი ჰობი აქვს და ძალიან კმაყოფილია. მე კი 30 წუთში მსოფლიოს გარშემო ვიმოგზაურე, დიდი მადლობა**



მაგალითი

# ლეგენდა „ცხენკაცის“ შესახებ

**2007 წლის 12 მარტს, ქარვასლის შემდეგ, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა ფოტოგამოფენა „მსოფლიო ჯუმბერ ლეჟავას ობიექტივში“.**

... უპირველესი „სავიზიტო ბარათი“ ბატონი ჯუმბერ ლეჟავას შესახებ, ეს არის მისი საოცარი ზეადამიანური შესაძლებლობები.

შეგახსენებთ, ჯუმბერ ლეჟავამ მკლავებით აზიდვაში ვარჯიში 1987 წელს დაიწყო. სირბილში რიგითი ვარჯიშის დროს მოუვიდა ნაწლავების დამბლა, რომელიც გადაეზარდა შინაგანი ორგანოების განგრენაში. ექიმებმა 4 მეტრამდე ნაწლავი ამოკვეთეს. შემდეგ, საკმაოდ დასუსტებული, მკურნალობასთან ერთად უფლის დიდი რწმენით აგრძელებს ვარჯიშს. 1990 წელს მკლავებით აზიდვაში ამყარებს პირველ მსოფლიო რეკორდს. 1993 წლამდე კი დამყარებული აქვს გინესის რეკორდების წიგნის 14 რეკორდი! ეს პირველი შემთხვევაა, რომ ერთმა პიროვნებამ მკლავებით აზიდვაში დაამყარა ამ სახეობის ყველა დროითი ნორმატიული რეკორდი.

ბატონმა ჯუმბერმა მსოფლიოს გარშემო მარტოდმარტომ ველოსიპედით მოგზაურობა განახორციელა 1993-2002 და 2004-2005 წლებში. მან იმოგზაურა მსოფლიოს 237 ქვეყანაში. ფაქტობრივად, ეს იყო მსოფლიოს ყველა კონტინენტის თითქმის ყველა ქვეყანა.

ველოსიპედით მის მიერ გავლილი მანძილი შეადგენს – 285 000 კმ., რაც უნიკალურია მსოფლიო მოგზაურობის ისტორიაში.

ჯუმბერ ლეჟავას, როგორც ლეგენდარულ მოგზაურს, გერმანელებმა „მოგზაური პიკასო“ უწოდეს, ფრანგებმა – „მოგზაურთა მეფე“, ხოლო ბრაზილიელებმა – „ჰორზმენი“ („კენტავრი“, ანუ „ცხენკაცი“ ძ.

... ორი კვირის განმავლობაში სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო ჯუმბერ ლეჟავას გადაღებული 350 ფოტო. გამოფენა გახსნა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორმა, პროფესორმა გია ბუღაძემ. მან თითოეულ ფოტონამუშევარს შედევრი უწოდა. სიტყვებით გამოვიდნენ: სამხატვრო აკადემიის პროფესორი გივი მიზანდარი, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი გოგი დოლიძე და სხვები.

ბატონმა ჯუმბერმა აღნიშნა, რომ, როდესაც მის ნამუშევრებს ასე გატაცებით ათვალიერებენ პროფესიონალი მხატვრები, სტუდენტები, ეს მისთვის უდიდესი სიამოვნებაა.

**„ბატონო ჯუმბერ, თქვენს მაგალითზე ბავშვები იზრდებიან. თქვენი ფოტოგამოფენის დათვალიერების შემდეგ შვილმა ფოტოაპარატი მთხოვა. ახლა მას ახალი ჰობი აქვს და ძალიან კმაყოფილია. მე კი 30 წუთში მსოფლიოს გარშემო ვიმოგზაურე, დიდი მადლობა,“** – წერს ერთ-ერთი დამთვალიერებელი შთაბეჭდილებათა წიგნში.

მწამს, რომ ღირსეული ადამიანური ურთიერთობები – სიყვარული, მეგობრობა და კულტურულ ღირებულებათა გაცვლა აერთიანებს ჩვენი პლანეტის ადამიანებს, რაც უფრო მეტია, ვიდრე მათივე გამთიშველი განსხვავებანი. ჯუმბერ ლეჟავას ფოტონამუშევრების საყოველთაო აღიარება, დადებითი მუხტი, განწყობა, სწორი შეფასება ამაგრებს ამ რწმენას. თანამედროვე მსოფლიოს მოწყობის – გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების მიმდინარეობისას მხოლოდ დემოკრატია, მშვიდობა, კულტურა, სილამაზე თუ გადაარჩენს კაცობრიობას.

აღფრთოვანებას იწვევს ჯუმბერ ლეჟავას დამსახურებისა და შრომითი „იერარქიის“ ნუსხაც:

1999 წელს UNESCO-მ ჯუმბერ ლეჟავას მიანიჭა მსოფლიო სპორტსმენისა და მოქალაქის წოდება.

მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები, მათ შორის ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი, არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასის დამფუძნებელი.



ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობის შედეგად დააგროვა 10 000-მდე თაბახი საკუთარი დღიურები, 60 000 ფოტო, რომელიც ციფრულ ფორმატში ინახება, 300 საათამდე ვიდეომასალა. მომზადებული აქვს ფოტოები 40-მდე თემატიკით – „მსოფლიოს ბავშვები“, „ქალები“, „პოლიციელები“, „მსოფლიოს ხალხების რელიგიური არქიტექტურა“, „ლანდშაფტი“, „მსოფლიოს ტრანსპორტი“, „აეროპორტები“ და სხვ.

დინჯი, დაფიქრებული, მიზანმიმართული, ფოტოხელოვანი, სპორტსმენი, ზნეობრივად სუფთა, უშიშარი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, მორწმუნე მართლმადიდებელი, საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული – ასეთად იცნობენ მას მეგობრები, ახლობლები, კოლეგები.

დარწმუნებული ვარ, კიდევ მრავალჯერ გაგვახარებს და განგვაცვიფრებს კაცი ლეგენდა ჯუმბერ ლეჟავა...

**მურმან გელენიძე**
**ვახტანგ ნემსაძის ფოტო.**

ხსოვნა

# კონდრატე საბულუა



გარდაიცვალა აფხაზეთის დამსახურებული ვეტექიმი კონდრატე (კონდრაძ ლოტოს ძე საბულუა. კიდევ ერთი დევნილი გამოაკლდათ აფხაზეთიდან ლტოლვილებს. ისე გარდაიცვალა, ვერ მოესწრო სათაყვანო აფხაზეთის ხილვას, არდაბრუნების ტკივილი თან გაიყოლა.

ცხოვრების ხანგრძლივი და საინტერესო გზა განვლო კონდრატე საბულუამ. გალის რაიონის ერთ-ერთ ლამაზ სოფელ ლეკუხონაში დაბადებულმა იქაური საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ოჩამჩირის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, შემდეგ კი თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში განაგრძო. სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ თავის მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. სოფლის ვეტექიმობით დაიწყო და რაიონის მთავარი ვეტექიმი გახდა.

საზოგადოებრივ საქმიანობაშიც გამოირჩეოდა, იყო პარტიის რაიკომის წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი, გალის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის სოფლის მეურნეობის შტატგარეშე განყოფილების გამგე... იგი ამ დავალებებსაც მისთვის ჩვეული გულმოდგინებით, პასუხისმგებლობითა და ინიციატივიანობით ეკიდებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანებისადმი მისი დამოკიდებულება, სითბო და სიყვარული, რასაც სხვათა მიმართ, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა სპეციალისტებთან დამოკიდებულებისას იჩენდა.

საქმის მცოდნე, პრინციპული მუშაკი, საუკეთესო მამულიშვილი, მეგობარი, კეთილსინდისიერებითა და იუმორით გამორჩეული უბადლო თამადა – ასე იცნობდნენ მას ყველგან.

ამაგდარ ადამიანს ღირსეულადაც მიაგებდნენ პატივს. მინიჭებული ჰქონდა მრავალი საპატიო წოდება და ჯილდოები. მთავარი კი მაინც თანამოსაქმეთა, გარშემომყოფთა საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა იყო, რომელიც საქმის ცოდნით და შესანატრი ადამიანური თვისებებით დაიმსახურა.

პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ მიუტოვებია მუშაობა. ვეტექიმად მუშაობდა ხეტყის დამზადებისა და გადამუშავების კომბინატში, რომელსაც თავისი დიდი მეცხოველეობის ფერმა ჰქონდა. ხალხს ემსახურებოდა თავისი ვეტმალაზიითაც. მშობლიური სახლიდან გამოდევნილი, დაბრუნების იმედით ცოცხლობდა. თავისი გადამწვარი ეზო-კარის ნახვის სურვილი ჰქონდა, დაბადების დღის გადახდაც იქ უნდოდა, მაგრამ... ღმერთს სთხოვა, 90 წლამდე მიმიყვანეო... ეს თხოვნა კი შეუსრულა უფალმა, მართალია, მხოლოდ სამიოდე დღით, მაგრამ მაინც იცხოვრა ოთხმოცდაათში გადაბიჯებულმა.

შესანიშნავი ადამიანის, გამორჩეული მამის, მოსიყვარულე ბაბუის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ახლობლებისა და მეგობრების გულში.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის თბილისის მიწა.

ბატონ კონდრატეს დათესილი სიკეთე და სიყვარული გაუნათებს მარადიული სასუფევლის გზას.

მეგობრები



ალეკო ასლანიშვილი, კონსტანტინე გურგენიძე, მამუკა ვაშაკიძე, შოთა მაჭარაშვილი, ლერი მუსხელაძე, რუსლან რუსია, ვალიკო სიმონიშვილი, ოთარ ტურაბელიძე, ოთარ ხუციშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ადრე წასული კოლეგისა და მეგობრის გივი თევზაძის დედა

ლოლა თევზაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 27 III, ქ. ბათუმში.

---

შვილები გიორგი, ირაკლი იაკობაშვილები, შვილიშვილები გიორგი, ირინა, შვილთაშვილები სოფიკო, ანა, ალექსანდრე, რძლები ტატა იაკობაშვილი, ირინე ნიკოლეიშვილი, ნაიონგ ჩოი, სიძე დავით მაჭარაშვილი, დისწულები დავით, მარინე ოდილავაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირინე რაფიელის ასული ლითანიშვილი

პანაშვიდი 25, 26 III, 17 სთ. გამოსვენება 27 III, 14 სთ. მისამართი: უზნაძის 79.

---

თბილისის ვაჟთა I საშუალო სკოლის 1956 წლის მეთერთმეტე (პირველი)ძ კლასის გამოშვება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თანაკლასელი

თენგიზ სუხიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გარდაიცვალა თენგიზ სუხიშვილი, ღირსეული გამგრძელებელი მშობლების მიერ დაარსებული ქართული ხალხური სახელმწიფო ანსამბლის დიდებული ტრადიციისა. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, როცა, როგორც ჭეშმარიტი პროფესიონალი ეზიარა იმ ბედნიერებას, რასაც მსოფლიო აღიარება ეწოდება. დღიდან მისი მოღვაწეობისა – როგორც დირექტორისა და სამხატვრო ხელმძღვანელისა, ანსამბლმა უდიდეს წარმატებებს მიაღწია. იგი ამაყი და ბედნიერი იყო, რადგან მთელი მსოფლიო ტაშს უკრავდა ქართულ გენიას.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება სახალხო არტისტის, პროფესორის, ქართული კულტურის მოამაგის, ჭეშმარიტი მამულიშვილის გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.

მერაბ ბერძენიშვილი

ხსოვნა

# ჯანო (ირაკლი) ცინცაძე



დიდმა მწუხარებამ მოიცვა ინსტიტუტი – ტრაგიკულად დაიღუპა ს/ს „კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის“ ანესთეზია-რეანიმაციის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი ჯანო ცინცაძე.

წავიდა ჩვენგან ლამაზი, კეთილშობილი ადამიანი, ჭეშმარიტი თბილისელი, კარგი მეგობარი, თავდადებული მამა და ბიძა.

ბევრი გეგმა დარჩა შეუსრულებელი, ბევრი საქმე დაუმთავრებელი. სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო თავისი გეგმების ბოლომდე განხორციელება და მისმა უდროოდ წასვლამ საოცრად ატკინა გული თავის თანამშრომლებს, მეგობრებს და ოჯახის წევრებს.

წავიდა და დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი, დარდი და მწუხარება.

ჯანოს ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების და ახლობლების გულში. მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია;
ს/ს „აკ. კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი“.

და ციცინო წიგნაძე, სიძე მელორ ტყეშელაშვილი, დისწულები მერაბ, მანონი და მარიკა ტყეშელაშვილები, ლიანა, ზაირა, მერი, დათო ლომიძეები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნაზიკო პავლეს ასული წიგნაძე

პანაშვიდი 27, 28 III, დაკრძალვა 29 III, 14 სთ. ზესტაფონის რაიონი, სოფ. II სვირი.

რევაზ ყიფიანი და ნუგზარ გაბრიჩიძე ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ციცინო და მელორ ტყეშელაშვილებს დისა და ცოლისდის

ნაზი წიგნაძის

გარდაცვალების გამო.



შალვა (დავითძ ქორიძის სახელობის (IVძ სამშობიარო სახლის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სამშობიარო სახლის ალმასრულებელი დირექტორი

ირაკლი (ჯანოძ ცინცაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

# ბოლო გვერდი

● ვბრენდდებით დღითი დღე, ვბრენდდებით ჩქარ-ჩქარა,
ბრენდია „ბორჯომი“, „გრემი“ და „ხვანჭკარა“.
ბრენდობით ვილას და რაღას არ მივახტით:
ბრენდია თმოგვი და მტკვარი და ლიახვი.



## ◉ შაირ-კაფია გამოვთქვა...

# გაბრენდებული ქვეყანა

### ჩვენისთანა ბრენდიერი არცვინ არის სადმე ერი...

აქამდე მედგრები გავმხდარვართ ბრენდები.
ვაჰ, რა დროს ვხმებით და ვაჰ, რა დროს ვბერდებით...
არ დავიღუპებით, არა, არა-მეთქი:
ბრენდია მთავრობა, გინდაც პარლამენტი.
სუყველა იქაა, ვინც კაი ყმაია,
ბრენდია ვანო და გიგა და მაია.
ბრენდი შენ არ გქვია და არცა მე მქვია –
ბრენდია ყვარყვარე და ნაცარქექია...
ვბრენდდებით დღითი დღე, ვბრენდდებით ჩქარ-ჩქარა,
ბრენდია „ბორჯომი“, „გრემი“ და „ხვანჭკარა“.
ბრენდობით ვილას და რაღას არ მივახტით:
ბრენდია თმოგვი და მტკვარი და ლიახვი.
ბრენდია „რუსთავიც“, რა დასამალია,
ბრენდია „ლეკური“, „ხორუმ“ – „სამაია“.
ბრენდია ხინკალი, ჩაქაფულ-წვნიანი,
ბათუმი, სიღნაღი და ბაკურიანი.
ბრენდია სოფიკო, ლელა და მერაბი,
ხანჯალი, ჰალსტუხი, ჩოხა და პერანგი.
...ამ სიტყვას წილად ხვდა ზღაპრული ბედი:
ჩვენი ქვეყანაა მსოფლიოს ბრენდი...

**თამაზ ებანოიძე**

## ◉ „დრო, დრო აღნიშნე!“

# მეოცე საუკუნის ფოტომატიანეს წარმოგვიდგენს ფოტოჟურნალისტი გივი ვახტანგაძე

გასულ კვირას, 21 მარტს, საქართველოს ჟურნალისტთა დღე აღინიშნა. საბჭოთა ჟურნალისტებსაც ჰქონდათ თავიანთი დღე – 5 მაისი. იყო საზეიმო სხდომები, ღვაწლმოსილ ჟურნალისტთა დაჯილდოებები, შეხვედრები... ეს დღე აღინიშნებოდა ყველა რესპუბლიკაში და, ცხადია, საქართველოშიც...

ამ სურათზე სამოცდაათიანი წლების ერთ-ერთი ხუთმაისობაა აღბეჭდილი. ფოტოჟურნალისტ გივი ვახტანგაძეს და საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის პირველ მოადგილეს ზენო თათარიშვილს სამახსოვრო ფოტო გადაუღიათ.

## ◉ ტრადიცია

# სითბო პოეტის საფლავთან



მკითხველებთან ურთიერთობის მდიდარი ტრადიციები აქვს შოთა რუსთაველის სახელობის №7 ბიბლიოთეკას, რომელსაც უკვე 35 წელია ვხელმძღვანელობ. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი გამოხატულებაა ბიბლიოთეკასთან არსებული „ვეფხისტყაოსანის“ შემსწავლელი ლიტერატურული კლუბი, რომელსაც ფოთოლა ჩიმაკაძე უძღვება.

წლების განმავლობაში კლუბის საპატიო პრეზიდენტი პოეტი შოთა ნიშნიანიძე იყო, ამიტომაც კლუბის წევრები და პოეტის თაყვანისმცემლები შოთა ნიშნიანიძის გარდაცვალების შემდეგ, ყოველწლიურად, მის დაბადების დღეს აღნიშნავენ დიდუბის პანთეონში, სანთლებით და ყვავილებით ამკობენ ძვირფას საფლავს.

ასე იყო იმ დღესაც, უამრავი თაყვანისმცემელი იდგა პოეტის საფლავთან.

ბიბლიოთეკის წევრებმა ოთარ სოხაძემ, ლევან გელაშვილმა, თინათინ ჩაგანავამ და მერი გამსახურდიამ თბილი სიტყვებითა და შოთა ნიშნიანიძის ლექსებით მიაგეს პატივი პოეტის ხსოვნას.

**მაყვალა რაზმაძე**

## ◉ ინფორმაცია

# ინციდენტი სკოლაში, ანუ „შეაყარე კედელს ცერცვი“

**თბილისის 62-ე საჯარო სკოლის მოსწავლე გუშინ დანით დაჭრეს.**

წინასწარი ინფორმაციით, 14 წლის ლაშა ჯინჭარაძე, სავარაუდოდ, მისივე თანაკლასელმა დაჭრა. მას ოთხი ჭრილობა აქვს მიყენებული.

ლაშა ჯინჭარაძეს ოპერაცია ჩაუტარდა და იგი რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. ექიმების ვარაუდით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შემდგომი გაუარესება მოსალოდნელი არ არის.

**ინტერპრესნიუსი**




# თაგილონიდან კიდევ ერთი ქართველი გაიტაცეს

**გუშინ, გამთენიისას გალის რაიონის სოფელ თაგილონში ექვსი შეიარაღებული ნიღბიანი პირი თავს დაესხა რუხაიების ოჯახს.**

ამის შესახებ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის თავმჯდომარის მოადგილე პაატა შამუგია იტყობინება.

გატაცებულია ჯამბულ რუხაია, ოჯახის სხვა წევრების მსგავსად, სასტიკად არის ნაცემი. მისი ადგილსამყოფელი უცნობია.

შამუგიას თქმით, გამტაცებლები რუხაიების ოჯახში ერთი საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ. მათ სახლიდან 1400 ლარი და ძვირფასეულობა წაიღეს.

ამასთან, 24 მარტს აფხაზური შეიარაღებული დაჯგუფების წევრებმა სოფელ ოტობაიადან ემზარ აბულაძე გაიტაცეს. გამტაცებლები ოჯახს დაუკავშირდნენ და გამოსასყიდის სახით 50 ათასი დოლარი მოითხოვეს.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ ლარის კურსი

**27 მარტიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,3163 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7045 ლარი |
| ევრო | 1 | 2,2695 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0655 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9646 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,4850 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,3887 ლარი. |

## ◉ ანეკდოტები

– ამ შიშველი სკულპტურისთვის ნატურად ჩემი ქმარი გამოიყენეს, – ეუბნება გოგო დედას.

– უი, უი, უი, შე საბრალო, შენა!..

– ნუ ნერვიულობ, დედი, ყველაფერი რიგზეა. ეს სკულპტურა კლასიკური სკოლის მოთხოვნილებათა შესატყვისადაა შესრულებული, იქაური ნორმებით კი ის, რისმა ზომამაც ესოდენ შეგაშფოთა, სწორედ ასეთი პატარა უნდა იყოს.

* * *



– ჩემი ცოლი ნამდვილი ტელეპატია, მუდამ შეუცდომლად გრძნობს, როდის დავბრუნდები სამსახურიდან ვადაზე ადრე. რომ შემოვალ, მაგიდაზე მუდამ მხვდება ღვინის ბოთლი, კონიაკი, დასაყოლებელი, ფანჯარა კი ღიაა, ოთახი ნიავდება.

* * *

– თქვენ 14 შვილი გყავთ, ეს რა, ოჯახური ტრადიციაა?

– არა, ჩვენ სხვა ტრადიცია გვაქვს, ბავშვები კი ამ ტრადიციის თანმდევი ეფექტია.

* * *

– მამი, რას ნიშნავს გამოთქმა – ვაი ჭკუისაგან?

– როგორ გითხრა. ჭკვიანი კაცი უთუოდ კარგად ისწავლის, შესაბამისად აითვისებს საზოგადოების ყველა ეთიკურ და მორალურ ნორმას. ამიტომაც, როდესაც იგი მილიონი დოლარით სავსე ჩანთას იპოვის, მას უთუოდ პატრონს დაუბრუნებს. აი, ეს არის – ვაი ჭკუისაგან.

* * *

ცუდ ხასიათზე ხარ? დეპრესია გტანჯავს? ცხოვრებამ გემო დაკარგა?

შეეცადე, მთელი დღე არაფერი ჭამო, სალამოსთვის კი პიცა შეუკვეთე!

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576

## ◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
აიწყო და დაკაბადონდა „გამომცემლობა მაქსიმუმში“.
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 93-50-22.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემლები
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებელი ჟურნალისტები. მისამართი: კოსტავას ქ. № 14. ტ: 899 537616; 98-96-33.
შპს „თანადგომა -1“ ქიზიყის ქ. № 12. ტ: 899 797679; 98-96-32.

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
მორიგე რედაქტორი კონსტანტინე გურგენიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.
ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.